

178
1966/3




სახვითა სამართალი

საქართველოს 33 ტანგრაფიკი უნივერსიტეტის გამომცემლობა

1966 6



თბილისი. 1966 წლის 1 ნოემბერი. სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდი-
ვანი ლ. ი. ბრეჟნევი საპარტოვალოს სსრ დროშაზე ახნევს მეორე ლენინის ორდენს.
მარჯვნივ — ამხანაგები ვ. ს. კოჭენიძე, ვ. პ. მუხანაგაძე, ვ. დ. ჯავახიშვილი.



საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომბერი—დეკემბერი

1966 წელი

ბამოცემის XIII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

851
01

შინაარსი

10 ნომბერი — საბჭოთა მილიციის დღეა	3
ა. აბესაძე — სახელმწიფო შინასაუწყებო კონტროლის როლი მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში	5
ბ. ფხალაძე — სამართალსუბიექტობა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა	13
დ. გაგნიძე — სახელმწიფო შრომითი შემნახველი საღაროების შეანაბრე—მოქალაქეთა უფლებები	19
გ. ციამუა — პროკურორის ინიციატივით აღძრული სარჩელები	25
აქ. პაიჭაძე — სოციალისტური კანონიერების შეზღვევით განმტკიცებისათვის	30
ვ. აბაშაძე — ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია	34
ოფიციალური მასალა	44

მომგონებანი

ს. კლდიაშვილი — პროფესორი გიორგი ნანეიშვილი	59
ფ. გოკიელი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი	62

მოთხრობა

შ. გვეტაძე — ნაპრალო	69
--------------------------------	----

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ვ. მაყაშვილი, მ. უგრეხელიძე — უნგრელი კრიმინალისტის მნიშვნელოვანი გამოკვლევა	79
ო. გამყრელიძე — პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის	84
ინფორმაცია	89
ახალი წიგნები	96



СОДЕРЖАНИЕ

10 ноября — день Советской милиции	3
А. Абесадзе — Роль государственного внутриведомственного контроля в деле охраны прав граждан	5
Б. Пхаладзе — Правосубъективность и правовое положение граждан	13
Д. Гагидзе — Права граждан-вкладчиков государственной трудовой сберегательной кассы	19
Г. Цирамуа — Предъявление исков по инициативе прокурора	26
Ак. Пайчадзе — За дальнейшее укрепление социалистической законности	30
В. Абашмадзе — Политическая идеология Кутлу-Арслана	34
Официальный материал	44

ВОСПОМИНАНИЯ

С. Клдиашвили — Профессор Георгий Нанеишвили	66
Ф. Гокиели — Луарсаб Андроникашвили	62

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина	69
--	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. Макашвили, М. Угрехелидзе — Значительное исследование венгерского криминалиста	79
О. Гамкрелидзе — Ответственность при совокупности преступлений	84
Информация	89
Новые книги	96

სარედაქციო კოლეგია

შეკ. № 439
ტირაჟი 5200
შე 06533

ა. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
ვ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინჭკირველი,
მ. ლომაძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ხ. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 9-09 62

გადაეცა წარმოებას პ 11-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/11-67 წ. ან. წუკობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პერთობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

საბჭოთა მილიციის დღე

საბჭოთა მილიციის მუშაკებმა მთელ ხალხთან ერთად 10 ნოემბერს იზეიმეს თავისი არსებობის 49-ე წლისთავი.

მუშურ-გლეხური მილიცია დიდი ოქტომბრის თანატოლია, იგი დაიბადა საბჭოთა სახელმწიფოსთან ერთად, მასთან ერთად განვლო გმირული ბრძოლის სახელოვანი გზა.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი, ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში, სტატიკაში „წერილები შორიდან“ წერდა სახალხო მილიციის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნება-სურვილის გამოხატველი იქნებოდა.

საბჭოთა მილიციის ისტორია იწყება რუსეთის მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების მეოთხე დღიდან, როცა ტელეგრაფით გადაიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება „მუშათა მილიციის შექმნის შესახებ“.

პირველი შეიარაღებული მილიციელები წითელი სამკაულებით გამოჩნდნენ პეტროგრადის ქუჩებში და ამის შემდეგ ლურჯ ფარაჯიანი მილიციელი გამოჩენილი პოეტის ვ. მაიაკოვსკის თქმით, როგორც „მშრომელთა ფარი, დგას თავის უცვლელ საგუშაგოზე“. ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტის შესასვლელს სმოლნში, მილიციელები იცავდნენ.

სახალხო მილიციის პირველ რაზმებსა და დანაყოფებს მძიმე პირობებში უხდებოდათ რევოლუციური მართლწესრიგის დაცვა. ჯარისკაცებთან მხარდამხარ ისინი დაუნდობლად ებრძოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მტრებს.

საქართველოში მილიციის მთავარი სამმართველო შეიქმნა რევკომის დეკრეტით 1921 წლის 15 აპრილს.

საქართველოს მილიციის ისტორია აღსავსეა მისი მუშაკების გმირობისა და თავდადების მაგალითებით, მილიციის მუშაკები იარაღით ხელში იბრძოდნენ მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ, მონაწილეობდნენ კულაკთა გამოსვლების ჩახშობაში, უვნებლყოფდნენ ჯაშუშების, დივერსანტებისა და რევოლუციის სხვა მტრების მოქმედებას.


მათ განსაკუთრებით ისახელებს თავი დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ფრონტზე მილიციის არა ერთმა მუშაკმა სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხოლო ზურგში სიფხიზლით და ოპერატიულობით მათ უზრუნველყვეს მტკიცე წესრიგი.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე მუდამ უცვლელად რჩებოდა მილიციის ორი მთავარი ამოცანა: სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდას, მათ შეგნებაში წარსულის მაგნი ადომონაშთების დაძლევის, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრის საქმის.

სულ უფრო შეუწყნარებელი ხდება ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი, განსაკუთრებით ხულიგნობის ფაქტები. გაითვალისწინა რა მოქალაქეთა არაერთგზის გამოთქმული სურვილები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებები ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების საჭიროების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 26 ივლისს გამოსცა ბრძანებულება „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

ბრძანებულებაში გამოხატულია მშრომელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების ერთიანი სურვილი, მათი მისწრაფება მთლიანად აღმოიფხვრას ხულიგნობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედობები, გადამწყვეტი ბრძო-



ლა გამოეცხადოს ყოველგვარ მანკიერებას, შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ საფუძველ-შივე მოისპოს ეს მანკე ზნე-ჩვეულებანი.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მილიციის ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და საზოგადოებრიობის მობილიზაციისათვის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობის ერთიანი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო. მიღებულია ზომები მილიციის ორგანოების ტრანსპორტით, რადიოს საშუალებით, კავშირგაბმულობისა და სხვა უახლესი ოპერატიული ტექნიკით აღჭურვისათვის. გაფართოებულია მილიციის ორგანოების უფლებები ხულიგნობასთან ბრძოლის საქმეში.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა დამნაშავეობასთან, დაწესდა მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა გარკვეული კატეგორიის მიმართ, მათი ყოფაქცევისათვის კონტროლის გასაწევად, დანაშაულის ჩადების თავიდან ასაცილებლად და საჭირო აღმზრდელობითი ზეგავლენის მოსახდენად.

საკვებ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დასახული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვის საფუძველზე.

ახლანდელ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებას. ამ საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული საპატრულო-საგუშაგო სამსახურის სწორ ორგანიზაციაზე. ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მილიციის რაიგანყოფილებებსა და სამწყობრო დანაყოფებს შორის კონტაქტისა და ურთიერთმოქმედების გასაუმჯობესებლად.

საპატრულო - საგუშაგო სამსახურის გაძლიერების მიზნით მეტი ყურადღება ექცევა მილიციის განწყობის მომზადებისა და ინსტრუქტაჟის ხარისხის ამაღლებას, მათი ძალების მანევრირებას, მუშაობაში ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას, საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დისლოკაციის შედგენას მოსალოდნელ დანაშაულობათა ადგილისა და დროის გათვალისწინებით.

მუშაობაში თავდადების მაგალითს წარმოადგენს მილიციელების: გ. მალუტაშვილის, გ. მარგვივის და ი. ავაქიანის მოქმედება, რომლებმაც მარჯანიშვილის მოედანზე საპატრულო სამსახურის შესრულების დროს მოქალაქისაგან შეიჭყვეს, რომ პლენანთვის გამზირზე №96 სახლის შესასვლელში საეჭვო პირები მოქალაქეს ძარცვავდნენ. მიღებული ზომებით ბოროტმოქმედები დააკავეს. მილიციის ლეიტენანტმა ვასილ გოგიშვილმა არასამუშაო საათებში დააკავა ბოროტმოქმედი კარტოზია, რომელიც ცდილობდა ქალის გაუპატიურებას. ამავე გოგიშვილის მიმართ მადლობას გამოთქვამს ნინა პავლეს ასული ილინსკი, მცხოვრები ქ. ირკუტსკში, იმის გამო, რომ ამა წლის 21 ივლისის თბილისში ჩელუსკინოლების ხილთან მან დააკავა ბოროტმოქმედი, რომელმაც ილინსკის გამოსტაცა ხელჩანთა.

შრომითი აღმავლობით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს. ამ საერთო წარმატებებში, თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა მუშაობას.

სახელმწიფო შინასაუწყებო კონტროლის როლი მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში

ა. ავასიანი

სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებებიდან შინასაუწყებო კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. თავისი ბუნებით კონტროლის ეს სახე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ყველა ტიპის სახელმწიფო მმართველობით საქმიანობას ახასიათებს. მაგრამ განსხვავებული ტიპის სახელმწიფოებში კონტროლის ამოცანები არ არის ერთნაირი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „როდესაც ვარკვევთ „კონტროლის“ ცნებას, აგრეთვე იმ საკითხს, თუ როდის და ვინ განახორციელებს ამ კონტროლს, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ თანამედროვე სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი, იმ სახელმწიფოსი, რომელიც მხოლოდ კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციას წარმოადგენს“.¹


საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში შინასაუწყებო კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი აპარატის სისტემაში. ამ სახის კონტროლი არ ტარდება სპეციალური სახელმწიფო ორგანოს მიერ. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, დაწყებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდან, გათავებული მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებით, თვითონ ახორციელებენ აღნიშნულ კონტროლს.

შინასაუწყებო კონტროლის განმხორციელებელი სახელმწიფო ორგანოები თავისი სუბიექტების წრით, საქმიანობის ობიექტებით, მეთოდებითა და უფლებამოსილებით განსხვავდებიან სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი სხვა ორგანოებისაგან.

შინასაუწყებო კონტროლი არ წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის პირველად, დამოუკიდებელ საქმიანობას, რადგანაც კონტროლი შეუძლია გაუკეთდეს მხოლოდ იმას, რაც უკვე არსებობს. სახელმწიფო ორგანოების საკონტროლო საქმიანობის სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული საქმიანობის ძირითად ფორმას შესრულების შემოწმება წარმოადგენს. სწორედ შესრულების შემოწმების პროცესში ვლინდება მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევებიც.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების განხორციელება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობაში მიმდინარეობს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე. „დემოკრატიულ და სოციალისტურ ცენტრალიზმთან, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — საერთო არაფერი აქვს არც გამაბლონებას და არც ერთფეროვნების დამ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 677.



ყარებას ზევიდან. ერთფეროვნებას ძირითადადში, მთავარში, არსებითში კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს მრავალგვარობა წვრილმანებში, ადვილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი მიდგომის ხერხებში, კონტროლის განხორციელების საშუალებებში².

კონტროლი აუცილებელი ელემენტია ხელმძღვანელობის სწორი ორგანიზაციისათვის. მაგრამ როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, სამართლებრივი ურთიერთობა კონტროლის განხორციელებელ ორგანოსა და საკონტროლო სახელმწიფო ორგანოს შორის აღმოცენდება არა მარტო ერთი ორგანოს მიერ მეორის დაქვემდებარებიდან, არამედ იმ სპეციალური უფლებამოსილებიდან, რასაც სახელმწიფო ანიჭებს მმართველობის სათანადო ორგანოებს³.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ძირითადად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე წარმოებს. ამოცანების სპეციფიკური ხასიათი, რომელიც კონტროლის ორგანოებს წინაშე დგას, განაპირობებს აღნიშნულ ორგანოთა ორგანიზაციულ სტრუქტურას, მათი უფლებამოსილების ხასიათსა და საქმიანობის მეთოდებს. „სახალხო კონტროლის ორგანოები, — აღნიშნავდა ა. ნ. კოსიგინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე, — ეხმარებიან პარტიას აღზარდოს კადრები მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, ჩაუნერგოს საბჭოთა ადამიანებს თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძობა. სახალხო კონტროლი კიდევ უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში წარმოების ეფექტიანობისა და კაპიტალურ დაბანდებათა ვადიდებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის⁴.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებელი ორგანოების საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ამასთან, თუ შინასაუწყებო კონტროლი ქვემდგომ ორგანოებზე ხელმძღვანელობის შემადგენელი ელემენტია, სახელმწიფო კონტროლი მოკლებულია ამ თვისებას. უფრო ფართო აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მეთოდები. თუ შინასაუწყებო კონტროლი ხორციელდება ზედამხედველობითი საქმიანობით, მშრომელთა განცხადება-საჩივრებისა და სხვა სივანალების საფუძველზე შემოწმების ჩატარებებით, სახელმწიფო კონტროლი აღნიშნულ მეთოდებს გარდა შეიძლება ჩატარდეს ანგარიშგებებისა და დოკუმენტების რევიზიით, ექსპერტიზის ჩატარებითა და სხვ.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი ხდება დროულად გამოვავლინოთ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევები. კონტროლის ეს ორივე სახე ავსებს ერთმანეთს, ხოლო მათი შეთანაწყობა შესაძლებლობას იძლევა უფრო ობიექტურად შევა-

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 480.

³ А. Е. Лунев, Обеспечение законности в советском государственном управлении, Госюриздат, М., 1963, стр. 113.

⁴ ა. ნ. კოსიგინი, სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ვაზეთი „კომუნისტი“, 6 აპრილი, 1966 წ.

ფასოთ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობა, უზრუნველ-
ვყოთ სწორი ხელმძღვანელობის განხორციელება სახელმწიფო მმართველობის
მოცემულ დარგში.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის უნარიან და სწორ
გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მმართველობის სფეროში
მოქალაქეთა დარღვეული უფლებების გამოვლინებისა და ამ უფლებათა დაც-
ვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის გან-
ხორციელებას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების
საქმიანობაზე. ეს ორგანოები სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად
დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერე-
სების დაცვას. საკმარისია აღნიშნოს, რომ მილიციის ორგანოები ამჟამად
მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებობენ და მათ საქმიანობაზე
კონტროლის განხორციელება მშრომელთა დეპუტატების საბჭოებსა და მათ
აღმასკომებს ევალებათ.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით იზრდება მშრომელთა დეპუტატე-
ბის ადგილობრივი საბჭოების როლი მოქალაქეთა ისეთი უფლებების დაცვი-
სა და განხორციელების საქმეში, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალურ-
კულტურულ და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროსთან.
მშრომელთა დეპუტატების საბჭოები თავიანთ სესიებზე და აღმასკომები თავი-
ანთ სხდომებზე სისტემატურად ისმენენ ინფორმაციებს აღნიშნულ საკითხებზე.
მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის 26 კომისრის რაიონის
მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პრაქტიკა. საანგარიშო პერიოდში, 1964
წლიდან 1965 წლის მაისის ჩათვლით, აღნიშნულ რაიონში რაიონული საბჭოს
სესია მოწვეულ იქნა 9-ჯერ. სპეციალურად იქნა განხილული საკითხები რაიონ-
მასკომის განყოფილებებში, სასამართლოებსა და კანტორებში მშრომელთა გან-
ცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, პარაზიტული
და ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების
შესახებ და სხვ.

როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების
ფორმები და მეთოდები უცვლელნი არ არიან. საბჭოთა სახელმწიფოს ინტერე-
სებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ხან მასიური კონტროლის ფორმა, ხან აპა-
რატის საქმიანობის ხანგრძლივი შესწავლა, ხან უშუალო კონტროლი და რევი-
ზია და ხან მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ოპერატიული შემო-
წმება.

ეს ფორმები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე და თანამდებობის
პირებზე ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებას გულისხმობს.
ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ მეთოდებში კი, როგორც ეს აღინიშნა სკკპ
XXIII ყრილობაზე, უკანასკნელ ხანს თავს იჩენდა ადმინისტრირებისა და სუ-
ბიექტივიზმის ნიშნები, რაც ახშობდა სახელმწიფო მმართველობის აპარატის
მუშაკების საქმიანობაში მორალურ და მატერიალურ სტიმულებს, ჰქმნიდა მინ-
დობილი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების განწყობილებას და სხვ.
პარტიამ გადაჭრით დაგმო სოციალისტური სახელმწიფოსათვის ეს უცხო და
მახინჯი მოვლენები.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში როგორც შინა-
საუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებელ მმართველო-
ბის ორგანოების საქმიანობაში, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტე-

რესების დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.⁵ ბრძოლა ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და სხვა დარღვევათა წინააღმდეგ, რაც კონტროლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განუხრელად დაცვასა და შესრულებასთან.

შინასაუწყებო კონტროლის სფერო შემოფარგლულია ამ კონტროლის განხორციელებელი ორგანოების კომპეტენციით. ამ კომპეტენციის ფარგლებიდან გამოსვლა, ან მისთვის გვერდის ავლა შინასაუწყებო კონტროლის განხორციელების დროს კანონიერების დარღვევაა.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მუშაობაში მეტ ეფექტურობას აღწევენ საზოგადოებრივი აქტივის დახმარებით. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ამის მრავალ მაგალითს იძლევა.⁶

ფართოდ იყენებენ რა საზოგადოებრივი აქტივისა და განსაკუთრებით პარტიული ორგანოების უშუალო დახმარებას, შინასაუწყებო კონტროლის ორგანოები უშუალოდ ერევნიან კონტროლს დაქვემდებარებული მმართველობის ორგანოების აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში. ასეთი ჩარევის გარეშე შინასაუწყებო კონტროლის ორგანოები ვერ შეასრულებენ იმ ამოცანებს, რაც მათ წინაშეა დასახული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც დ. ქერიმოვი მიუთითებს, შეუძლებელი იქნება ქვემდგომი ორგანოების საქმიანობაში ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამომზეურება.⁷ აღნიშნული თავისებურება ტიპიურია შინასაუწყებო კონტროლის ორგანოებისათვის, რაც მას განასხვავებს პროკურატურის საერთო ზედამხედველობისაგან.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ შინასაუწყებო კონტროლის განხორციელების დროს შეიძლება ადგილი ექნეს როგორც სავალდებულო მითითებების მიცემას, ისე სათანადო ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებასაც. შინასაუწყებო კონტროლის დროს შეიძლება დადგეს საკითხი ისეთი არასწორი ადმინისტრაციული აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებაც, რომელიც არღვევს მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

შინასაუწყებო კონტროლი არ იფარგლება მარტო დარღვევათა ან დამახინჯებათა ფაქტების გამოვლინებით და დამრღვევებზე სათანადო ზემოქმედების გამოყენებით.⁸ „თავისი შინაარსით, — წერს ა. ლუნევი, — სახელმწიფო

⁵ სხვა სურათს ვხედავთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც სახელმწიფო კონტროლი თავისი განსხვავებული ფორმების მიუხედავად, ძირითადად შემოფარგლულია მარტოდენ ფინანსური კონტროლის ამოცანებით. ბურჟუაზიული კონტროლის ორგანოების მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ჩინოვნიკების, მფლანგველობისა და ქურდობისაგან გადარჩინონ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხაზინა. იხ. А. Е. Лунев, Государственный контроль в СССР, Госюриздат, М., 1951, стр. 8.

⁶ მაგალითად, საზოგადოებრივი აქტივის უშუალო დახმარებით იქნა მიღებული ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“. Б. Кочерин, А. Артемьев, Помощь трудящихся, ж. «Вестник государственного контроля», № 5, 1956, стр. 12—13.

⁷ იხ. Д. А. Керимов, Обеспечение законности в СССР, Госюриздат, М., 1956 стр. 140.

⁸ პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა არ შედის შინასაუწყებო კონტროლის ორგანოების კომპეტენციაში. აღნიშნულ ორგანოებს საჭიროების შემთხვევაში მასალები შეუძლიათ გადასცენ საგამომიებლო ორგანოებს იხ. Ю. А. Каленов, Г. И. Торопов, И. Г. Сапожников, Книга о прокурорском надзоре в СССР (рецензия). «Советское государство и право», № 2, 1958, стр. 128.

კონტროლის საქმიანობა წარმოადგენს კანონიერებისათვის მებრძოლ ორგანოს საქმიანობას, რომელიც ორგანიზაციულად შედის სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოთა სისტემაში.⁹

რაც შეეხება სამართალდამრღვევთა მიმართ სანქციების გამოყენების საკითხს, შინასაუწყებო კონტროლის ორგანოები (ხოლო კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში გარეგანი კონტროლის ორგანოებიც) მას იყენებენ ან უშუალოდ,¹⁰ ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, მაგალითად, აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების,¹¹ ან ამხანაგური სასამართლოების მეშვეობით.¹²

შინასაუწყებო კონტროლს ფიზიკურ პირებზე ზემოქმედებისათვის ეფექტური საშუალებანი გააჩნია. ტიპიურს აქ დისციპლინარული პასუხისმგებლობა წარმოადგენს. ეს პირდაპირ გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ კონტროლი ხორციელდება ერთი უწყების ფარგლებში, ე. ი. კონტროლის განმხორციელებელ ორგანოსა და საკონტროლო ორგანოს შორის სამსახურებრივი დაქვემდებარების პირობებში.¹³

თვითეული ადმინისტრაციული ღონისძიების შეფარდების დროს პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართალდამრღვევი პირის ბრალის ხარისხი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდარღვევის ჩაღვნიხ დრო და ადგილი, პირის სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვ.

როგორც წესი, შინასაუწყებო კონტროლის შედეგად პირის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენება საჩივრდება ადმინისტრაციული წესით ზემდგომ ორგანოში, რომელსაც გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო ექვემდებარება. საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესრულებას.¹⁴

სახელმწიფო კონტროლის ყველა სახის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ საშუალებების პრაქტიკული განხორციელებისა და გამოყენების ორგანიზაციულ მხარეზე, რასაც სათანადო საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ზოგჯერ ივიწყებენ. ადმინისტრაციული წესით საქმის გადაწყვეტა, რომლისთვისაც ტიპიური არაა საქმის განხილვისას საჯარობისა და უშუალობის პრინციპების გამოყენება, უფლებათა დაცვის ზემოაღნიშნულ საშუალებებს ზოგჯერ აძლევს ცალმხრივ ხასიათს. ამიტომ, როგორც შინასაუწყებო, ისე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს, სამართლებრივი ზემოქმედების ზომების ზუსტი წრის განსაზღვრასთან ერთად, დეტალურად უნდა იყოს რეგულირებული ამ საშუალებების შეფარდებისა და გამოყენების ორგანიზაციული წესი.

სახელმწიფო შინასაუწყებო კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონტროლის განმხორციელებელი პირის ყვალიფიკა-

⁹ А. Е. Лунев, Государственный контроль в СССР, Госюрриздат, М., 1951, стр. 13.

¹⁰ Ст. 13. Указы Президиума Верховного Совета СССР от 21 июня 1961 г. «О дальнейшем ограничении применения штрафов, налагаемых в административном порядке» («Ведомости Верховного Совета СССР», 1961 г. № 35), стр. 368.

¹¹ იხ. აღნიშნული ბრძანებულების მე-11 მუხლი.

¹² იხ. აღნიშნული ბრძანებულების მე-16 მუხლი.

¹³ П. Стайнов, А. Ангелов, Административное право Народной Республики Болгарии, Госюрриздат, М., 1960, стр. 433.

¹⁴ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა, რომლის თაობაზე შეტანილი საჩივარი 10 დღის ვადაში აჩერებს გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულებას.

ციაზე, მის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაზე, კანონმდებლობის ცოდნაზე და სხვ. კონტროლიორმა პასუხი არ უნდა აგოს საქმის ფაქტიური მდგომარეობის გამო. თუ კონტროლიორი აღმოჩენილ დარღვევათა შესახებ ინფორმაციას გაუყვებებს სათანადო ორგანოებს და ერთდროულად პასუხსაც აგებს აღნიშნული დარღვევებისათვის, მაშინ მის მიერ ჩატარებული კონტროლი შეიძლება არაობიექტური აღმოჩნდეს. ასევე მეორე შემთხვევაში, თუ კონტროლიორის სამსახურში დაწინაურება, მისი ხელფასი და სხვ. დამოკიდებულია კონტროლის სწრაფად და ზუსტად ჩატარებაზე, კონტროლმა შეიძლება გადაუზვიოს თავის მიზანს.¹⁵ შინასაუწყებო კონტროლის განხორციელებისას ასეთი საფრთხე უფრო რეალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს. ამიტომ კონტროლის ორგანოების ორგანიზაციული აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული პირობები. კონტროლის ორგანოებში უნდა იყვნენ უაღრესად პრინციპული, მომთხოვნი და ობიექტური ადამიანები, რომლებმაც საერთო-სახალხო ინტერესები ვიწრო-უწყებრივ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ. „ხელმძღვანელ პოსტებზე უნდა დავაწინაუროთ კომუნისზმის იდეებისადმი ერთგული, საქმის კარგი მცოდნე, მასებთან მუდამ დაკავშირებული მუშაკები, რომლებსაც შეუძლიათ მასების დარაზმვა დასახულ ამოცანათა შესასრულებლად. უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკები, სწორად შევუხამოთ მათი ენერჯია ძველი კადრების გამოცდილებას“.¹⁶

სამწუხაროდ სახელმწიფო მმართველობის აპარატის ცალკეულ რგოლებში ჯერ კიდევ არადაამკამყოფილებლად არის დაყენებული შინასაუწყებო კონტროლი.¹⁷ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მმართველობის დარგობრივი და ფუნქციონალური ორგანოების საკონტროლო უფლებამოსილება არ არის ერთმანეთისაგან ზუსტად გამიჯნული. მთელ რიგ შემთხვევებში რევიზიები და შემოწმებები დუბლირებულ, ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც დროულად ვერ ავლენს სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევის ფაქტებს.

შინასაუწყებო კონტროლისადმი ფორმალური და უსულგულო დამოკიდებულება, უხარისხოდ ჩატარებულ რევიზიასთან ერთად, იწვევს შემოწმების მასალების დიდი დაგვიანებით განხილვას, რაც ამცირებს ასეთი კონტროლის ქმედითობას.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებსაც შინასაუწყებო კონტროლის განხორციელებაზე მთავარი პასუხისმგებლობა ევალებათ, ხშირად სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ აღნიშნულ კონ-

¹⁵ იხ. E. Старосыцяк, Элементы науки управления, Перевод с польского, Изд-во «Прогресс», М., 1965, стр. 205—206.

¹⁶ რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. ვაზეთი „კომუნისტი“, 9 აპრილი, 1966 წ.

¹⁷ იხ. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 ივნისის დადგენილება „შინასაუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერების შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, № 3, 1961 წ.).

ტროლს. არის შემთხვევები, როცა რევიზორთა აპარატს იყენებენ ისეთი ამოცანების შესასრულებლად, რაც მათ ფუნქციებში არ შედის.


კომუნისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობის პერიოდში მოქალაქეთა უფლებების დარღვევათა აღკვეთა და თავიდან აცილება საერთოა სახელმწიფო კონტროლის ყველა სახისათვის. მაგრამ სახელმწიფო კონტროლის ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეების მოუფიქრებელ გამოყენებას სარგებლობის მაგიერ ზოგჯერ ზიანის მოტანა შეუძლია. ამ საქმეში დაუსაბუთებელი აჩქარებულობისა და სუბიექტივიზმის გამოჩენა ვნებს არა მარტო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობას, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეთა უფლებების დარღვევების გამოვლინებაზეც. დაუსაბუთებელი და სისტემატური შემოწმებები აბნევს და აჩლუნგებს სახელმწიფო აპარატის მუშაკების საქმიანობას, მათ ყურადღებას ამორებს მთავარი ამოცანების გადაჭრას, ქმნის ნერვიულობის ატმოსფეროს. ამიტომ დღეისათვის მთავარია არა სახელმწიფო კონტროლის ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეების დაუსაბუთებელი გაფართოვება, არამედ არსებული ფორმების განმტკიცება, მათი შემდგომი დახვეწა და გამოყენების ორგანიზაციული წესის გაუმჯობესება.

სასურველია გადაწყდეს აგრეთვე კონტროლისა და შესრულების შემოწმებების ჩატარების პერიოდულობის საკითხი, რომლის ორგანიზაცია ერთიან ცენტრს უნდა დაეკისროს. ამ ცენტრმა კოორდინაცია უნდა გაუქეთოს კონტროლის ყველა სახესა და ფორმას და უზრუნველყოს თანმიმდევრობა მათ განხორციელებაში. ადგილებზე ასეთი ცენტრი შეიძლება იყოს რაიონული ან საქალაქო მშრომელთა დებუტატების საბჭო, რომელთა ორგანიზაციული მუშაობის დონე მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მათ წინაშე მდგარ ამოცანებს.

სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცების თვალსაზრისით საჭიროა აგრეთვე იმ ძველი ნორმატიული აქტების შეცვლა, რომლებიც შინასაუწყებო და სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების განხორციელებას არეგულირებენ.¹⁸ საკანონმდებლო წესით უნდა მოწესრიგდეს აგრეთვე შინასაუწყებო კონტროლის როგორც განსაზღვრულ ვადებში ჩატარების, ისე კონტროლის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების ვადების საკითხი. იმისათვის, რომ შინასაუწყებო კონტროლის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ ატარებდეს ვიწრო უწყებრივ ან სხვა ტენდენციურ ხასიათის ნაკლოვანებებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ყოველი ასეთი გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს სათანადო პროკუ-

¹⁸ იხ. მაკალითაძე, Постановления Совета Народных Комиссаров от 19 мая 1936 г. «О внутриведомственном финансовом контроле и документальной ревизии учреждений, предприятий, хозяйственных организаций и строительных». Сборник законов и распоряжений Рабоче-Крестьянского Правительства СССР, 19 мая, 1936 г. № 22; О мероприятиях по усилению внутриведомственного контроля СССР, Приказ М-во торговли № 680. «Сборник приказов», 1949 г. № 24 და სხვ.

აღნიშნული ნორმატიული აქტები მნიშვნელოვნად მოაქველბულია და აღარ პასუხობენ საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე დონეს.



რორს.¹⁹ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევითა აღმნუსხავი რევიზიისა და შემოწმების ყოველი აქტი შესაბამის ორგანოში განხილული უნდა იქნას არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში და მხოლოდ პროკურორის სათანადო ვიზის შემდეგ მიეცეს მსვლელობა. სპეციალურად უნდა მოწესრიგდეს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლებიც დაარღვევენ შინასაუწყებო კონტროლის წესებს.

სასურველია აგრეთვე, რომ შინასაუწყებო კონტროლის ყველა ეს ამოცანები სათანადოდ აისახონ დღეისათვის შემუშავების პროცესში მყოფ და ნაწილობრივ უკვე მიღებულ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და მათი ორგანოების დებულებებში. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა გამოკვეთილად უნდა იყოს მითითებული შინასაუწყებო კონტროლის სხვა ამოცანების გვერდით. განსაკუთრებით უნდა გავზარდოთ კონტროლის განმხორციელებელ ორგანოებთან მოქმედ საზოგადოებრივი კონტროლიორებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სხვა წარმომადგენლების როლი, რასაც არასათანადოდ აფასებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ცალკეული თანამდებობის პირები.

¹⁹ ე. ი. რაიონული აღმასკომის მიერ ჩატარებული შინასაუწყებო კონტროლის აქტი უნდა გაეგზავნოს რაიონის პროკურორს, რესპუბლიკური სამინისტროს შინასაუწყებო კონტროლის შესახებ რესპუბლიკის პროკურორს და ა. შ.



სამართალსუბიექტობა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა

ბ. ფხალავა

1. სამართალსუბიექტობა როგორც სოციალური კატეგორია, გამოხატავს სამართლისა და პიროვნების ურთიერთობას და ასახავს მათ მიერ ლოგიკური ურთიერთდაიარების ფაქტს.¹ სამართალსუბიექტობის როგორც სამართლებრივი კატეგორიის არსი მდგომარეობს, ერთის მხრივ, სამართლის მიერ ყველა მოქალაქის აბსტრაქტული შესაძლებლობის დადგენაში იქონიოს განსაზღვრული სახის უფლებები და მოვალეობები (უფლებაუნარიანობა) და, მეორეს მხრივ, იმ უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრაში, რომელნიც კანონით აქვთ მიკუთვნებული მოქალაქეებს (საჯარო უფლებები და მოვალეობები).²

შეადგენენ რა სამართალსუბიექტობის ერთიან კატეგორიის ორ მხარეს, უფლებაუნარიანობა და საჯარო უფლებები (მოვალეობები) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათ საფუძველზე უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის სხვადასხვა საშუალებით: უფლებაუნარიანობის საფუძველზე შესაბამისი უფლებები და მოვალეობები წარმოიშვებიან კონკრეტული პირის სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის გზით (სსრკ კონსტიტუციის 7, 10, 118, 119, 120, 121, მ. მ.), კონკრეტული პირის საჯარო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობისათვის კი მისი შესვლა სამართლებრივ ურთიერთობაში არ არის საჭირო, საკმარისია პირის არსებობა, ე. ი. მისი აღიარება სამართლის სუბიექტად, რომ მას ავტომატურად წარმოეშვას ზოგიერთი საჯარო ხასიათის უფლება და მოვალეობა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 122-128 მ. მ.). თუ სამართლის ნორმა არ იცნობს ადამიანს გარკვეული სოციალური თავისუფლებას მატარებლად (ანუ პირად), შეუძლებელია მას შესაბამისი უფლება ჰქონდეს. ამიტომ სამართლის მიერ დადგენილი ყველა უფლება, მანამ ის გახდება კონკრეტული პირის კუთვნილებად, წარმოადგენს სამართალსუბიექტობის ელემენტს, და როგორც განხორციელების აბსტრაქტული შესაძლებლობა (იურიდიული ფაქტის დადგომამდე) მხოლოდ მის შინაარსში მოიაზრება.

განსხვავებით საჯარო უფლებებისაგან (მოვალეობებისაგან), უფლებაუნარიანობის კატეგორია სოციალისტურ საზოგადოებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის მიხედვით განაწილების პრინციპთან. უფლებაუნარიანობას და უფლების შექმნას ახასიათებს ისეთი კონკრეტული შესაძლებლობანი, როგორიც არის: შრომისუნარიანობა, დახარჯული შრომის ხარისხი და რაოდენობა, შრომითი შემოსავლის ოდენობა, შემოქმედებითი შესაძლებლობის ხარისხი და სხვ., რომელთა მიმართ თანასწორობა სამართალს არ შეუძლია შექმნას. ამიტომ

¹ Н. Б. Александров. «Законность и правопорядок в советском обществе», М. 1955, с. 134—135;

გ. ნანეიშვილი, „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატული ფაქტების დასაბუთებისა“, თსუ, 1928 წ. გვ. 14.

² ტერმინი „საჯარო“ სწორად გამოხატავს პირადი უფლების იურიდიულ ბუნებას და ამიტომაც მოხერხებულად აქვს გამოყენებული იგი ა. ა. ხოჭოლავას. თუმცა ეს ტერმინიც საერთოდ პირობითი ხასიათისაა, რადგან უფლებაუნარიანობაც საჯარო — სამართლებრივი ბუნების მატარებელია, მაგრამ რადგანაც „საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით პირადი უფლების ცნებას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს“ (ა. ა. ხოჭოლავა, „მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში“, თბილისი, 1957 წ., გვ. 5), ამიტომ ეს ტერმინი ამართლებს თავის დანიშნულებას.



მეუძღვებელია უფლებათუნარიანობა გავაიგივევით ნების თავისუფლებასთან ან კონკრეტული პირის ფაქტიურ შესაძლებლობასთან. ყველა ადამიანი სამართლის მიერ აღიარებულია უფლებათუნარიანად (მაშასადამე, სამართლის სუბიექტად) დამოუკიდებლად იმისა, აქვს თუ არა მას უნარი თავისი მოქმედებით ე. ი. ნებელობითი აქტებით განახორციელოს მისთვის მინიჭებული ფორმალური შესაძლებლობა, და დამოუკიდებლად იმისა, განკარგავს თუ არა ის მოცემული მომენტი-სათვის იმ აუცილებელ სოციალურ თუ მატერიალურ სიკეთეს, იმისათვის, რომ გახდეს კანონიდან გამომდინარე ყველა უფლების სუბიექტი.³ მოქალაქის ინდივიდუალური თვისებები და ფაქტიური შესაძლებლობანი გავლენას ახდენენ არა უფლებათუნარიანობის მოცულობაზე, არამედ მის სოციალურ მდგომარეობაზე საზოგადოებაში, იმ უფლებების მოცულობაზე, რომლებიც მან შეიძინა უფლებათუნარიანობის საფუძველზე. უფლებათუნარიანობა კი ყოველთვის რჩება უფლების შექმნის აბსტრაქტულ წინამძღვრად; თუმცა სამართალსუბიექტობის ფარგლებში უკვე შეიძლება შევამჩნიოთ საჯარო უფლებებისა და მოვალეობების გაფართოება, უფლებათუნარიანობის მოცულობის შემცირების ხარჯზე.

2. მიუღებელია უფლების გაგება ვიწრო თვალსაზრისით, ე. ი. ყველა უფლების გამოცხადება სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტად, ისევე როგორც დაუშვებელია ყველა მოვალეობის სამართლებრივ ურთიერთობაში გაერთიანება. ეს მოსაზრება სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.⁴ მართლაც, არსებობენ უფლებებისა და მოვალეობების ისეთი სახეები, რომლებიც ვერ თავსდებიან სამართლებრივი ურთიერთობის ტრადიციულ გაგებაში და ცდებიან მის ფარგლებს, არსებობენ „სამართლებრივი ურთიერთობის“ გარეთ ამ კატეგორიის ქვეშ იგულისხმებიან ე. წ. აბსოლუტური უფლებები და მოვალეობები.

ეს უფლებები კონკრეტული სუბიექტის უფლებებია კონკრეტულ სოციალურ სიკეთეზე, რადგანაც ეკუთვნიან კონკრეტულ პირებს და არა აბსტრაქტულ, ყველასთან გაიგივებულ სამართალსუბიექტ პირებს. ამასთან ერთად ეს უფლებები აბსოლუტური ხასიათის არიან და „სამართლებრივი ურთიერთობის“ გარეშე იმყოფებიან, რადგან მათი განხორციელება უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია უფლებამოსილის ნებისაგან, და არავისაგან არ მოითხოვენ აუცილებელი მოქმედების შესრულებას, თუნდაც კონკრეტულად რომ ცნობილი იყოს მომავალი ვალდებული პირი, რადგანაც უფლებამოსილს ყოველთვის შეუძლია საერთოდ უარი თქვას უფლებაზე.

აბსოლუტური უფლებების კატეგორიაში ერთიანდებიან ის უფლებები, რომლებიც კანონის ძალით ეკუთვნიან მოქალაქეებს (საჯარო უფლებები) და ის უფლებები, რომლებიც პირებს მათ მიერ უფლებათუნარიანობის განხორციელების შედეგად წარმოეშვებათ. ეს აბსოლუტური უფლებები ახასიათებენ კონკრეტული პირის უფლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში. მაგრამ რადგანაც ზოგიერთი უფლების შექმნას სამართალი განაპირობებს მოქალაქის ინდივიდუალ-

³ С. Н. Братусь, «Субъекты гражданского права», М. 1950 г., с. 17.

⁴ Д. М. Генкин, Право собственности как абсолютное субъективное право «Советское государство и право», 1958 г., № 6, с. 93—102.

С. Н. Братусь, Предмет и система советского гражданского права, М. 1963 г., с. 189.

ბ. კ. ვაჩიშვილი — სამართლებრივი ურთიერთობის ცნებისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1964 წ., № 6, გვ. 20.

ლური თვისებებითა და ფაქტიური შესაძლებლობებით, ამიტომ არა ყველა უფლება შეიძლება მოიპოვონ მოქალაქეებმა და, მით უმეტეს, ერთნაირი მოცულობით. ამიტომ, სამართალსუბიექტობიდან კონკრეტული მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობაში უშუალოდ შედიან საჯარო უფლებები და შესაძლებელია შედიოდნენ ის უფლებები, რომლებიც მოქალაქემ უფლებაუნარიანობის განხორციელების შედეგად მიიღო.

მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობაში არ შეიძლება შედიოდეს უფლებაუნარიანობა. ლაპარაკი უფლებაუნარიანობაზე, როგორც მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობის ელემენტზე, შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც უფლებაუნარიანობის საფუძველზე წარმოიშვებიან, გადაიქცევიან საჯარო ხასიათის უფლებებად. მანამდე კი უფლებაუნარიანობა, რომელიც გამოხატავს თანასწორობის იდეას, რჩება ზოგად უფლებად, აბსტრაქტულ, თანაბარ შესაძლებლობად, ჯა არა ყოველი კონკრეტული მოქალაქის ინდივიდუალურ პრივილეგიად. იმისათვის, რომ უფლებაუნარიანობა ვალიაროთ უფლებად, აუცილებელია დავამტკიცოთ უფლებაუნარიანობის კონკრეტული დამოკიდებულება პირისაგან, მაგრამ ეს შეუძლებელია. მართებულად მიუთითებს ც. ა. იამპოლსკაია, რომ მოქალაქეს შეუძლია არ განახორციელოს თავისი ძირითადი უფლებები, მაგრამ არ შეუძლია მათზე საერთოდ უარი თქვას.⁵ პირს შეუძლია უარი თქვას გარკვეული თანამდებობის დაკავებაზე, ხმის მიცემაზე, თუნდაც სარჩელზე, მაგრამ არ შეუძლია საერთოდ უარი თქვას კანონზე, რომელიც ასეთ უფლებებს ადგენს, უარი თქვას სამართალსუბიექტობაზე. ადამიანი სამართლის სუბიექტია, იმისაგან დამოუკიდებლად, სურს თუ არა მას, რომ მასზე ვრცელდებოდეს უფლებებისა და მოვალეობების გარკვეული კომპლექსი (საჯარო უფლებები და მოვალეობები) და სხვა უფლებებისა და მოვალეობების მოპოვების შესაძლებლობა (უფლებაუნარიანობა). რადგანაც ნორმას ლოგიკურად ვალიარებთ მისი გააზრების აქტით, ხოლო ამ აქტით ჩვენ ვწვდებით ნორმის აზრსა და შინაარსს (შინაარსში შედიან: სუბიექტი, ობიექტი უფლება და ვალდებულება), ამიტომ მიუხედავად იმისა ვალიარებთ თუ არა ფსიქიურად ნორმას, იგი დგას ჩვენი შეგნების წინაშე როგორც აუცილებლობა. ყოველი ფსიქიური აღიარებისა თუ უარყოფის დროს ნორმა ლოგიკურად აღიარებულად რჩება. მართლაც, რომ ნორმა მოცემული არ იყოს, ე. ი. რომ ნორმა ჩვენს მიერ ლოგიკურად აღიარებული არ იყოს, მაშინ, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა არც ფსიქიური აღიარების აქტს და არც უარყოფის აქტს.⁶

მოსაზრება უფლებაუნარიანობის შესახებ, როგორც პირის აბსტრაქტული შესაძლებლობისა იქონიოს უფლებები და მოვალეობები, დამაჯერებლად დაასაბუთა ს. ნ. ბრატუსმა. მამასადამე, თუ უფლებაუნარიანობა წარმოადგენს ზოგად სამართლებრივ შესაძლებლობას, მაშინ კონკრეტული სამართლებრივი შესაძლებლობის ანუ უფლების მატარებლის როლში შეიძლება გამოვიდეს კონკრეტული პირი და არა ყველა სამართლის სუბიექტი. მართებულად წერს ე. ა. ფლეიშიცი: კანონი ვერ იწანასწარმეტყველებს, თუ სახელდობრ რომელი უფლებები წარმოიშვებიან უფლებაუნარიანობის საფუძველზე თითოეული მისი მფლობელისათვის. უფლებაუნარიანობა არის ერთგვარი „ბლანკე-

⁵ Ц. А. Ямпольская, О субъективных правах советского гражданина и их гарантии. «Вопросы государственного права», М. 1959 г. с. 150.

⁶ გ. ნანუიშვილი „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, თსუ, 1928 წ. გვ. 12—13.

ტური“ შესაძლებლობა. უფლებათუნარიანობის საფუძველზე წარმოშობილ უფლებას კი ყოველთვის აქვს განსაზღვრული შინაარსი: მის მფლობელს ანიჭებს განსაზღვრული მოქმედების შესაძლებლობას, ასეთი განსაზღვრული მოქმედების ზომას.⁷

ზემომოყვანილი მოსაზრებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამართალსუბიექტობა ყოველთვის რჩება უცვლელ სამართლებრივ კატეგორიად (თუ სამართალი არ ადგენს ახალ უფლებებს ან არ აუქმებს არსებულს) და არ ტრანსფორმირდება, სამართლებრივი მდგომარეობა კი იცვლება და ტრანსფორმირდება (სამართალსუბიექტობის ფარგლებში), რადგან უფლება შეიძლება იყოს შეძენილი, დაკარგული, საერთოდ არ იყოს შეძენილი ან რჩებოდეს როგორც ფიქტიური. თუმცა მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც დადგენილია სამართლით, მაგრამ არა ყველა უფლების შეძენა ან ფაქტიურად შეძენა შეუძლია თითოეულ მათგანს. სწორედ აქ გადის საზღვარი სამართალსუბიექტობისა და კონკრეტული მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობას შორის. ამიტომ დინამიურ ხასიათს ატარებს არა უფლებათუნარიანობა (სამართალსუბიექტობა), როგორც ამას მ. მ. აგარკოვი ამტკიცებდა⁸, არამედ სწორედ მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა.

უფლებრივი მდგომარეობა, სამართალსუბიექტობისაგან განსხვავებით წმინდა ინდივიდუალური კატეგორიაა, რადგან მასში შემავალი უფლებები განსხვავდებიან სამართლის ნორმებში ფორმულირებული უფლებებისაგან მათი დამოკიდებულებით კონკრეტულ მოქალაქეებთან.⁹ ეს ის უფლებებია, რომლებიც ახასიათებენ თითოეული მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში და გამოჰყოფენ მოქალაქეებს ერთმანეთისაგან უფლებრივი მდგომარეობის მოცულობით.

3. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არსებობენ უფლებებისა და მოვალეობების ისეთი სახეები, რომლებიც „სამართლებრივი ურთიერთობის“ გარეთ იმყოფებიან, როდესაც ერთი პირის უფლებას არ შეესაბამება მეორის ვალდებულება და პირიქით. ხომ არ ნიშნავს ეს სამართლის ზოგადი პოსტულატის დარღვევას, რომ არ არის უფლება ვალდებულების გარეშე, არ არის ვალდებულება უფლების გარეშე? შესაძლებელია თუ არა ამ დებულების დაცვა „სამართლებრივი ურთიერთობის“ ფარგლებს გარეთ? ჩვენის აზრით ეს საკვებით შესაძლებელია, თუ გათვალისწინებული იქნება სამართლებრივი ნორმის უფლებამოსილებით - მავალბელი ხასიათის და დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების განსხვავების ნამდვილი აზრი აბსოლუტურ უფლებებთან და მოვალეობებთან კავშირში.

ცხადია, რომ ნორმაში, რომელშიც დადგენილია მხოლოდ ვალდებულება, არ ჩანს უფლება, ისევე როგორც ნორმაში, რომელშიც ფორმულირებულია

7 **Е. А. Флейшиц**, *Соотношение правоспособности и субъективных прав*. Вопросы общей теории советского права» М. 1960, с. 258. ამგვარად, აბსტრაქტული და ბლანკეტური შესაძლებლობა, მოცემულ შემთხვევაში, იდენტური ცნებებია.

8 **М. М. Агарьев**, *Обязательство по советскому гражданскому праву*, «Ученые труды ВЮН», М. 1940 г., стр. 69—71.

⁹ ამ ლოგიკურმა განსხვავებამ დიდი ხანია ჰპოვა თავისი ტერმინოლოგიური ასახვა ქართულ ენაში („სამართლისა“ და „უფლების“ სახით სხვა ევროპულ ენებთან შედარებით, სადაც ერთი ტერმინით (მაგ. ფრანგულში — *droit*, გერმანულში — *Recht* (გამოიხატება ორი იურიდიული ცნება, მხოლოდ ინგლისურ ენაში ვხვდებით ანალოგიურ ტერმინოლოგიურად მოხერხებულ განსხვავებას (*Zaw, right*).

უფლება, არ ჩანს ვალდებულება. ამ ფაქტმა შესაძლებლობა მისცა ზოგიერთ საბჭოთა იურისტს ემტკიცებია უფლების არსებობა ვალდებულების გარეშე და პირიქით. მაგრამ ამ მოსაზრებამ, რომელიც ემყარება ნორმატიული აქტების გარეგანი ფორმით გატაცებას, ვერ ჰპოვა საერთო აღიარება და არსებითად მცდარი და მიუღებელი აღმოჩნდა. საერთო აღიარება ჰპოვა იმ მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც ყოველი ნორმა ატარებს ორმხრივ, უფლებამოსილებით მავალბებელ ხასიათს. როგორც არა ერთხელ და სრულიად მართებულად იყო აღნიშნული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, არ შეიძლება კანონის მუხლისა და სამართლის ნორმის გაიგივება, ნორმის სიტყვიერი ფორმულირების დაყვანა მის ლოგიკურ აზრამდე. მეორეს მხრივ, დისპოზიციური ნორმები, რომლებიც ადგენენ პირის უფლებებს, მიმართული არიან პირისადმი იმდენად, რამდენადაც ის ერთდროულად არის იმპერატიული ნორმების შემსრულებელი. ამიტომ ამ ნორმის მეორე ასპექტი ყოველთვის გულისხმობს თავის თავის იგივეობრივ ვალდებულ სუბიექტს. იმპერატიული ნორმები, რომლებიც ადგენენ ვალდებულებებს, თავის მხრივ, რეფლექტორულად წარმოშობენ უფლებებს.

აბსოლუტური უფლებებისა და ვალდებულებების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტური უფლების თითოეული მფლობელი თავის საზოგადოებრივ მდგომარეობაში ათავსებს ამავე შინაარსის აბსოლუტურ მოვალეობას.¹⁰ აბსოლუტური უფლებისა და მოვალეობის ამ თავისებურებას (სხვა თავისებურებებთან ერთად) გაჰყავს ისინი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ და ამით მყარდება პირთა საყოველთაო კავშირ-ურთიერთობა საზოგადოებაში.

4. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უფლებრივი მდგომარეობის ელემენტებს წარმოადგენენ აბსოლუტური უფლებები (მოვალეობები), მაგრამ ეს უფლებები (მოვალეობები) არ არიან სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები, არამედ არსებობენ „სამართლებრივი ურთიერთობის“ გარეთ. ისმის კითხვა: რა როლს თამაშობენ მაშინ სამართლებრივი ურთიერთობის უფლებრივი მდგომარეობის დინამიკაში და რა ადგილი უნდა ეჭიროთ შეფარდებით უფლებებს (როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს) უფლებრივი მდგომარეობის მოცულობაში?

როგორც მეორე პარაგრაფში იყო აღნიშნული, მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა იცვლება და ტრანსფორმირდება. უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებისა და ტრანსფორმაციის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს პირის შესვლა სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობაში. ამიტომ სამართლებრივი ურთიერთობა გამოდის როგორც აბსოლუტური უფლებების (მოვალეობების) განხი-

¹⁰ შეფარდებითი უფლების მატარებელი პირიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება ათავსებდეს შეფარდებით მოვალეობას, მაგრამ ეს უკანასკნელი სულ სხვა შინაარსის იქნება, ვიდრე მისი შეფარდებითი უფლება. ეს გამომდინარეობს, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 153 მუხლის I ნაწილის ლოგიკური ახსნა-განმარტებიდან. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 153 მუხლის I ნაწილს მხედველობაში აქვს არა მარტო შემთხვევები, როდესაც კრედიტორი, მაგალითად სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობიდან (სკ 391 მუხლი) მოვალის მიმართ მხოლოდ წმინდა უფლებებს ახორციელებს, არამედ აგრეთვე ის შემთხვევები, როდესაც ერთ საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაში ორი სხვადასხვა სახის ვალდებულება (შესაბამისი ორი სხვადასხვა სახის უფლება) არსებობს; როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ ნაწილში პირი გამოდის კრედიტორად, ხოლო მეორე ნაწილში მოვალედ. (სკ 237, 254, 270 მ. მ.).

რციელების საშუალება. სწორედ მათი მეოხებით მოქალაქის უფლებბრივი სტატუსი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთი უფლებბრივი მდგომარეობიდან მეორე უფლებბრივ მდგომარეობაში გადადის (დინამიკა). რაც შეეხება შეფარდებით უფლებებს (მოვალეობებს), რომლებსაც პირი იძენს სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის შედეგად უმრავლეს შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ აბსოლუტურ უფლებების (მოვალეობების) კონკრეტულ (ცალკეულ) გამოვლინებებს. კონკრეტული შეფარდებითი უფლება არსებობს შესაბამისი აბსოლუტური უფლების ფარგლებში. უფლება, რომელიც გამომდინარეობს გირავნობის ხელშეკრულებიდან, უფლება, რომელიც გამომდინარეობს პირის მონაწილეობიდან არჩევნებში, სახელის არჩევა, უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ შრომითი ხელშეკრულებიდან და ა. შ., შესაბამისად არიან საკუთრების უფლების, საარჩევნო უფლების, სახელზე უფლების, შრომის უფლების და ა. შ. კონკრეტული გამოვლინებები. ამიტომაც, არ იქნება ჩვენი პოზიციიდან გადახრა, თუ კი ვიტყვი, რომ უფლებბრივ მდგომარეობაში შედიან როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი უფლებები, თუმცა აბსოლუტური უფლებები შეადგენენ მოქალაქის უფლებბრივი მდგომარეობის ბირთვს, ხოლო შეფარდებითი უფლებები წარმოადგენენ მათ ცალკეულ გამოვლინებებს. მესაკუთრის მფლობელობის უფლება ატარებს დამოუკიდებელ ხასიათს, ხოლო მოიჯარადრის მფლობელობის უფლება — მესაკუთრის უფლებიდან წარმოებულ ხასიათს. მოიჯარადრეებს მფლობელობის უფლება წარმოეშებათ მესაკუთრის მიერ განკარგვის უფლების განხორციელების შედეგად, თუმცა ამის გამო საკუთრების უფლება არ წყდება. ამიტომაც, რომ თუ კი არამესაკუთრე მფლობელი არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ნივთის დაცვის უფლებით (152 მ) და არ წარადგენს სარჩელს სხვისი არაკანონიერი მფლობელობიდან ნივთის ამოღების შესახებ, მაშინ ასეთი სარჩელის წარდგენის უფლება მესაკუთრეს აქვს. ასევე, არამესაკუთრეს შეიძლება გადაეცეს განკარგვის ცალკეული უფლებები, მაგრამ არა მთელი მოცულობით. ასე მაგალითად, მოიჯარადრეს ეძლევა უფლება დასდოს მხოლოდ ქვექირავნობის ხელშეკრულება (283 მ.), რკინიგზის უფლება აქვს მხოლოდ გაყიდოს მოუკითხავი საქონელი, მაგრამ ასეთის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის განკარგვის უფლება, რკინიგზის პრეტენზიების დასაფარავად, აქვს მხოლოდ მესაკუთრეს.

5. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ცვლილება მოქალაქის უფლებბრივ მდგომარეობაში ხდება მართლწესრიგის ფარგლებში და ამიტომაც სამართალსუბიექტობა ყოველთვის რჩება იმ აბსტრაქტულ ანუ „ბლანკეტურ“ შესაძლებლობად, რომლის საზღვრებში პირს შეუძლია გამოავლინოს სამართლის მიერ აღიარებული სოციალური თავისუფლება, ფლობდეს მისგან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს.

სახელმწიფო შრომითი შემაჯავებელი სერტიფიკატის მეანაბრა-მოქალაქეთა უფლებები

დ. ბაგნიძე

სსრ კავშირში მოსახლეობის ფულადი შემოსავალი წლიდან წლამდე დიდდება. ამის შესაბამისად განუხრელად იზრდება მშრომელთა დანაზოგები ანაბრის სახით სახელმწიფო შემნახველ სალაროებში. ასე მაგალითად, 1965 წლის დამლევს ჩვენს ქვეყანაში ანაბრებმა 18,7 მილიარდ მანეთს მიაღწია, ერთი წლის მანძილზე იგი 19 პროცენტით გადიდდა. საქართველოში მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში ამავე პერიოდში გადიდდა 32 პროცენტით და 1965 წლის დამლევისათვის შეადგინა 357 მილიონი მანეთი, მეანაბრეთა რიცხვმა კი 797 ათასს მიაღწია.

შემნახველ სალაროებში ანაბრების სახით შეტანილი მშრომელთა ფულადი დანაზოგები წარმოადგენენ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ნებაყოფლობით მობილიზაციას, რომელიც გამოიყენება სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისათვის.


შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბარი ატარებს სესხის ხელშეკრულების ხასიათს — შემნახველ სალაროსა და მეანაბრეს შორის.

სესხის ხელშეკრულებით ერთი მხარე (გამსესხებელი) გადასცემს მეორე მხარეს (მსესხებელს) ფულს დროებით სახმარად. მსესხებელი (შემნახველი სალარო) ვალდებულია დაუბრუნოს გამსესხებელს (მეანაბრეს) მიღებული მთელი ფულადი თანხა პროცენტის ან მოგებათა სახით.

მოსახლეობის ფულადი დანაზოგების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში მოცემულ დებულებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ანაბრების საიდუმლოებას, მათს შენახვასა და გაცემას მეანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე. სახელმწიფო შემნახველი სალაროების წესდების ერთ-ერთ პირველ მუხლში ნათქვამია: „ფულადი თანხებისა და ფასეულობების დაცვა, რაც მინდობილი აქვთ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებს გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ“.

სახელმწიფო მეანაბრეს აძლევს იმის გარანტიას, რომ შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბარი შეუძლია უკანვე მიიღოს ყოველთვის, თუნდაც იმავე დღეს, როდესაც შეტანილია ანაბარი, ან რამდენიმე წლის შემდეგ. ამ უკანასკნელ ხანს მეანაბრეთათვის დამატებითი შეღავათების მინიჭების მიზნით, ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროს ნება აქვს დართული ვასცეს ანაბარი საშემნახველო წიგნაკით მას შემდეგ, რაც ტელეგრაფით მიიღებს დასტურს იმ შემნახველი სალაროსაგან, რომელიც აწარმოებს მეანაბრის პირად ანგარიშს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის ანაბრების თაობაზე საიდუმლოების დაცვას. სსრ კავშირის სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების დებულების მე-7 მუხლი ადგენს, რომ „ყველა პირი, ვინც მუშაობს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების ორგანოებში, აგრეთვე ვინც აწარმოებს სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების რევიზიებს, ვალდებულია“.



ბულნი არიან მკაცრად დაიცვან მენაბრეთა და სხვა კლიენტთა ოპერაციების სა-
იღუმლოება“. ცნობებს დანაზოგებზე შემნახველი სალაროები აძლევენ მხოლოდ
თვით მენაბრეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. გამონაკლისი დაწესებულია
მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რომელზედაც კანონით გათვა-
ლისწინებულია ქონების კონფისკაცია. სახელმწიფო შრომის შემნახველ სალა-
როებში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა, შეიძლება სასამართ-
ლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილებუ-
ლია სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სარჩელი, ან სასამართლოს გა-
დაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტების გადახდევინების სარჩელზე (თუ არ
არის ხელფასი ან სხვა ქონება, რომლიდანაც შეიძლება გადახდევინების მიქცე-
ვა), ან იმ ანაბრების გაყოფის შესახებ, რომელიც მეუღლეთა თანაბარი ქონებაა.

ყოველ მენაბრეს უფლება აქვს განუსაზღვრელი ვადით შეიტანოს შემნახ-
ველ სალაროში რა თანხაც სურს, აგრეთვე გახსნას შემნახველ სალაროში თავის
სახელზე ერთი ან რამდენიმე ანგარიში, მას მხოლოდ არა აქვს უფლება ერთი
ანგარიში გახსნას რამდენიმე პირზე.

შემნახველ სალაროში გახსნილ ანგარიშზე ყოველი ოპერაციის შემდეგ უნ-
და რჩებოდეს არა ნაკლებ — 50 კაპიკისა, ორგანიზაციების ანგარიშებზე არა-
ნაკლებ — 2 მან. და 50 კაპიკისა.

ანაბრებზე გაიცემა შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა სახით. ეს შე-
მოსავალი არ იბეგრება არავითარი გადასახადით. რომ სრულად შევაფასოთ იმ
უფლებრივი შედეგათებისა და უპირატესობების მნიშვნელობა, რომლებიც ეძ-
ლევათ ჩვენს ქვეყანაში მენაბრეებს, მიზანშეწონილია შევადაროთ იგი კაპი-
ტალისტური სამყაროს შემნახველ სალაროებში დადგენილ ზოგიერთ წესებს.
კაპიტალისტურ ქვეყნების შემნახველ სალაროებში, იმისათვის რომ გააძლიე-
რონ კონკურენცია შემნახველ სალაროებსა და კომერციულ ბანკებს შორის,
უფრო თავისუფლად მოახდინონ შემნახველ სალაროებში დაგროვილი კაპიტა-
ლის მანევრირება, შემოღებულია სხვადასხვა შეზღუდვა. მაგალითად, თუ მე-
ნაბრემ წინასწარ არ წარადგინა გაფრთხილება, ისიც დიდი ხნით ადრე, მთელ
რიგ შემთხვევაში მას არ მისცემენ ფულს თავისი ანაბრებიდან, ან მისცემენ წი-
ნასწარ განსაზღვრული მინიმალური რაოდენობის თანხას. ანაბარზე დარიცხული
პროცენტებიდან, როგორც წესი, მენაბრეს ექვეთება საშემოსავლო გადასახა-
დი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ფაქტიური შემოსავლის ოდენობას. აქედან
ჩანს, რომ სსრ კავშირში შემნახველი სალაროს მენაბრეს გაცილებით უფრო
ფართო უფლებები აქვს.

შემნახველი სალაროს მენაბრე ჩვენში შეიძლება იყოს, როგორც სრულ-
წლოვანი, ისე არასრულწლოვანიც. ანაბრებს არასრულწლოვანის სახელზე შემ-
ნახველი სალაროები მიიღებენ, როგორც თვით მენაბრისაგან, ისე სხვა პირი-
საგან.

ანაბარი, რომელიც არასრულწლოვანმა თვითონ შეიტანა, შეუძლია მანვე
მიიღოს რა დროსაც სურს. იმ ანაბარს კი, რომელიც შეტანილია არასრულწლო-
ვანის სახელზე სხვა პიროვნების მიერ, განაგებენ სანამ მენაბრეს 14 წელი შე-
უსრულდება, — ვისი მშობლები, ან მეურვე; ხოლო 14 წლის ასაკის შესრუ-
ლების შემდეგ — თვითონ მენაბრე, მაგრამ მშობლების ან მეურვის თანხმო-
ბით. იმ არსებით უფლებრივ უპირატესობათა წყებას, რომლითაც სარგებლო-
ბენ ჩვენს ქვეყანაში შემნახველ სალაროთა მენაბრეები, ეკუთვნის კერძოდ ანა-
ბრების განკარგულების შესახებ მინდობილობათა მოწმობების შედგენის გამარ-

ტივებულ ფორმა და მოსახლეობისათვის მოხერხებული წესი ანაბრების ანდერძისა.

მენაბრეს შეუძლია თავისი ანაბრის განკარგულების უფლება მისცეს ერთს, ან რამდენიმე პირს, მაგალითად, თავისი ოჯახის წევრებს. ამისათვის საერთო წესში დაშვებულია გამოჩაკლისი — მინდობილობის გაფორმებისათვის სავალდებულო არ არის სანოტარო კანტორისათვის მიმართვა, მინდობილობის დაწერა მენაბრეს შეუძლია პირადი ანგარიშის ფურცელზე შემნახველ სალაროში; ასეთ მინდობილობას დაამოწმებს შემნახველი სალაროს კონტროლიორი. თუ მინდობილობის შედგენა ხდება არა შემნახველ სალაროში, არამედ სხვაგან, მისი შემოწმება შეიძლება ნებისმიერ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში, სადაც მენაბრე მუშაობს, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში, ანდა სახლმმართველობაში მენაბრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მინდობილობა შეიძლება დაამოწმოს საავადმყოფომ, ჰოსპიტალმა ან სხვა სამკურნალო დაწესებულებამ, რომელშიც მენაბრე სამკურნალოდ იმყოფება. მენაბრის მინდობილობას, 50 მანეთამდე, თანხის ერთჯერადი მიღებისათვის, შემნახველი სალარო იღებს მენაბრის ხელმოწერის დაუმოწმებლად.

მინდობილობა შეიძლება გაცემული იქნეს არა უმეტეს სამი წლის ვადით. თუ მინდობილობაში ვადა ნაჩვენებია არ არის, იგი ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. მენაბრეს, რომელმაც მინდობილობა პირადი ანგარიშის ფურცელზე დაწერა, უფლება აქვს გააგრძელოს მინდობილობის ვადა.

მინდობილობა ძალას კარგავს მენაბრის გარდაცვალების შემთხვევაში და ამიტომ არ შეიძლება ასეთი მინდობილობით შეიცვალოს საანდერძო განკარგულება ანაბრის შესახებ.

ქონებაზე ანდერძის დატოვების საერთო წესისაგან განსხვავებით, ანაბარზე საანდერძო განკარგულება შეიძლება შედგენილ იქნას ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი კანონით მემკვიდრეები, აგრეთვე იურიდიული პირის (სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების) სასარგებლოდ.

საანდერძო განკარგულებას წერს მენაბრე თავის პირად ანგარიშზე შემნახველ სალაროში. ამ განკარგულებას დაამოწმებს შემნახველი სალაროს კონტროლიორი.

მენაბრეს შეუძლია საანდერძო განკარგულება ჩაწეროს საშემნახველო ან საანგარიშსწორებო წიგნაკში ან შეიტანოს განცხადება შემნახველ სალაროში. ასეთ შემთხვევაში საანდერძო განკარგულებას დაამოწმებს ერთ-ერთი ის ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს ანაბრის განკარგულების შესახებ მინდობილობის დამოწმების უფლება. სახლმმართველობას საანდერძო განკარგულების დამოწმების უფლება არა აქვს.

მენაბრეს შეუძლია შეადგინოს ანაბარზე სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი. გაცემული საანდერძო განკარგულება, რასაკვირველია არ ათმევს უფლებას სიცოცხლის განმავლობაში თავისი ანაბარი განაგოს ისე, როგორც მას სურს.

მენაბრის გარდაცვალების შემთხვევაში მის ანაბარს შემნახველი სალარო მისცემს იმ პიროვნებებს, რომელთაც ანდერძით ეკუთვნით ეს ანაბარი.

ანაბარი, რომელიც საანდერძევი არ არის ეძლევათ გარდაცვალებული მენაბრის მემკვიდრეებს.

მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ შემნახველ სალაროში ანაბარი ან მი-

სი ნაწილი არაუმეტეს 100 მანეთის თანხისა, მემკვიდრეობის უფლების მქონე სანოტარო მოწმობის წარუდგენლად.

შემნახველ სალაროში ამისათვის წარდგენილ უნდა იქნას მენაბრის გარდაცვალების მოწმობა, მისი საშემნახველო წიგნაკი და იმ მემკვიდრის პასპორტი, რომელიც ფულს იღებს. ანაბრის მიმღებ მემკვიდრეებმა შემნახველი სალაროს წინაშე უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ სხვა მემკვიდრეებს, თუ ასეთები გამოჩნდებიან მისცენ მიღებული თანხიდან კუთვნილი წილი.

შემნახველი სალარო ასეთი წესით ფულს გასცემს მენაბრის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის გასვლამდე.

სხვა თანხებს, რომელიც არ იყო გაცემული ექვსი თვის ვადაში, შემნახველი სალარო გასცემს მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი სანოტარო კანტორის მოწმობის ან სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების წარდგენისას.

თუ შემნახველ სალაროში წარადგინეს სანოტარო კანტორის განკარგულება, რომ ანაბრიდან გაიცეს რაიმე თანხა საექიმო დახმარების, ავადმყოფის მოვლა-პატრონობის, მენაბრის დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად და ა. შ. ნაჩვენები თანხა გაიცემა იმ პირობე, რომელიც დასახელებულია განკარგულებაში.

ეს წესები მოწმობენ, რომ შემნახველ სალაროებში მოთავსებულ ანაბრებზე სავსებით უზრუნველყოფილია სსრ კავშირის მოქალაქეთათვის მინიჭებული მემკვიდრეობის უფლება.

საზღვარგარეთ წასულ საბჭოთა კავშირის მოქალაქეების ანაბრებზე განკარგულების გაცემის განსაკუთრებული წესია დადგენილი.

საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით სამუშაოდ წასულ მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ განაგონ თავისი ანაბრები საერთო წესის მიხედვით; მათ შეუძლიათ გასცენ მინდობილობა და ჩეკი პიროვნებაზე, რომელიც იმყოფება სსრ კავშირში, გარდა ამისა შეუძლიათ გააფორმონ უნაღდო ანგარიშსწორების გადასახადის ბრძანება საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის სახელზე. მათი ანაბრები შეიძლება შევსებულ იქნას, თანხების გადარიცხვის გზით მხოლოდ შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციებისაგან.


საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც წასული არიან სსრ კავშირიდან სოციალისტურ ქვეყნებში მუდმივ საცხოვრებლად, შეუძლიათ გადაიტანონ კუთვნილი ანაბრები ამ ქვეყნებში.

ანაბრების გადაგზავნას ახორციელებენ ცენტრალური შემნახველი სალაროები, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის მეშვეობით.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, რომელიც დროებითაა წასული საზღვარგარეთ, როგორც კერძო პიროვნება (სამკურონალოდ და ა. შ.), შეუძლია განაგოს თავისი ანაბარი პირადად ან ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ნებართვით.

ასეთივე წესია გათვალისწინებული სსრ კავშირის შემნახველი სალაროების იმ უცხოელი მენაბრეებისათვის, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ანაბრის შეტანისას ამოიჩიოს თავის დანაზოვის შენახვის ის ფორმა, რომელიც მისთვის უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია. სსრ კავშირის შემნახველ სალაროებში არსებობს შემდეგი სახის ანაბრები: მოთხოვნამდე, ვადიანი, მომგებიანი, პირობითი და მიმდინარე ანგარიშისა.



ანაბრის შეტანა **მოთხოვნამდე** განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული. მის წილად მოდის 70 პროცენტზე მეტი მთელი იმ თანხისა, რაც მოსახლეობას შეტანილი აქვს შემნახველ სალაროებში. ამ სახის ანაბრებზე წინასწარ არ წესდება არც შენახვის ვადა, არც სხვა პირობა. მოთხოვნამდე ანაბარი შეიძლება შევავსოთ, როცა გვინდა და გამოვიტანოთ ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად.

მეანაბრეს ასეთ ანაბარზე ეძლევა შემოსავალი წლიურად 2 პროცენტი, ე. ი. 2 მანეთი ყოველ ას მანეთზე.

შემნახველ სალაროებში მოთავსებული დანახოვის საგრძნობი ნაწილი შეტანილია **ვადიანი ანაბრის სახით**. ანაბარი ვადიანად ითვლება, თუ მეანაბრემ მისი შეტანისას თანხმობა განაცხადა, რომ ფულის გატანას არ მოითხოვს 6 თვეზე ადრე. ამის შესაბამისად მეანაბრის მიერ შევსებულ შემოსავალის ორდერზე და მიღებულ საშემნახველო წიგნაკზე კეთდება აღნიშვნა „ვადიანი“.

ამ მოთხოვნის დაუცველად რამდენი ხანიც არ უნდა იყოს ანაბარი შემნახველ სალაროში, იგი ვადიანად არ ჩაითვლება. ამ ანაბარზე მეანაბრეს შემოსავალი ეძლევა წლიურად 3 პროცენტის ოდენობით.

მეანაბრეს უფლება აქვს თავისი ანაბარი მიიღოს დათქმულ 6 თვეზე ადრეც, თუ ეს მისთვის საჭირო გახდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ მიეცემა გადიდებული პროცენტი და დაერიცხება შემოსავალი წლიური 2 პროცენტის მიხედვით. თუ მეანაბრე 6 თვის გასვლის შემდეგ არ გაიტანს ვადიან ანაბარს, მაშინ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ანაბარი შემნახველ სალაროში ინახება, მეანაბრეს მიეცემა შემოსავალი წლიურად 3 პროცენტის კვალობაზე.


პირობითი ანაბრები ეწოდება იმ ანაბრებს, რომელთა შეტანისას დაწესებულია რაიმე პირობა ან დათქმულია გარკვეული გარემოება (უმადლესი სასწავლებლის დამთავრება, სრულწლოვანების მიღწევა და ა. შ.). შემნახველი სალარო პირობით ანაბარს ვასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ დათქმული პირობა შესრულებულია ან უკვე შეიქმნა ის გარკვეული გარემოება, რომელიც ნახვენები იყო ანაბრის შეტანისას. მაგალითად, მეანაბრემ დამთავრა სასწავლებელი, ან მას შეუსრულდა 18 წელი.

დათქმული პირობის შესრულებამდე ანაბარი შეიძლება მიეცეს მეანაბრეს მხოლოდ იმ პიროვნების ნებართვით, რომელმაც ანაბარი შეიტანა, ხოლო თუ მეანაბრე არასრულწლოვანია, საჭიროა მისი მშობლების თანხმობა.

პირობით ანაბარზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი წლიური 2 პროცენტის ოდენობით.

არსებობს აგრეთვე **მომგებიანი ანაბრები**. მოთხოვნამდე ანაბრებისაგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ მეანაბრეთა კუთვნილი შემოსავალი წლიური 2 პროცენტის კვალობაზე, გათამაშდება მოგებათა სახით ტირაჟებში, რომლებიც ტარდება რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში წელიწადში ორჯერ: 1-დან 10 აპრილამდე და 1-დან 10 ოქტომბრამდე.

მომგებიანი ანაბრების ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშდება 25 მოგება. ამასთან თითოეული მათგანი განისაზღვრება მეანაბრის მომგებიან ანგარიშზე რიცხული გასული ნახევარი წლის ანაბრის საშუალო თანხის მიხედვით. 25 მოგებიდან ერთი მოგება განსაზღვრულია ანაბრის საშუალო თანხის 200 პროცენტის ოდენობით, ორი მოგება თითოეული 100 პროცენტის, ორი



მოგება — თითოეული 50 პროცენტის და 20 მოგება — თითოეული 25 პროცენტის ოდენობით.

გათამაშების უახლოეს ტირაჟში მონაწილეობა მენაბრეს შეუძლია მასინაც, თუ ანაბარს შეიტანს როცა მას სურს, მაგრამ ამ შემთხვევაში ანაბრის საშუალო ნაშთი და, მასასადამე, მოსალოდნელი მოგების თანხაც, შესაბამისად — ნაკლები იქნება. თვითეულ ანგარიშზე უნდა ინახებოდეს არაუმეტეს 1.000 მანეთისა, ვინაიდან თუ იმ ანგარიშს, რომელზედაც მეტი თანხა შეტანილი, მოგება ხვდა, მოგების თანხა გამოანგარიშებული იქნება 1000 მანეთის ანაბრის თანხიდან გამომდინარე. შემნახველ სალაროში შეიძლება გავხსნათ ორი ან რამდენიმე მომგებიანი ანგარიში თვითეულზე ათას მანეთამდე ანაბრის თანხით.

მოგების შესაძლებლობა მეტად დიდია, ვინაიდან ყოველ ტირაჟში ერთი მოგება მოდის ყოველ 40 ანგარიშზე, ხოლო ყოველწლიურად მოწყობილ ორ ტირაჟში — ყოველი 20 ანგარიშიდან ერთ ანგარიშზე, ამასთან არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ მენაბრემ ორჯერ ზედიზედ მოიგოს, მომგებიანი ანაბრების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და ამის შედეგად იზრდება აგრეთვე ტირაჟებში მოგებათა რაოდენობა.

შემნახველ სალაროში შეიძლება შევიტანოთ ფული მიმდინარე ანგარიშზეც, ფულადი სახსრების შეტანის ეს ფორმა ბევრად არ განსხვავდება მოთხოვნამდე ანაბრებისაგან.

მიმდინარე ანგარიშზე შეიძლება ნებისმიერი თანხის შეტანა და მათი გამოტანა ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად. მიმდინარე ანგარიშზე მენაბრეს ეძლევა შემოსავალი წლიურად 2 პროცენტის კვალობაზე. მიმდინარე ანგარიშის მფლობელს შემნახველი სალარო აძლევს არა საშემნახველო წიგნაკს, არამედ საანგარიშსწორებო და საჩეკო წიგნაკებს. საანგარიშსწორებო წიგნაკში შემნახველი სალაროს მუშაკები ჩაწერენ ყველა შენატანებს, ხოლო მიმდინარე ანგარიშიდან ფულის გაცემის რეგისტრაცია შეუძლია აწარმოოს თვით ანგარიშის მფლობელმა.

ჩეკის შესავსებად შემოდებულია მთელი რიგი წესები, თვითეულ ჩეკზე აღინიშნება იმ შემნახველი სალაროს ნომერი და ადგილსამყოფელი, სადაც მენაბრის მიმდინარე ანგარიში წარმოებს. აღინიშნება აგრეთვე ანგარიშის ნომერი. ჩეკის შევსებისას მენაბრე ჩასწერს მასში თავის გვარს, სახელს და ჩეკის გაცემის თარიღს, წელიწადს, გაცემის ადგილს, აგრეთვე ფულად თანხას — ციფრებით და სიტყვებით. შეიძლება ჩეკის გამოწერა წარმომდგენზეც.

ჩეკი უნდა იყოს მეღვინით შევსებული და მენაბრის მიერ ხელმოწერილი. არავითარი შესწორების შეტანა ჩეკის ტექსტში არ დაიშვება. ჩეკი ძალაშია ათი დღის განმავლობაში, გაცემის დღის ჩათვლელად.

ვადიანი, პირობითი, მომგებიანი ანაბრები და ანაბრები მიმდინარე ანგარიშებზე, შემნახველ სალაროში შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ გარკვეული პიროვნების — მენაბრის სახელზე.

მოთხოვნამდე ანაბრებს შემნახველი სალაროები იღებენ, როგორც სახელობითს, ისე წარმომდგენზე. პრაქტიკულად, მოთხოვნამდე ანაბრების დიდი უმეტესობა შემნახველ სალაროებში შეაქვთ გარკვეული პიროვნების სახელზე, ხოლო წარმომდგენის ანაბრების რიცხვი უმნიშვნელოა. წარმომდგენის ანაბრების მიღებას აწარმოებს მხოლოდ რაიონის ცენტრალური შემნახველი სალარო.

წარმომდგენის ანაბრის საშემნახველო წიგნაკის ან მისი საკონტროლო ფურცლის, ანდა ორივე დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში ანაბრის გაცემა იმ პიროვნებაზე, რომელმაც დაკარგა დოკუმენტები შემნახველ სალაროს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს ფული შემნახველ სალაროში და მიიღოს აკრედიტივი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი შემნახველი სალაროს მეანაბრე.

შემნახველ სალაროს აკრედიტივი წარმოადგენს გზაში — მივლინებაში, ავარაკზე მგზავრობისას, ექსკურსიის დროს და სხვ., ფულის შენახვის ყველაზე მოხერხებულ და საიმედო საშუალებას.

აკრედიტივები ჩვენს ქვეყანაში ფართო პოპულარობით სარგებლობენ. ამ დოკუმენტით სარგებლობს მილიონობით მშრომელი.

აკრედიტივი სახელობითი დოკუმენტია, რომლითაც ერთი ქალაქის ან რაიონის შემნახველ სალაროში შეტანილი ფული შეიძლება მივიღოთ ყოველ სხვა ქალაქის ან რაიონის შემნახველ სალაროში.

აკრედიტივის მფლობელს ხელზე ეძლევა ორი დოკუმენტი: აკრედიტივი და მისი საკონტროლო ფურცელი. ფული აკრედიტივზე გაციემა პასპორტის ან პასპორტის შემცვლელი დოკუმენტის წარმომდგენისას. ამჟამად შემნახველ სალაროებში გამოყენებულია სამი სახის აკრედიტივი, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თანხის რაოდენობითა და ბლანკის ფორმით.

აკრედიტივი ძალაშია მისი გაციემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ გადაგადაცილებულ აკრედიტივზე ფულის გაციემა შეიძლება წარმოებდეს სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის, მხარის ან ოლქის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის იმ სამმართველოს ნებართვით, რომლის სახელწოდება აღნიშნულია აკრედიტივის ბლანკზე.

მშრომელთა მასების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად სოციალისტური სახელმწიფო იცავს და განამტკიცებს საბჭოთა მოქალაქეთათვის მინიჭებულ უფლებებს შრომით შემოსავალსა და ფულად დანაზოგებზე.

პროკურორის ინიციატივით აღძვრილი საჩხედები

2. ცირაშუა,

საქართველოს სსრ პროკურატურის
სამოქალაქო განყოფილების პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი.

პროკურორის ინიციატივით სამოქალაქო საარჩელის სასამართლოში აღძვრა წარმოადგენს სერიოზულ საშუალებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების დასაცავად.

როგორ იყენებენ კანონით მინიჭებულ ამ უფლებას საქართველოს სსრ მოქალაქეებისა და რაიონების პროკურორები?

პროკურორის ინიციატივით საჩხედების აღძვრის პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ მუშაობა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა.

პროკურორების უმრავლესობა ძირითადად სწორად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას, ახორციელებს ზედამხედველობას სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვაზე, რაც უმეტესად უზრუნველყოფს კანონიერების აღდგენას.

ამავე დროს ზოგიერთი პროკურატურის საქმიანობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დარღვევებს.

ზოგჯერ პროკურორის მიერ შედგენილი სასარჩელო განცხადება არ შეესაბამება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მოთხოვნებს სასარჩელო განცხადების ფორმისა და შინაარსის შესახებ.

დღემდე არ არის ერთიანი პრაქტიკა იმის თაობაზე თუ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის რომელი მუხლით უნდა იხელმძღვანელოს პროკურორმა საარჩელის აღძვრის დროს. ზოგიერთი პროკურორი სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს (თელავის, ზესტაფონის, ცხაკაიას და სხვ. რაიონების პროკურორები), ზოგი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 41-ე მუხლით (თიანეთის, წალკის, ზუგდიდის და სხვ. რაიპროკურორები), ზოგი კი ხან მე-4 და ხან 41-ე მუხლებით (ლანჩხუთის რაიპროკურორი). გეგეჭკორის რაიპროკურორი ერთდროულად (ერთ სასარჩელო განცხადებაში) მიუთითებს ორივე ამ მუხლს.

ჩვენის აზრით საარჩელის აღძვრის დროს პროკურორმა საჭიროა იხელმძღვანელოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, ამ აზრს იზიარებს რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარიების შემდგენელი ავტორთა ჯგუფი.

ზოგიერთ სასარჩელო განცხადებაში, რომელიც შედგენილია წულუკიძის და ზესტაფონის რაიპროკურორების მიერ, არ არის დაცული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნა მოსარჩელისა და მოპასუხის სრულად დასახელებისა და მათი საცხოვრებელი

ადგილის ან სამყოფელი ადგილის აღნიშვნის შესახებ (საქმე წულუკიძის რაიონის სოფ. გოჩა ჯიხაიშის სოფლის კოოპერატივის სარჩელისა გამო დ. ე. ესაძის მიმართ 794 მანეთის დაკისრების შესახებ, საქმე ზესტაფონის რაიონის არგვეთის ღვინის ქარხნის სარჩელისა გამო რ. ს. კობაძის მიმართ 608 მანეთის გადახდევინების შესახებ და სხვა).

არის შემთხვევები, როდესაც პროკურორს სარჩელი შეაქვს ისეთ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც სათანადოდ არ არის შემოწმებული და არაა საკმარისი სარჩელის აღძვრისათვის.

ლაგოდების რაიონის პროკურორმა აღძრა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ლაგოდების სასტუმროს დაკისრებოდა ლ. შ. ჭინჭარაულის სასარგებლოდ 160 მანეთის გადახდა. პროკურორის სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი ლ. ჭინჭარაული მივლინებაში ყოფნის დროს ცხოვრობდა რა სასტუმროში, მას იქ დაეკარგა 160 მანეთის ღირებული პირადი ნივთები. პროკურორი მოითხოვდა ეს თანხა დაკისრებოდა სასტუმროს ადმინისტრაციას მოსარჩელის სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის სასარჩელო განცხადებას არ ერთვოდა არავითარი მტკიცებულება, სასამართლომ სარჩელი მაინც დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა სასტუმროს ადმინისტრაციის საკასაციო საჩივრის საფუძველზე და საქმე გადასცა სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ საქმეში არ არის აქტი ნივთების დაკარგვის შესახებ, აგ-

რეთვე სარჩელის დამადასტურებელი სხვა რამ მასალა.

საქმის მეორედ განხილვის დროს სასამართლომ შეაგროვა საჭირო მტკიცებულება და გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ჯერ ერთი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული ამ სარჩელის აღძვრა პროკურორის მიერ, მაგრამ რაკი პროკურორმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, სასამართლოსათვის უნდა წარედგინა კიდევ სათანადო მტკიცებულება.

იმავე რაიონის პროკურორმა სარჩელი აღძრა გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის სასარგებლოდ ა. ტ. ხეთაგურისათვის ორი კამეჩის ღირებულების 400 მანეთის დაკისრების შესახებ.

სახალხო სასამართლომ სამსჯავრო სხდომის განჩინებით მასალები დაუბრუნა პროკურატურას იმის გასარკვევად, რომ შემოწმებულიყო ვინ არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი კამეჩების მოვლისათვის, ამავე დროს სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ პროკურორის მიერ სარჩელი აღძრულია საკმაო საფუძვლის გარეშე.

პროკურორმა ჩაატარა დამატებითი შემოწმება და სარჩელი აღძრა უკვე ოთხი პირის მიმართ, ხოლო სასამართლომ მათ სოლიდარულად დააკისრა სადავო თანხა.

პროკურორის მიერ თავდაპირველად აღძრული სარჩელი არ იყო სწორი, მაგრამ არც სახალხო სასამართლოს განჩინებაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე და 132-ე მუხლებს (მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს სასარჩელო განცხადების მოსარჩელისათვის დაბრუნებას იმ საფუძველით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებანი არასაკმარისია).

პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ ზოგჯერ პროკურორების მიერ აღძრუ-



ლია სარჩელი, თუმცა არ იყო ამის საჭიროება. ეს კი იწვევს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, ან საქმის შეწყვეტას, რაც უარყოფითად მოქმედებს პროკურორის ავტორიტეტზე.

თელავის რაიონის პროკურორმა სარჩელი აღძრა ი. ლ. კობრაშვილისა და ს. ი. კასრაშვილისათვის ეთერზეთოვანი ქარხნის სასარგებლოდ 657 მანეთის დაკისრების შესახებ.

სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსარჩელე ორგანიზაციის — ქარხნის წარმომადგენელმაც სასამართლოს თხოვეს არ დაეკმაყოფილებინათ სარჩელი მისი უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ასეთივე ბედი ეწვია „ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანაშემწის მიერ აღძრულ სარჩელს „დოსაფის“ ზესტაფონის განყოფილების სასარგებლოდ ი. ს. კახანჯიევისათვის 100 მან. დაკისრების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის განხილვა სასამართლოში უმიზეზოდ ვაჭიანურდა 4 თვე.

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში გარდა იმისა, რომ პროკურორებმა არასწორად აღძრეს სარჩელები, კანონი დაარღვიეს სასამართლოებმაც. სასამართლოებს კი არ უნდა გამოეტანათ გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ, არამედ განჩინებით შეეწყვიტათ საქმე რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

თელავის რაიონის პროკურორის სარჩელი ტიბაანის კოლმეურნეობის სასარგებლოდ ი. ა. ბახჩიოანისათვის 325 მან. დაკისრების შესახებ სახალხო სასამარ-

თლომ განიხილა პროკურორის მონაწილეობის გარეშე.


კოლმეურნეობის წარმომადგენელმა მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა სპეციალური მინდობილობა სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით, სარჩელზე უარი განაცხადა. სასამართლომ კრიტიკულად არ შეაფასა წარმომადგენლის განცხადება და საქმე წარმოებით შეწყვიტა. ამასთან სასამართლომ ნაცვლად იმისა, რომ გამოეტანა განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილშიც აღნიშნა, რომ საქმის წარმოება შეწყდა.

დუშეთის რაიონის პროკურორი ერთ-ერთი სასარჩელო განცხადებით ითხოვდა შ. ლ. ორთოიძის სასარგებლოდ ო. მ. ზარიძისათვის ბავშვის სარჩო აღიმენტის დაკისრებას და მხარეთა შორის ქონების გაყოფას.

სასამართლო პროცესზე მოსარჩელე ორთოიძემ განაცხადა, რომ იგი მოპასუხისაგან ბავშვის სარჩო აღიმენტს უკვე ღებულობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და ამიტომ მოითხოვა შეეწყვიტათ სარჩელი საქმის ამ ნაწილში, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში მოითხოვა სარჩელის განუხილველად დატოვება. სასამართლომ დააკმაყოფილა ორთოიძის ეს შუამდგომლობა.

ეს მაგალითი მოწმობს, რომ ზოგჯერ პროკურორები ფორმალურად ეპყრობიან სარჩელის აღძვრას.

ზოგჯერ პროკურორის მხოლოდ იმიტომ შეაქვს სარჩელი, რომ მოსარჩელემ



თავი დააღწიოს კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

ე. პ. გრიშინინამ შეადგინა დასაბუთებული სასარჩელო განცხადება პ. გ. გაბუნიას მიმართ და მოითხოვა, რომ მხარეების ერთად ფაქტიური ცოლ-ქმრული ცხოვრების დროს შექმნილი ქონება გაყოფილიყო მათ შორის.

სასარჩელო განცხადება და საჭირო მტკიცებულებანი მან წარადგინა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში. მაგრამ იმის გამო, რომ გრიშინინას სახალხო მოსამართლემ მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ამ უკანასკნელმა მიმართა ზუგდიდის რაიონის

პროკურორს თხოვნით გაეწია მისთვის დახმარება. რაიონის პროკურორმა გრიშინინას მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე აღძრა სარჩელი რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სასამართლოს მიერ გამოტანილი არასწორი გადაწყვეტილებების გაუქმებას პროკურორის საკასაციო პროტესტების საფუძველზე და ასეთი გადაწყვეტილებები უმრავლეს შემთხვევაში უქმდება ან მხარეთა საკასაციო საჩივრის საფუძველზე ან ზედამხედველობის წესით.

სოციალისტური კანონიკების შემდგომი განმარტებისათვის

აბ. პანიჭაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება განაპირობებს დანაშაულის თანდათანობით შემცირებას და საბოლოოდ მის სრულ აღმოფხვრას, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ადვოკატურას. საბჭოთა სამართლის პროპაგანდის მიზნით ადვოკატები სისტემატურად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს, დამაჯერებლად განუმარტავენ მუშებსა და მოსამსახურეებს მოქმედ კანონმდებლობას, ყურადღებას ამახვილებენ იმ ღონისძიებებზე, რომელთა განუხრელად განხორციელება უზრუნველყოფს დანაშაულის მიზეზების ლიკვიდაციას, ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1966 წელს ადვოკატთა ძალებით საბჭოთა სამართლის თემებზე 1734 ლექცია-მოხსენება ჩატარდა.

ლექციები და მოხსენებები იკითხება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ დაშვებული საორიენტაციო თემატიკის მიხედვით. ისეთ თემებზე როგორცაა: „კომუნისმის მშენებელთა მორალური კოდექსი“, „განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, „საბჭოთა კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“ და სხვა. ბევრი მოხსენება მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების ხელიდანისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე.

გასულ წელს წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იურიდიულ თემებზე მოეწყო 128 კითხვა-პასუხის საღამო, გაცემულია პასუხი 2671 კითხვაზე.

კარგად მუშაობენ ამ მხრივ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის (გამგე ამხ. ჭ. შარეიძე) ადვოკატები. სისტემატურად გამოდიან მოსახლეობის წინაშე ლექცია-მოხსენებებით ამ კონსულტაციის ადვოკატები: გ. უგრეხელიძე, მ. ჭაფოძე, თ. ასათიანი, ო. ლასხიშვილი, ლ. ბაბაჯანოვა, რ. ამაშუკელი, თ. გიორგობიანი და სხვები.

კარგი მაჩვენებლები აქვთ სამართლის პროპაგანდის საქმეში აგრეთვე ქ. თბილისის ორჯონიკიძის (გამგე ამხ. მ. მასხარაშვილი), 26 კომისრის (გამგე ამხ. ს. ბეგლაროვი) და ლენინის რაიონის (გამგე ამხ. ი. სამთელაძე) იურიდიულ კონსულტაციებს, ქ. ფოთის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ტყიბულის, მახარაძის, ზესტაფონის და სხვა იურიდიულ კონსულტაციებს (გამგეები — ზ. ჯგუბურია, ა. ჩიქოვანი, დ. დგებუაძე, ო. ჩაკვეტაძე, კ. კილაძე, გ. ლეჟავა). არადამაკმაყოფილებლად ეწვევიან იურიდიული ცოდნის პროპაგანდას ქ. ცხინვალის და გურჯაანის რაიონის იურიდიული კონსულტაციები (გამგეები ვ. ძუკავი და რ. ლევერაშვილი). ქ. ცხინვალის იურიდიულ კონსულტაციაში მომუშავე შვიდმა ადვოკატმა ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 10 ლექცია-მოხსენება წაიკითხა.

ადვოკატთა გარკვეული ნაწილი ხში-

საქართველო
საბჭოთაო

რად აქვეყნებს სტატიებს ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში. გასულ წელს გაზეთ „იზვესტიასში“ გამოქვეყნდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის მ. ნანიკიშვილის წერილი სათაურით: „განაჩენის ლოგიკის შესახებ“, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ი. ხარჩილაძემ გამოაქვეყნა წერილი „სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის ზოგიერთ ნაკლოვანებათა შესახებ“, თერჯოლის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ამხ. მ. შარიქაძემ ადგილობრივ რაიონულ გაზეთში დაბეჭდა წერილი სათაურით: „მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, ჩოხატაურის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ამხ. ვ. სირაძემ გამოაქვეყნა საინტერესო მასალა სათაურით: „იოლი გამდიდრების გზით“.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად მონაწილეობენ ადვოკატები: ბ. ბარათაშვილი, ა. გელოვანი, ა. ხოჭოლავა, გ. უგრეხელიძე, ვ. სიღამონიძე, გ. ხარატიშვილი, ნ. კველიშვილი, ვ. კეკელია, ჯ. ბაქრაძე, ი. ჟორდანიას და სხვები.

ამ ადვოკატებს, იურიდიული კონსულტაციების გამგეების უმრავლესობას კარგად აქვთ გაგებული საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებების მეოთხე მუხლის მოთხოვნა, რომლითაც „ადვოკატთა კოლეგიები მთელი თავისი საქმიანობით მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებას და საბჭოთა კანონების პროპაგანდას“.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბევრ მსხვილ ობიექტებში შექმნილია იურიდიული საკონსულტაციო პუნქტები. თბილისის პირველი მაისის რაიონის

იურიდიულ კონსულტაციას ასეთი პუნქტები ჩამოყალიბებული აქვს მაუდ-კამვოლის კომბინატში, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში და რძის კომბინატში, 26 კომისრის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას კი ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“. ამ საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს საშუალება აქვთ მიიღონ უფასო იურიდიული კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უაღრესად დიდი ამოცანები აკისრიათ ამხანაგურ სასამართლოებს. უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაფართოვდა ამ სასამართლოების ფუნქციები. ამხანაგურ სასამართლოებს დაექვემდებარა ისეთი საქმეების განხილვა, როგორცაა წვრილმანი სპეკულაცია, წვრილმანი ქურდობა, წვრილმანი ხულიგნობა, ეგრეთწოდებული კერძო ბრალდების საქმეები, მთელი რიგი დავები სამოქალაქო ურთიერთობის სფეროში და სხვა.

ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებად და წევრებად უმთავრესად არჩეული არიან წარმოება-დაწესებულებებში თუ საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე მოწინავე ადამიანები, რომელთაც არა აქვს იურიდიული განათლება და დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ადვოკატები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ ამხანაგური სასამართლოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ქ. თბილისის რაიონების იურიდიული კონსულტაციებიდან ექვსი ადვოკატი არჩეულია ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარედ. ქ. ქუთაისში მომუშავე 35 ადვოკატიდან კი ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობს ცხრა კაცი.

1966 წლის განმავლობაში ადვოკატებმა ამხანაგური სასამართლოების წევრებთან მოაწყეს 426 ლექცია-საუბრები.

ამხანაგურ სასამართლოებს სერიოზულ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ქ.



თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაცია (გამგე ამხ. ს. სიხარულიძე). კარგად მუშაობენ ამ რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები: ვ. ჩხიკვაძე, გ. შონია, ი. ბრაილოვსკი, შ. კვირიკაძე, ქ. სუხიშვილი, მ. ანტონიშვილი და სხვები. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები (გამგე ამხ. გ. ასათიანი), რაიონის 12 ამხანაგურ სასამართლოს ისინი უწევენ ქმედით დახმარებას.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან ამხანაგურ სასამართლოებს ცაგერის (გამგე ლ. ბერუჩაშვილი), ახმეტის (გამგე გ. დონხაძე), ონის (გამგე ვ. გიორგობიანი) და მესტიის (გამგე გ. ქალღანი) რაიონების იურიდიული კონსულტაციები. რაიონების იურიდიული კონსულტაციების ხელმძღვანელები თავიანთ უმოქმედობას იმით ხსნიან, რომ ამხანაგურმა სასამართლოებმა მათ არ მიმართეს დახმარებისათვის.

იურიდიული კონსულტაციები ქმედით დახმარებას უნდა უწევენ რაიონებში მოქმედ ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებსაც, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ დანაშაულის პროფილაქტიკისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ დღემდე იურიდიული კონსულტაციების საქმიანობა ამ მხრივ დადებითად არ შეიძლება შეფასდეს, ჩვენის აზრით აქ ბრალი მიუძღვის არა მარტო იურიდიული კონსულტაციის გამგეებს, არამედ რაიონების რაზმეულთა შტაბებსაც, რომლებმაც დღემდე ვერ შეძლეს ფართოდ ჩაებათ ამ საქმეში გამოცდილი იურისტები, ადვოკატები.

საჭიროა ადვოკატებმა ეფექტურად იბრძოლონ მართლწესრიგის დარღვევათა ლიკვიდაციისათვის, იმ მიზეზების მოსპობისათვის, რომლებიც დანაშაულის წარმოშობას განაპირობებენ.

ადვოკატთა კოლეგიის ზოგიერთ წევრს ადვოკატის ეთიკის დარღვევად

მიაჩნია იმუამდგომლონ სასამართლოს წინაშე დისციპლინური თუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ პირთა მიცემის შესახებ, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი და უკანასკნელ დრომდე მხილებული არ არიან ამ დანაშაულში.

ქ. ფოთის კარაქ-ხორცის ბაზის საწყობის გამგეს გ. გუჯაბიძეს 9 ათას მანეთად ღირებული კარაქის დანაკლისი აღმოაჩნდა, რისთვისაც ის პასუხისგებაში იქნა მიცემული. სასამართლო პროცესზე ადვოკატები: ზ. ჯგუბურია, ჯ. კუტალია და სხვები დარწმუნდნენ იმაში, რომ დანაშაულის ჩადენას ხელი შეუწყეს ბაზაში მომუშავე დარაჯებმა, რომლებიც მორიგეობის დროს მორგებული გასაღებით აღებდნენ საწყობს, ხსნიდნენ პლომბს და იტაცებდნენ კარაქს. შემდეგ კი ლუქავდნენ და კეტავდნენ. ადვოკატებმა დასაბუთებული შუამდგომლობა აღძრეს სასამართლოში დარაჯების ჭოჭუას და ხორავას პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს საფუძვლიანი შუამდგომლობა და გამოიტანა განჩინება აღნიშნულ პირთა მასალების პროკურატურის ორგანოებზე გადაცემის შესახებ.

იმავე ქალაქის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი შ. ხურცია იცავდა სამართალში მიცემულ არასრულწლოვნების მიხელაშვილისა და აჯიაშვილის ინტერესებს. მათ ბრალი ედებოდათ სახელმწიფო ქონების ქურდობაში. სასამართლომ არასრულწლოვან დამნაშავეებს სასჯელის შესაფერისი ღონისძიება შეუფარდა. ადვოკატმა ხურციამ მიიჩნია რა დადასტურებულად მსჯავრდებულთა მშობლების აშკარა დაუდევრობა არასრულწლოვანთა აღზრდის და ზედამხედველობის გაწევის საქმეში, რამაც განაპირობა დანაშაულის ჩადენა, შუამდგომლობა აღძრა სასამართლოში და მოითხოვა მსჯავრდებულთა მშობლების მიმართ გაეტარებინათ საჭირო ღონისძიება. შუამდგომლობის შესაბამის-



სად სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება და მასალები მიხელაშვილისა და აჯიაშვილის მშობლების სამუშაო ადგილის მიხედვით გადაუგზავნა ამხანაგურ სასამართლოს. განჩინების ასლი გადაეგზავნა აგრეთვე ქ. ფოთის განათლების განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის. ასეთი შუამდგომლობები სასამართლოში დაყენებული აქვთ ქ. თბილისის, ჭიათურის, ზუგდიდის და სხვა რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში მომუშავე ადვოკატებს.

იურიდიული კონსულტაციები ბერიოდულად უნდა განაზოგადებდნენ მასალებს ადვოკატების მიერ გამოვლინებულ დარღვევების შესახებ და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სათანადო წარდგინებით შევიდნენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

ადვოკატთა მიერ მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დებიტორულ დავალიანებათა ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად. 1966 წელს შედგენილია 776 სასარჩელო განცხადება, 74.631 მანეთის თანხაზე. კარგად მუშაობენ ამ საქმეში გორის (გამგე ამხ. დ. რაჟაიშვილი),

წითელწყაროს (გამგე ი. ყვარულიშვილი), ყვარლის (გამგე შ. გიოშვილი) და სხვა რაიონების იურიდიული კონსულტაციები.

არავითარი მუშაობა არა აქვთ ჩატარებული მიმდინარე წელს კოლმეურნეობებში ახმეტის, ქარელის, კასპის და მესტიის რაიონების იურიდიულ კონსულტაციებს. აღნიშნული რაიონების იურიდიული კონსულტაციის გამგეები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და გამოასწორონ მდგომარეობა.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა უნდა გააძლიეროს მუშაობა იურისტთა ახალი კადრების მოზადებისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ადვოკატთა რიგები შევსებული უნდა იქნეს საქმის მცოდნე ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ თავიანთი პროფესიული საქმიანობა მტკიცედ დაუკავშირონ მართლმსაჯულების განუხრელად განხორციელებას. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება ხელს შეუწყობს იმ ამოცანათა გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის თანდათანობით შემცირებასა და მის სრულ ლიკვიდაციასთან.



ყუთღ-პისღანის პოლიტიკური იდეოლოგია

3. აბაშაში,


იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

XI-XII საუკუნეების საქართველო ეკონომიური და პოლიტიკური მხრივ უძლიერეს ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა მთელს კავკასიაში.¹ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაქსაქსული ფეოდალური სამთავროები თანდათანობით ერთიანდება ქართველ მეფეთა ენერგიული მოქმედების შედეგად ერთ ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ ერთეულად. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და განმტკიცებას. ხელსაყრელ საგარეო პირობებში, რაც ჯვაროსნული ომების დაწყებასთან და მაჰმადიანური სამყაროს შესუსტებასთან იყო დაკავშირებული, ფეოდალური საქართველო XI-XII საუკუნეებში აერთიანებს კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს და ქმნის კავკასიის ქვეყნების ფედერაციულ კავშირს. ქართული სახელმწიფოებრიობა ამ პერიოდში ვრცელდება მთელი კავკასიის ტერიტორიაზე. XII საუკუნის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას; სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზინჯინამდე, ხადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო აღამი“.¹ ფეოდალური საქართველოს ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების მიერ კავკასიის ხალხების ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად გაერთიანება, რომელიც „წინაბურჟუაზიული გაერთიანების“ ჩანასახს წარმოად-

გენდა,² უაღრესად განვითარებული ფეოდალური ეკონომიკით იყო განმტკიცებული“.³ XII საუკუნის განვითარებული ფეოდალური ურთიერთობანი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მაღალი დონის რეალურ ბაზისს შეადგენდა. ქართველი ხალხის უაღრესად განვითარებული სულიერი კულტურა და სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესთა გამომხატველი პოლიტიკური მოძღვრებანი, მთლიანად შეესაბამებოდა იმ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც, რომელიც ჩამოყალიბდა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში. ფეოდალურ ურთიერთობების განვითარებამ და ახალი სოციალური ძალების ჩამოყალიბებამ გამოიწვია კლასობრივი ბრძოლების გამწვავება როგორც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურთა შორის, ასევე დიდგვარიან აზნაურთა, სამეფო ხელისუფლებისა და დაბალი წარმოშობის სოციალურ ფენებს შორისაც.

ფეოდალური საქართველოს სოციალურ ძალებს შორის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო კლასობრივმა ბრძოლამ საქართველოს მეფის გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ გიორგი მესამის სიცოცხლეში ერთხელ უკვე მეფედ კურთხეული თამარის მეორედ სამეფო ტახტზე აყვანა მოითხოვეს დიდგვარიანმა აზნაურებმა.⁴ რომლებმაც „1184 წელსვე თამარი დიდი ჴეიმიტ საქართველოს მეფედ დასვეს, მაგრამ მეფის კურთხევის ცერემონია ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვარიანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული“.⁴

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 409.
² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის (ყურნ. „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 122).
³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 53.
⁴ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), თბილისი, 1958, გვ. 196.



მიუხედავად ამისა, **რამარი**ს მეფედ მეორედ კურთხევისთანვე სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო დიდგვარიან აზნაურთა ძლიერი შეთქმულება, რომელიც ფორმალურად ნაცივ-ჩადარი ყუბასარისა და შედარებით დაბალი სოციალური წრიდან აღზევებული აფრიდონის ვაჭირობიდან გადაყენებას, ისახავდა მიზნად, მაგრამ ფაქტიურად დიდგვარიან აზნაურთა ეს გამოსვლა უფრო დიდი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ითვალისწინებდა ფეოდალურ საქართველოში. დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება მიმართული იყო საქართველოში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოყალიბებული და შემდეგ გიორგი მესამის მიერ განმტკიცებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის დამსობისაკენ. ამ პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ქართველი მეფეების მიერ შემუშავებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების განსაკუთრებული მეთოდებისა და ხერხების შედეგად მაღალი ნიჭისა და დიდი უნარის მქონე შედარებით დაბალი სოციალური წარმომადგენელი პირებს შესაძლებლობა მქონდათ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალურ სისტემაში დაეკავებინათ უმადლესი თანამდებობები, მინისტრთა პოსტების ჩათვლით.

დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა ამ პოლიტიკური რეჟიმის დასამსობად მართალია რეაქციული ხასიათის იყო, მაგრამ ძლიერი ქართველი მეფის გიორგი მესამის გარდაცვალებით შექმნილ კრიტიკულ მომენტში თამარ მეფე იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა დიდგვარიან აზნაურთა მოთხოვნები. მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე დიდმა აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, რის გამო თამარის ისტორიკოსი ამ აჯანყებას „უცხოვდ მოსაგონებელს“ უწოდებს.

მიუხედავად ამისა, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლისა და მისი პროგრამის შესახებ საემაოდ მდლადარი თანამედროვე ლიტერატურა არსებობს, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ თუ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი და მისი პროგრამა XII საუკუნის საქართველოს რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავდა. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით (ივ. ჯავახიშვილი, ი. პეტრუშევსკი, შ. მესხია, ა. კიკვიძე, ს. მაკალათია და სხვ.) ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა „მესამე წოდების“ ამ-

ბოხებად უნდა იქნას მიჩნეული. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი კი ფიქრობს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა დიდგვარიან აზნაურთა მორიგი აჯანყება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია და სხვ.).

ისტორიულ ლიტერატურაში ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამის სოციალური ბუნების სხვადასხვაგვარი გაგება იმით არის გამოწვეული, რომ XII საუკუნის ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის შესახებ ისტორიულ წყაროებს მეტად მშრალი და ძუნწი ცნობები აქვს შემორჩენილი. დღემდე ცნობილი ერთადერთი წყარო, რომელიც შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შესახებ, თამარის ანონიმური ისტორიკოსის ცნობებია, მოცემული ამ უკანასკნელის შრომაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც ნათქვამია: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სას(ცედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რახამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დაღმად ველსა ისანიასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერიხვისანი, ვჰადარებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალს: მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი.“

ესე ვითე საწუენელ იყო — დასასრულისა კელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკრვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან და მოიღონა კელით გდგმა თავისი მის მოქმედთასა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თჳსა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილს, ღორეს დაჯდომად განწაადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანამეწყეთა მისისა მის გუად-გამყუედლობისა და უკეთურებისათა, შეიყარეს და უუკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და (არ მოუშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განგზადნეს ისანისაცა შემომბად. გარნა ვინათგან კელი საუფლო და მკლავი მაღალი შემეწე და თანამბრძოლ (ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა და, მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუთებოდა დაქობად წინააღმდეგობთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განწრახვა მათი, ვითარ განწრახვა აბითარ მდღელისა და იოზბ სპასპეტისა, რომელი ეთანებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისა-



სა; და ამას შინა თამარ, წარმავანდელმან ორთა საპატიოთა დიოფალმან, რომელი იყო ერთი სუ-
 ლაჲ ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერი-
 სთავისა რატისი, და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დე-
 და აწ მყოფთა სამივიართა, უბრძანა ფიცით
 მინდობა და სხვა არავისი ბრალობა. და მოჰყ-
 ვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და
 წინაშე მოსრულთა დავრდომით თავყანი-სცეს,
 აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პი-
 რი ერთგულებისა და ნების-მყოფლობისა მა-
 თისა⁵. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-
 არსლანის პოლიტიკური დასის გამოვლანაჲ
 უნდა ჰქონდეს ლაპარაკი აგრეთვე „ისტორია-
 ნი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობ შემავ-
 სებელს, რომელიც ალბათ ყუთლუ-არსლანის
 შესახებ აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა „დაუ-
 დგრომელმან წესსა და ზედა თვისსა, ვითარ ჩვე-
 ულება აქვს ყრმათა ადრე აღზუებად სიდიდი-
 სა მიერ, და უფროსად გვართა უაზნოთა აღა-
 მდლებს სიმდიდრე“⁶ მას გარდა, როგორც
 აკად. ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო ყუთლუ-არს-
 ლანის პოლიტიკური დასის გამოვლანს უნდა
 გულისხმობდეს ბასილი ევოსმოდვარი, რომე-
 ლიც თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მე-
 ფისა თამარისი“ წერს: „და კულად ამისთვის
 არა უდებებდა, რათა არა მოცილითა განსუენე-
 ბად სიჩუენედ განსცენ თავი და სხუათა განზ-
 რახვათა დამოცილდენ, ვითარცა სიმდიდრითა
 აღადებულთა, ანუ ერთ-ერთისა მტერობად მო-
 იცილიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე
 დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისე“⁷.

ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა რამ უფრო
 მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო ყუთლუ-
 არსლანის პოლიტიკური დასის გამოვლისა და
 მისი იმ ფართო პოლიტიკური პროგრამის შესა-
 ხებ, რომელმაც ასე დიდი ზეგავლენა მოახდინა
 ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება-
 ზე, ჭერჭერობით ცნობილი არ არის. ამ გარე-
 მოვებასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვი-
 ლი აღნიშნავდა: „გასაოცარი კია, რომ ჩვენის
 წარსულის ამ საგულისხმიერო ამბის შესახებ
 ამაზე მეტი ცნობები არც თამარ მეფის ისტო-
 რიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში არ მო-
 იპოვება“⁸.

მიუხედავად ამისა, ფეოდალური საქართვე-
 ლოს ისტორიის საქმაოდ კარგად ცნობილ პო-

ლიტიკურ მოვლენებთან ყუთლუ-არსლანის მი-
 ერ მოწყობილი აჯანყების მსვლელობის შები-
 რისპირება და აგრეთვე, ყუთლუ-არსლანის და-
 სის პოლიტიკური პროგრამით გათვალისწინე-
 ბული სახელმწიფოებრივი გარდაქმნების ანა-
 ლიზი პოლიტიკურ მოდერებათა ისტორიის
 თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს საქმაო
 სიზუსტით დაადგინოთ XII საუკუნის საქარ-
 ველოს ამ უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პო-
 ლიტკური მოძრაობის სოციალური ბუნება და
 მისი პოლიტიკური იდეოლოგია.

პირველყოფილსა წყარადებას იპყრობს თვით
 ამ აჯანყების მეთაურის ყუთლუ-არსლანის პი-
 როცნება და მისი სოციალური წარმოშობა. ის-
 ტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ყუთლუ-
 არსლანი იყო მაღალი თანამდებობის პირი, ერთ-
 ერთი თვალსაჩინო ვაჰირი, მეჭურჭლეთუხუცე-
 სი ანუ ფინანსთა მინისტრი, რომელიც თავისი
 სამსახურებრივი მდგომარეობით ძალიან ახ-
 ლურ ფენებთან, საჯარო და საფინანსო წრეე-
 ბთან. ისტორიულ ლიტერატურაში წამოყენე-
 ბული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყუთლუ-
 არსლანი დიდგვარიან აზნაურთა წრიდან იყო
 წარმომდგარი, არ შეიძლება გაზიარებული იქ-
 ნას, რადგანაც „ისტორიანი და აზმანი შარავან-
 დედთანის“ ანონიმური ავტორის მიერ ყუთლუ-
 არსლანის პიროვნების დახასიათება მსოლოდ
 იმაზე მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანი დაბა-
 ლი სოციალური წარმოშობის პირი იყო, რომე-
 ლიც განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის ან
 დამსახურების გამო საქართველოს მეფემ გი-
 ორგი მესამემ გაავაზირა. აკად. ივ. ჯავახიშვი-
 ლის დაკვირვებით დაბალი სოციალური წარმო-
 შობის ყუთლუ-არსლანი დიდგვარიან აზნაურთა
 შეთქმულების მსხვერპლი არ გამხდარა ყუბა-
 სარისა და ავღრღონის მსგავსად, რადგანაც
 ყუთლუ-არსლანი მაშინ შეთქმულთათვის „იმ-
 დენად საძულველი არ ყოფილა და ჭიბჭირვით
 მასაც თავისი თავი დიდგვარიან აზნაურთა მრ-
 სხანებისაგან უზრუნველუყვია: „ცხვარივით“
 იგი მშვიდ და უვნებელ ადამიანად მოსჩვენე-
 ბითა“⁹. ყუთლუ-არსლანის სოციალური წარ-
 მოშობის გარკვევის შემდეგ ძნელი არ არის მის
 მიერ შედგენილი პოლიტიკური დასის სოცია-
 ლური შემადგენლობის დადგენაც. როგორც

5 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
 ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959 წ., გვ. 30-32.
 6 იქვე, გვ. 30-31.
 7 იქვე.
 8 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 247.
 9 ნ. ბერძენიშვილი, და სხვა, საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX
 საუკუნის დასასრულამდე), თბილისი, 1958, გვ. 173.
 10 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი,
 1929 წ., გვ. 162.



აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან ანუ „სიმდიდრით ალაღებულთაგან“, ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღწევებულთაგან, რომლებიც ამ აჯანყების მეთაურის საიმედო თანაშემწენი იყვნენ. მართლაც, ფეოდალური საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, თბილისს საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული საქალაქო წყობილება გააჩნდა, რამაც ყველაზე თვალსაჩინოდ მისი დამოუკიდებელი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში იჩინა თავი, როდესაც არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული „ხალხის მმართველობა“ ჩამოყალიბდა.¹¹ მართალია დიდგორის 1121 წლის ომის შედეგად თბილისმა დამოუკიდებლობა დაკარგა და იგი დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოუერთა ფეოდალურ საქართველოს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის მოსახლეობაში, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყვნენ,¹² დიდხანს ცოცხლობდა მესამე წოდების¹³ ინტერესების გამოხატაველი რესპუბლიკური იდეები, რომელშიც თავისი გამოვლინება ჰპოვა საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მომენტში, როდესაც თამარის მეორედ გამეფებით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით კარგად ისარგებლეს დიდგვარიანთა აწნაურებმა და მიადვიეს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას. თუ იმ ისტორიულ მოვლენებს გავაღვწევთ თვალს, რომელიც წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის გამოხვლას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოხვლა ე. წ. „მესამე წოდების“ სოციალური მოძრაობის შედეგი იყო. როგორც ცნობილია თამარის მეორედ სამეფო ტახტზე აყვანისთანავე დიდგვარიანმა აწნაურებმა, რომლებსაც არ მოსწონდათ დავით აღმაშენებლისა და შემდეგ გიორგი მესამის მიერ განმტკიცებული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც საშუალებას აძლევდა შედარებით დაბალი წარმოშობის, მაგრამ დიდი ნიჭისა და უნარის პირებს, დაეკავებინათ სამეფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში მაღალი პოსტები თვით

მინისტრთა თანამდებობების ჩათვლით, მოაწყეს შეთქმულება თამარის წინააღმდეგ და მოითხოვეს ქვეყანაში არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა. ამ პოლიტიკურ მოთხოვნას კონკრეტული ხასიათიც ჰქონდა: აჯანყებულებმა ამჯერად მიზანში ამოიღეს მათთვის ყველაზე საძულველი დაბალი სოციალური წარმოშობის ვაჟირები — ყუბასარი და აფრიდონი და მოითხოვეს მათი გადაყენება. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოხვლა დიდგვარიან აწნაურთა გამოხვლა რომ ყოფილიყო, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, მაშინ ეჭვი არ არის, რომ თამარის წინააღმდეგ შეთქმულები, რომლებიც დადასტურებულია რომ დიდგვარიან აწნაურთაგან შედგებოდა, ადვილად დაამყარებდნენ პოლიტიკურ კავშირს, თუნდაც დროებითს, ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეებთან, რომლებიც როგორც ამ დასის ორგანიზაციული სიმტკიცეიდან და წინასწარ მოფიქრებული პოლიტიკური პროგრამიდან ჩანს, დიდი ხანია ამზადებდნენ აჯანყებას და გამოხვლისათვის სასურველ მომენტს არჩევდნენ. მაგრამ როგორც დადგენილია ამ ორი პოლიტიკური ძალის გაერთიანება არ მომხდარა და უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ხელი შეუშალა შემოადინებულ დაჭვრევებთან სოციალურმა შემადგენლობამ და განსხვავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ. იმ მიზნის მიხედვით კი, რომელსაც ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალური ძალა ისახავდა, მათ ბევრი ჰქონდათ საერთო. როგორც დიდგვარიანი აწნაურები, ისე ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. მიუხედავად ამისა, მათ შორის კავშირი არ დამყარებულა, რადგანაც თითოეულს ცალ-ცალკე სხვადასხვანაირად ესმოდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დიდგვარიან აწნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში წინათ არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც გიორგი მესამის მეფობისას არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობამ საბოლოოდ დაუხშო გზა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამიტომ მათთვის სასურველ

¹¹ Ибн—Ал—Азрак Ал—Фарик; Из «Истории Маяфарикина» (Труды института истории АН Аз. ССР. XII, 1957, стр. 222);
 შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962, გვ. 66-81;
 ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში (ოსლ შრომები, 108, თბილისი, გვ. 331-358).
¹² ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში (ოსლ შრომები, 108, თბილისი, 1964, გვ. 348).



ლი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას დაბალმა სოციალურმა ფენებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც როგორც წყაროებიდან ირკვევა ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულები მოითხოვდნენ სამეფო ხელისუფლების უკიდურესად შეზღუდვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების გზით,¹³ რაც ფაქტიურად იყო დასაწყისი „დასასრულისა ველმწიფობისა ბატონისასა“.¹⁴

ყუთლუ-არსლანის სოციალური წარმოშობის და განსაკუთრებით მის მიერ შექმნილი პოლიტიკური დასის სოციალური შემადგენლობის შესახებ ყველაზე ნათელ და გარკვეულ პასუხს გვაძლევს მისი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელშიც თავისი სრული გამოხატულება ჰპოვა ამ დასის პოლიტიკურ პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის იდეოლოგია არასრულად არის შესწავლილი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის თვალსაზრისით და სწორედ ამის გამო დღემდე ჯერ კიდევ სადავოა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის სოციალური ბუნება.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური იდეოლოგიის გაგებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თამარის ისტორიკოსის ცნობას იმის შესახებ აჯანყების შეთაურმა ყუთლუ-არსლანმა „ითხოვა კარავი დადგამდ ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასნდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“.

ეჭვი არ არის, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულების, „კარავის“ ჩამოყალიბებას, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“ და მისი გადაწყვეტილების მეფისათვის მოხსენების შემდეგ „მაშინ-

და სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთავარია არა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა, არამედ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება და მისი განხორციელება სხვადასხვა ორგანოების მიერ. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიეკუთვნებოდა ყუთლუ-არსლანის მომხრეებისაგან შემდგარ პარლამენტს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მეფეს. ამასთან საყურადღებოა, რომ მეფეს „კარავთან“ არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, იგი არ უნდა დასწრებოდა „კარავის“ სხდომებს, მას არ ჰქონოდა „კარავის“ დადგენილების შეჩერების უფლება; არამედ იგი მხოლოდ თავისი აღმასრულებელი ხელისუფლებით სისრულეში მოიყვანდა „კარავისელთა“ განგებულს. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიის არსებობაზე პირველმა მიუთითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.¹⁵ ამ საკითხზე გაცხრით თავიანთი შეხედულება გამოთქმული აქვს პროფ. კ. გრიგოლიას¹⁶ და პროფ. გ. სოსელიას.¹⁷ პროფ. კ. გრიგოლია, რომელიც ფიქრობს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა „მესამე წოდების“ მიერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება იყო, მთლიანად იზიარებს აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოძღვრება ხელისუფლების დანაწილებას გულისხმობდა, თუმცა აჯანყების დამარცხების გამო იგი ვერ განხორციელდა ფეოდალურ საქართველოში. რაც შეეხება პროფ. გ. სოსელიას, იგი რაიმე დასაბუთებულ არგუმენტაციას აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების წინააღმდეგ არ გვაძლევს, კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ ამ პერიოდის საქართველოში

13 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 171-172;
 კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, გვ. 42.
 14 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 31.
 15 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 171.
 16 ივ. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, გვ. 42.
 17 გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ მ. გორკას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, სოხუმი, 1958, გვ. 87).

არ არსებობს „მესამე წოდება“,¹⁸ რომლის სახელთანაც არის ისტორიულად დაკავშირებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია. არსებითად პროფ. ვ. სოსელიას მოსაზრება ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, რომელიც მას რეაქციულად მიაჩნდა, ვერ გვაძლევს ამ პროგრამით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების ახსნას. რაც შეეხება იმის ხელაღებით დამტკიცებას, რომ ფეოდალურ საქართველოში XII საუკუნეში არ არსებობდა „მესამე წოდება“, თავისთავად ვერ უარყოფს იმას, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა არ შეიცავს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიას. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის ფილოლოგიურ-ისტორიული კვლევით დადგინდა, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებზე დაწინაურებას ნიშნავს.¹⁹

ამას გარდა, არადაამაჯერებელია პროფ. ვ. სოსელიას მტკიცება იმის შესახებ თითქოს X—XII საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა ე. წ. „მესამე წოდება“. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საქალაქო წყობილების შესახებ გამოქვეყნებული შრომები ცხადყოფენ, რომ XII საუკუნის საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვაჭრობასა და ხელოსნობას.²⁰ საქართველოს ქალაქებში განვითარებული ფულადი-სასაქონლო მეურნეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესამე წოდების არსებობისათვის. მაგრამ (ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შინაარსის გაგებისათვის განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა აქვს X—XII საუკუნეებში თბილისის საქალაქო მმართველობის ისტორიასა და სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში ამ პერიოდში.)

(არაბი ისტორიკოსის ალ-ფარისის ცნობის საფუძველზე²¹ პროფ. ვ. წერეთელი²² და პროფ. ვ. ფუთურიაძე²³ ფიქრობენ, რომ თბილისში, მისი დამოუკიდებელი არსებობის ორმოცი წლის განმავლობაში, დავით აღმაშენებლის 1121 წლის დაპყრობამდე რესპუბლიკური წყობილება არსებობდა. პროფ. შ. მესხია, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა თბილისის საქალაქო მმართველობა ალ-ფარისის ცნობების თვალსაზრისით, განავითარა ეს მოსაზრება და დაადგინა, რომ შემოადინებულ პერიოდში თბილისი თავისუფალი ქალაქი იყო და საქალაქო მმართველობა დასავლეთ ევროპის ქალაქებში არსებული კომუნის საფუძველზე იყო აგებული.²⁴ მნიშვნელოვნად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა პროფ. ვ. გაბაშვილმა, რომელიც მართალია არ უარყოფს, რომ X—XI საუკუნეების თბილისში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყო, საქალაქო წყობილება არსებობდა, მაგრამ ალ-ფარისის ცნობის გარდა, სხვა წყაროებში „თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამოხელეო ტერმინებს, არაფერია ნათქვამი თბილისის მმართველობასთან და სამოხელეო ორგანიზაციასთან“²⁵ დაკავშირებით. ამიტომაც იგი არაბული წარმოშობის ზოგიერთი თანამდებობრივი ინსტიტუტების ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე თბილისის სამიწის პოლიტიკური ორგანიზაცია და საქალაქო აღმინისტრაცია აღმოსავლურ ყაიდაზე იყო

¹⁸ იხ. ვ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ (მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, სოხუმი, 1958, გვ. 91).

¹⁹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, 1929. ტფილისი, გვ. 172.

²⁰ იხ. Ш. Месхия, Города-городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959 г.; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბილისი, 1958 წ., შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962 წ. და სხვ.

²¹ Ибн—Ал—Азрак Ал—Фарик; Из «Истории Маяфарижкина» (Труды института истории, АН Аз. ССР, XII, 1957, стр. 222).

²² ვ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949 წ., გვ. 7.

²³ ვ. ფუთურიაძე, არაბი ისტორიკოსის ცნობები XII ს. თბილისის შესახებ, „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIII, 1943 წ., გვ. 143.

²⁴ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962 წ.

²⁵ ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში (თსუ შრომები, 108, 1964 წ., გვ. 331).



მოწყობილი²⁶ და X—XI სს. თბილისის მმართველობა ქართული ფეოდალური საქალაქო წყობილებისაგან განსხვავდებოდა.

განურჩევლად იმისა, თბილისის საქალაქო წყობილება აღმოსავლურ ყიდაზე იყო მოწყობილი თუ ქართული ფეოდალური საქალაქო წყობილების შესაბამისად, ერთი რამ მაინც ნათელია, რომ ჭაფარიდების დინასტიის წარმომადგენელთა ამოწყვეტისა და განდევნის შემდეგ თბილისის საამირო ჯერ დამოუკიდებლობას აღწევს, ხოლო მისი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში აღ-ფარისის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ცნობის მიხედვით „ხაღის მმართველობა“ არსებობს. ამრიგად, დავით აღმაშენებლამდე თბილისში, რომელიც ოთხას წელს იყო ჩამოშორებული საქართველოს, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობისათვის უცხო და მიუღებელი საქალაქო წყობილება ყოფილა. ეს გარემოება საფუძველს გააძლევს ვიფიქროთ, რომ ყუთლუ-არსლანის ანტიფეოდალური იდეოლოგია, რომელმაც თავისი გამოხატულება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნაში ჰპოვა, და მისი იდეურ-პოლიტიკური ფესვები თბილისში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებაში ვეძებოთ.)

ამ თვალსაზრისით ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის სოციალური ბუნების გაგებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ანონიმური ავტორის დამოკიდებულებას XII საუკუნის საქართველოში მომხდარ ამ დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენისადმი. (თამარის პირველი ისტორიკოსი როგორც სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის უდიდესი წარმომადგენელი, უარყოფითად არის განწყობილი ყველა იმ პოლიტიკური მოვლენისადმი, რომელიც ასუსტებს ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლებას.) ამიტომაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლას იგი მეტისმეტად მუქ ფერებში წარმოგვიდგენს და დამამცირებელ ეპითეტებს არ იშურებს ამ მოძრაობის ბელადის — ყუთლუ-არსლანის დასახსნა-ათებლად. (ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამით აღშფოთებული თამარის ისტორიკოსი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამ შეიარაღებულ გამოსვლას „უცხოდ მოსაგონებ-

ლად“ თვლის, რითაც როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ამნაირი პოლიტიკური პროგრამის მქონე გამოცემებს საქართველოში წინათ ადგილი არ ჰქონია.²⁷ „იმიდრით ალაღებულთა“ გამოხველით აღშფოთებული ისტორიკოსი განსაკუთრებით აღელვებულია ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამით, რომლის მიხედვითაც აჯანყებულებმა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში „სპარსთა წესის“ შემოღება მოინდომეს. ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არ არის საკითხი იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა თამარის ისტორიკოსი, როდესაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამას „სპარსთა წესის“ შემოღებას მიაწერდა.) ამ საკითხის გადაწყვეტად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამით გათვალისწინებული მმართველობის წესი XI—XII საუკუნეების სპარსეთში სრულებით არ ყოფილა. „ამ შემთხვევაში“ მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი — უფრო მეფის პოლიტიკის მომხრე დასის წევრისა და ისტორიკოსისაგან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გასაწილებლად და სახელის გასატეხად ნახმარ ფანდთან უნდა გვექონდეს საქმე, ვიდრე ცხოვრების უტყუარ ანარეკლთან. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ ბრძოლაში არა ერთხელ მომხდარა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის სახელის გასატეხად მისი პროგრამა უცხოელთაგან ნაკარსხევად, ან ნახესხევად გამოუცხადებიათ. ეტყობა, აქაც ამნაირ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე.“²⁸)

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრება დღემდე არ შეცვლილა, რამდენადაც რაიმე ახალი ისტორიული წყარო მაშადაიანურ სამყაროში XI—XII საუკუნეებში ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი წყობილების არსებობის შესახებ ჭერ-ჭერობით ცნობილი არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების დასახუთებლად ჩვენის აზრით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთ მეტად საგულისხმო ცნობას, რომელიც კარგად გამოხატავს მონარ-

26 ვ. აბაშაძე ილი, თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში (თსუ შრომები, 108, 1964 წ., გვ. 331).
27 იბ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 167.
28 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 182.

ქიზმის პრინციპებზე დამყარებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის დამოკიდებულებას ყოველივე არა მონარქიული წყობილებისადმი. უცნობი ისტორიკოსი დაწვრილებით გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას მიმართულს ქ. თბილისის თანდათანობითი შევიწროებისა და დაპყრობისაკენ, რომელიც საბოლოოდ 1121 წელს დიდგორის ომმა გადაწყვიტა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „იღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებულნი სპარსთა, და დაუმჯდრა შვილთა თხსთა სახურჭლედ და სახლად თხსად საუკუნით“.²⁹ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისი დავით აღმაშენებლის დაპყრობამდე იყო „ოთხას წელს ქონებული სპარსთა“, მაგრამ როგორც ჩვენამდე მოღწეული არაბი ისტორიკოსის აღფარის ცნობა ცხადყოფს „სპარსთა ქონებულ“ თბილისში დავით აღმაშენებლის დაპყრობის წინ, მისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული საქალაქო წყობილება იყო. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა კი უკანასკნელ პერიოდში გაბატონებული შეხედულებების თანახმად ქალაქის ვაჭრების, ფინანსისტების, ხელოსნებისა და საერთოდ, მესამე წოდების იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომელიც მონარქიული წყობილებებს რესპუბლიკად შეცვლას ითვალისწინებდა. ამრიგად, თამარის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის დასს განწრახული ჰქონდა სახელმწიფოებრივ მმართველობაში „სპარსთა წესის“ შემოღება, როგორც ზემოთ აღნიშნული ისტორიული მასალების შეპირისპირებიდან ჩანს, მხოლოდ ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი მიზნად ისახავდა დავით აღმაშენებლის 1121 წლის დაპყრობამდე „სპარსთა ქონებულ“ თბილისში არსებული რესპუბლიკურ პრინციპებზე დამყარებული საქალაქო წყობილების მსგავსი დაწესებულებების შექმნას „კარავის“ სახით ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისტემაში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაზე იმის შესახებ, რომ თბილისი იყო „ოთხას წელს ქონებული სპარსთა“. მართლაც, ოთხასი წლის განმავლობაში თბილისი ჩამოშორებული იყო საქართველოს და ქალაქის მოსახლეობის ქართველი და სხვა ქრისტიანული წარმომავლის ერთა უმრავლესობის მიუხედავად, მასზე მაჰმადიანური საყარო

ახდენდა ზეგავლენას, მაგრამ თბილისზე უცხოელთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ ჯაფარიდების დინასტიის წარმომადგენელთა ამოწყვეტისა და განდევნის შემდეგ, თბილისში რესპუბლიკურ საწყისებზე ჩამოყალიბდა საქალაქო წყობილება. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თბილისში ქართველ მეფეთაგან დამოუკიდებელი საქალაქო წყობილება სრულიად უცხო იყო იმ მონარქიული ხელისუფლებისათვის, რომელიც განუყოფლად ვრცელდებოდა მთელ ქართველ ხალხზე დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოში. სწორედ ამის გამო დავით აღმაშენებელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აწარმოებს მიმდევრულ, მაგრამ თანმიმდევრულ ბრძოლას თბილისის დასაპყრობად და მისი ფეოდალური საქართველოს მონარქიული წყობილებისათვის დასაქვემდებარებლად.³⁰ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური მოქმედება რესპუბლიკური თბილისის ძლიერ ფეოდალურ მონარქიულ სახელმწიფოს ფარგლებში გასაერთიანებლად, სამეფო ხელისუფლების მიერ იდეოლოგიურადც მზადდებოდა. მონარქიული საქართველოს სამეფო ხელისუფლება, რომელიც ამ პერიოდში განათლებული აბსოლუტიზმის იდეებით ხელმძღვანელობდა და მასთან ერთად მისი პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები (რომელთა შორის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია), ცდილობენ ამ პოლიტიკურ ბრძოლაში სახელი გაუტეხონ მონარქიული საქართველოსათვის მიუღებელ საქალაქო წყობილებას და ამ პერიოდის თბილისის პოლიტიკურ წყობილებას სწორედ ამ მიზნით სამეფო ხელისუფლებისათვის „უცხო სპარსთა წესს“ უწოდებენ. მართლაც, რაკი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ფიქრობს, რომ თბილისი იყო „ოთხას წელს ქონებული სპარსთა“, უნდა ვივთხოვს, რომ, რა თქმა უნდა, ამ პერიოდში და განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა თავის თხზულებას, საქალაქო მმართველობა მისი ფიქრით დამყარებული იქნებოდა „წესსა რასმე სპარსთა განაგისსა“. ამდენად, თბილისისათვის დავით აღმაშენებლის დიდი და ქართველი ხალხისათვის კეთილისმყოფელი ბრძოლის მიზნების ნათელსაყოფად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თბილისში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებას ქალაქში გაბატონებულ უცხოელთა მიერ შემოღებულ პოლიტიკურ დაწესებულებად მიიჩნევს, რაც უკანასკნელ პერიოდში პროფ.

29 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 342.
 30 იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1962, გვ. 148.



ვ. გაბაშვილმა ცხადყო არაბული თანამდებობ-
რივი ინსტიტუტების ანალიზის საფუძველზე, აქ
ანგარიშგასაწევია ისიც, რომ თავიანთი პოლი-
ტიკური მიზნების წარმატებით განხორციელებ-
ვისა და ქართველი ხალხის ერთიანი მონარქი-
ული იდეოლოგიის შესაბამისი სულითკვეთების
განმტკიცების მიზნით დავით აღმაშენებლის
ეპოქის ფეოდალური იდეოლოგიის წარმომად-
გენლებიც განზრახ ავრცელებენ ამ თვალსაზ-
რისს.

თამარის ისტორიკოსი კი, რომელიც შესანიშ-
ნავად იცნობს დავით აღმაშენებლის ეპოქი-
სათვის დამახასიათებელ ამ პოლიტიკურ მოვ-
ლენებს და აგრეთვე იმ პერიოდში სამეფო ხე-
ლისუფლების მიერ წარმოებულ იდეოლოგიუ-
რი ბრძოლის ამ მხარეს, ყუთლუ-არსლანის
პროგრამა, რომელიც სწორედ თბილისის საქა-
ლაქო მმართველობის დროინდელი რესპუბლი-
კური წყობილების აღდგენას ითვალისწინებდა,
მიაჩნია დიდი ხნის წინათ, დავით აღმაშენებლის
ეპოქაში მომხდარი პოლიტიკური ბრძოლების
განმეორებად და ამიტომაც იგი ყუთლუ-არს-
ლანის პოლიტიკური პროგრამით ვათვალისწი-
ნებულ მოთხოვნას „უცხოელ მოსაგონებელსა“
და „წესსა რასამე სპარსთა განაგისას“ უწო-
დებს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური და-
სის პროგრამაში ქალაქის სოციალური ფენების
ინტერესები გადმოცემულია სამეფო ხელისუფ-
ლებასა და ამ ფენებს შორის ქვეყანაში არსე-
ბული ძველი, პროგრესული პოლიტიკური
რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით გაჩაღე-
ბული კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა
შესაბამისად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ
პროგრამაში, რომლის მთავარ განმსაზღვრელ
ნაწილს სახელმწიფოს შესახებ მოძღვრება
წარმოადგენს, მოცემულია არა მარტო „უზარ-
მაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შე-
მოღების ცდისა“,³¹ არამედ საქმაოდ თანმიმ-
დევრული თეორია სახელმწიფოებრივი ხელი-
სუფლების დანაწილებისა, რამდენადაც „ისნის
კარავი უნდა ყოფილიყო როგორც საკანონ-
მდებლო ორგანო, ხოლო მეფე აღმასრულებე-
ლი ხელისუფლება“.³²

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწი-
ლების თეორია, ყველგან სადაც კი იგი წარმო-
იშვა და განვითარდა, ყოველთვის დაკავშირე-
ბულია განვითარებულ ფეოდალურ ურთიერ-
ობებთან, რომლის წიაღში ისახება ახალი, მე-
სამე წოდების ინტერესების შესაბამისი საზო-
გალოებრივი ურთიერთობები. სახელმწიფოებ-

რივი ხელისუფლების დანაწილების თეორია ან-
ტიფეოდალური იდეოლოგიის გამოხატველია,
იგი მიმართულია იმ ფეოდალური სახელმწიფო-
ებრიობის წინააღმდეგ, რომელიც ვერსად ვერ
იმენს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების
დანაწილებას. სამეფო ხელისუფლებასა და
დიდგვარიან ფეოდალთა შორის ბრძოლაშიც,
რომელიც მეფის ხელისუფლების შეზღუდვას
ისახავდა მიზნად ფეოდალურ საქართველოში,
ვერც ერთი მხარე ვერ აყენებს სახელმწიფო-
ებრივი ხელისუფლების დანაწილების მოსაზრე-
ბებს, რადგანაც იგი არ შეესაბამება ფეოდა-
ლურ იდეოლოგიას, ხოლო სამეფო ხელისუფ-
ლებაც და დიდგვარიანი ფეოდალებიც ყოველ-
თვის მსოფლივ ფეოდალური იდეოლოგიით
ხელმძღვანელობდნენ.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწი-
ლების თეორია ინგლისში, რომელიც XVII სა-
უკუნეში ჯ. ლოკმა შეიმუშავა განვითარებული
ფეოდალური ურთიერთობების ეპოქაში, მესამე
წოდების ინტერესებს გამოხატავდა და მიმარ-
თული იყო სამეფო ხელისუფლების შეზღუდ-
ვისაკენ. მისი აზრით ერთიანი ფეოდალური სა-
ხელმწიფოებრივი ხელისუფლება კერძო საკუთ-
რების, და პიროვნებათა უფლებების დაცვის
მიზნით, დანაწილებული უნდა იქნას საკანონ-
მდებლო, აღმასრულებელ და საკავშირო ანუ
ფედერაციულ ხელისუფლებად, რომელთაც
სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესთა
გამომხატველი სახელმწიფო ორგანოები უნდა
ასრულებდნენ.


მოგვიანებით განვითარებული ფეოდალური
ურთიერთობების მიგნით წარმოშობილი ახალი
სოციალური ფენების ინტერესები სახელმწი-
ფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეო-
რით გამოხატა XVIII საუკუნის ფრანგმა
განმანათლებელმა შ. ლ. მონტესკიემ.

ახვევ ანტიფეოდალური ხასიათი ჰქონდა მამ-
ლის, ჰეგელის, კონსტანის და სხვათა პოლიტი-
კურ მოძღვრებებს, რომელთა შინაარსის განმ-
საზღვრელს სახელმწიფოებრივი ხელისუფლე-
ბის დანაწილების მოთხოვნა წარმოადგენს.

(ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პრო-
გრამა, რომლის ძირითადი პრინციპები ფეოდა-
ლური სახელმწიფოებრივი ხელისუფლების და-
ნაწილებას ითვალისწინებს, ამ საერთო კანონ-
ზომიერებიდან გამონაკლისს არ უნდა წარმო-
ადგენდეს. იგი გამოხატავდა XII საუკუნის სა-
ქართველოს განკათარებული ფეოდალური ურ-
თიერთობების, კერძოდ წინაბუფურუაზიული ხა-
ნის იდეოლოგიას.) სკვათა შორის ყუთლუ-არ-

31 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 105; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართ-
ლის ისტორია, წიგნი II, ნაწ. II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 172.

32 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959 წ., გვ. 015.



სლანის მოწინავე პოლიტიკური იდეოლოგია რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკას შეესაბამებოდა იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ფეოდალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის უგულვებელყოფა და მან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ დასთან კომპრომისის გზა აირჩია. სამეფო ხელისუფლებამ უარყო პარლამენტის შექმნისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ სამაგიეროდ ამიერიდან სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას იგი ხელმძღვანელობს „თანადგომისა და ერთნებობის“ პრინციპებით და სახელმწიფო დარბაზში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მესამე წოდების წარმომადგენელნი. ამას მოწმობს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შემდეგდროინდელი პოლიტიკური მოვლენები: სახელმწიფო დარბაზში აბულასანის მოღვაწეობა და ამ უკანასკნელის წინადადებით დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბდიის გაგზავნა თამარის საქმროს ჩამოსაყვანად, დაბალი სოციალური წარმოშობის ეგარსლან ბაკურციხელისა და მესტუმრე ჭიქურის დაწინაურება XIII საუკუნეში და სხვ.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურმა პროგრამამ და მისმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, უდიდესი როლი შეასრულა XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცნოვრებაში. იგი ჩამოყალიბდა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ „მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო“.³³ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მოახლოებული ბურჟუაზიული გმოქმის სულიკვეთებამ თავისი სრული გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნოვრებით დაინტერესებასა და კერძოდ, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მიერ წამოქმენბულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორიაში, რომელიც არა შართო საქართველოში, არამედ ყველგან, სადაც კი იგი წარმოიშვა, მესამე წოდების იდეოლოგიის გახმსაზღვრელი იყო.

³³ ნ. ბერძენიშვილი, პ. კაკაბაძის „დავით მერვე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., 8 აპრილი, № 14).



ოქიბიუი კასა

საპარტელო სსრ უმალესი სსსამართლოს კლანუმი

დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ე № 4

25 მარტი, 1966 წელი

რესპუბლიკის სსსამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენების კრატტიკის უმალესი

მიხმინა და ვანიხილა რა საქართველოს სსრ უმალესი სსსამართლოს წევრის, ამხ. ნ. ყ. ვაჭიევის მოხსენება „რესპუბლიკის სსსამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმალესი სსსამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სახალხო სსსამართლოები, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ რა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს სამართლის დარღვევათა გამოსწორებისა და სელახლა აღზრდის საქმეში, ფართოდ იყენებენ პირობით მსჯავრს იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც საზოგადოებისათვის არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას.

თუ 1962 წელს პირობითი მსჯავრი გამოყენებული იყო მსჯავრდებულთა 13,2 პროცენტის, 1963 წელს 17,8 პროცენტის, 1964 წელს 20,4 პროცენტის მიმართ, 1965 წელს იგი გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 21,1 პროცენტის მიმართ.

პლენუმი 1965 წელს პირობით მსჯავრდებულთა რიცხვის ზრდას ნაწილობრივ იმით ხსნის, რომ სსსამართლო ვანხილვამდე ჰერ კიდევ მოდის ისეთი საქმეები, რომლებიც მცირე მნიშვნელობის გამო შესაძლებელი იყო წინასწარი ვამოძიების ან ვანმწესრიგებელი სხდომიდან ვანსახილველად გადაცემოდა საზოგადოებრიობას ან ამხანაგურ სსსამართლოებს.

სსსამართლო პრაქტიკის შესწავლა და ვანყოგადება ვეჩივნებს, რომ პირობითი მსჯავრი იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენება ხდება სრული შესაბამისობით (საქართველოს სსრ სსკ 46 მუს.) დიდ აღმზრდელობით და ვამაფრთხილებელ შემოქმედებას ახდენს სამართლის დამრღვევებზე.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის, ქ. ბათუმის, ვუდაუთის, ვორის, სოხუმის, ვურჯანის, თეთრიწყაროს, წალკის რაიონების და რესპუბლიკის სხვა მრავალ სახალხო სსსამართლოს პრაქტიკაში მიღებულია და წარმატებით ხორციელდება პირობით მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისავენი მმართული ღონისძიებანი, როგორიცაა მათი სამსახურიდან და საცხოვრებელი ადგილებიდან

დახასიათებების სისტემატური ვამოთხოვა, სახალხო მოსამართლესთან ვასაუბრებზე პირობით მსჯავრდებულთა ვამოძახება და მათი მიმავრება სახალხო მსაჭულეზე.


ვარდა ამისა რესპუბლიკის რიგ სახალხო სსსამართლოში თითოეულ პირობით მსჯავრდებულზე შექმნილია საკონტროლო საქმე, რომელშიც თავმოყრილია ვანაჩენებისა და დახასიათებების ასლები, აღნიშვნები ჩატარებული საუბრების შესახებ და სხვა. ამის შედეგია ის, რომ პირობით მსჯავრდებულთა უმრავლესობა ვანმეორებით აღარ სჩადის დანაშაულს, დადებითად ხასიათდება სამუშაო ადგილზე და პირად ცხოვრებაში.

ამასთან ერთად სსსამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის მშრომელთა კოლექტივებსა და ორგანიზაციებზე პირობით მსჯავრდებულთა ვადაცემის, აღნიშნულ პირთა ყოფაქცევაზე კონტროლის დაწესებისა და მათი აღრიცხვის საქმეში. 505 შესწავლილი საქმიდან 1965 წელს 538 პირი იქნა პირობით მსჯავრდებულთა, მათგან არ არის ვადაცემული მშრომელთა კოლექტივებზე და ორგანიზაციებზე ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის 268 პირი ანუ 48,9 პროცენტი.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სსსამართლო ჰეროვნად ვერ ავასებს საზოგადოებრიობის როლს პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორების და ხელახალი აღზრდის საქმეში, ყოველთვის არ იყენებენ პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებრიობისათვის აღსაზრდელად ვადაცემის შესაძლებლობას, საქართველოს სსრ სსკ 46 მუსლის საწინააღმდეგოდ ყოველთვის არ სწარმოებს პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი კონტროლის დაწესება და მისი აღრიცხვა.

ასეთ სახალხო სსსამართლოებს მიეკუთვნებიან ვალის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ხობის, ახმეტის, წითელწყაროს, მარნეულის, მცხეთის, ახალქალაქის, სიღნაღის რაიონების, ქ. ფოთის და სხვა სახალხო სსსამართლოები.

რესპუბლიკის ზოგიერთ სახალხო სსსამართ-



ლოში ზოგჯერ ირდევია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38 მუხლის მოთხოვნა. პირობითი მსჯავრის გამოყენება ადგილი აქვს იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული ან რამდენიმეჯერ იყვნენ სასამართლებულნი, რაც ასუსტებს დამნაშავეობასთან ბრძოლას.

ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით კირინაძის, რომელსაც ადრე ორჯერ ქონდა მისჯილი თავისუფლების აღკვეთა და ბრალი ედებოდა მოქ. არაშინის კუთვნილი 50 მანეთის ქურდობაში. ამასთან სასამართლომ იგი არ გადასცა გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად მშრომელთა კოლექტივს და არ დააწესა მის ყოფაქცევაზე კონტროლი.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ პირობითი მსჯავრი გამოიყენა შ. რ. შაფათავას მიმართ, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მიუშაობდა რა „გლავტორგოტრანს“-ის ფოთის კანტორის უნწევრმალის ფესხაცემლების სექციის გამგედ, 350 წყვილი საზოგადოებრივ ფესხაცემი გაყიდა ზედმეტ ფასებში და თითო წყვილში მიიღო უკანონო გამორჩენა 2 მანეთის რაოდენობით.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს პრაქტიკაში მყიდველთა მოტყუებასა და სავაჭრო ორგანიზაციებში უფაქტურო საქონლის შემოტანაში დამნაშავე პირთა მიმართ უსაფუძვლოდ პირობითი მსჯავრის გამოყენების ანალოგიური ფაქტები ერთეული არ არის (ა. ნ. აღანიას, ე. გ. ვაჩუაშვილისა და სხვათა საქმეები).

დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და პირობითად ჩაუთვალა ეს სასჯელი 2 წლის გამოსაცდელ ვადად ე. მ. მამედოვს, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი გარყვნილების ბუფის მოწყობისა და არასრულწლოვანი ლუკონას პროსტიტუციაში ჩაბმვაში.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს აგრეთვე ფაქტებს, როდესაც პირობითი მსჯავრდებულთა მიმართ გამოიყენება ისეთი დამატებითი სასჯელი, რომლის კანონით გამოყენება (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე და საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლები) დაუშვებელია.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო ვერ ანხვავებს ქონების კონფისკაციას, როგორც სასჯელის სახეს დანაშაულის იარაღებისა და საგნების კონფისკაციისაგან და კანონის მითითებას იმის შესახებ, რომ ქონების კონფისკაცია არ შეიძლება გამოყენებული იქნეს პირობითი

მსჯავრის შეფარდების დროს, უკანონოდ ვერცელებს დანაშაულის იარაღებსა და საგნებს.

ზოგჯერ სასამართლოები განაჩენენ პირობითი მსჯავრის გამოყენების დასაბუთებლად მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქმის მასალებს ან უმნიშვნელოა.

ახე მაგალითად, მარნეულის სახალხო სასამართლომ 1966 წლის 18 აგვისტოს მ. დ. ხოტოველი გაასამართლა მომხმარებელთა 3 მანეთითა და 60 კპ. მოტყუებისათვის და პირობითი მსჯავრი დასდო 1 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლომ განაჩენაში, პირობითი მსჯავრის დასაბუთებლად სხვა მოტივებთან ერთად მიუთითა იმაზე, რომ ხოტოველმა არ იცოდა ვაჭრობის წესები, მაშინ, როდესაც ხოტოველი ვაჭრობის სისტემაში მიუშაობდა 3 წელზე მეტ ხანს.

არის ფაქტები, როცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სასამართლოები არ ახდენდნენ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის შეფარდებულ სასჯელისათვის პირობით შეფარდებული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მიმატებას.

ჭერ კიდევ გვხვდება ფაქტები, როდესაც სასამართლოები პირობით მსჯავრის გამოყენებისას ნიშნავენ გამოსაცდელ ვადას, სამართლის დამრღვევთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადასაცემად შუამდგომლობებს იღებენ არა მშრომელთა კოლექტივისაგან, არამედ დაწესებულებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1) განემარტოს რესპუბლიკის სასამართლოებს, რომ:

ა) პირობითი მსჯავრი შეიძლება ეფაქტურო იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებულნი და საზოგადოებისათვის არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას.

ბ) პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოები ვალდებული არიან ზუსტად იხელმძღვანელონ კანონით (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლით და საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლისა



და სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 1 დადგენილებით „პირობითი მსჯავრის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პლენუმის 1962 წლის 6 დეკემბრის № 17 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით). ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეაფასონ საქმის გარემოებათა მთელი ერთობლიობა, მათ შორის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აუცილებელი მოყვანიტ განაჩენში.

გ) პირობითი მსჯავრის გამოყენებას იმ პირობით მიმართ, რომლებმაც ჩაიდანეს მძიმე დანაშაული ან რომლებიც წინათ არაერთხელ იყვნენ დასჯილნი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განსაკუთრებით გამოჩინების შემთხვევებში.

2) განემარტოთ სასამართლოებს, რომ მათი მუშაობა სამართლის დამრღვევთა ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების საქმეში პირობითი მსჯავრის დადებით კი არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება. ამასთან დაკავშირებით სასამართლოთა ყურადღება მიქცეულ იქნეს საზოგადოებრიობასთან კავშირის, პირობით მსჯავრდებულთა აღრიცხვისა და მათ ქცევაზე კონტროლის დაწესების საქმეში ერთგვარ შესუსტებაზე. გამოიყენებენ რა პირობით მსჯავრს, სასამართლოები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვალდებული არიან მსჯელობა იქონიონ პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის შესახებ მშრომელთა კოლექტივებსა და ორგანიზაციებზე მათი უშუალოდ მხარდებით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში კონტროლი პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე მშრომელთა კოლექტივებს და ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს დააკისრონ მხოლოდ მაშინ, თუ ამაზე არის მათი თანხმობა (საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლი).

სასამართლოები ვალდებული არიან პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე კონტროლის დასაწესებლად სისტემატურად შეისწავ-

ლონ და განაზოგადონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელთა კოლექტივების მუშაობა პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში, დაეხმარონ მათ და საუკეთესოსთა გამოცდილება გაავრცელონ სხვა კოლექტივებში.

3. მიეცეს რჩევა რესპუბლიკის სასამართლოებს გამოიყენონ პრაქტიკაში გამამართლებელი ფორმები: სახალხო მოსამართლეების მიერ პირობით მსჯავრდებულთა გასაუბრებისათვის გამოჩახება, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილებიდან პირობით მსჯავრდებულთა დახასიათების გამოთხოვა, მათი სახალხო მსაჯულებზე მიმაგრება, თითოეულ პირობით მსჯავრდებულზე საკონტროლო საქმის შედგენა, რომელშიც თავმოყრილი იქნება განაჩენის ასლი, გამოთხოვილი დახასიათებები, აღნიშვნები ჩატარებული საუბრების შესახებ და სხვა.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია დაავალოს სასამართლო ორგანოთა სამმართველოს (ამნ. გ. კ. ცქტიშვილი):

ა) უზრუნველყოს ყველა სასამართლოში პირობით მსჯავრდებულთა აღრიცხვის წარმოება.

ბ) გააძლიეროს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოების მუშაობა, ხოლო იქ სადაც ისინი ჯერ კიდევ არ შექმნილა, უზრუნველყოს მათი შექმნა უახლოეს დროში.

გ) სახალხო სასამართლოთა მუშაობის რევიზიის ჩატარებისას შემოწმდეს ამ დადგენილების შესრულება.

5. აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლომ პერიოდულად შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა პირობით მსჯავრდებულთა აღრიცხვის, კონტროლისა და მათი გამოსწორების საქმე და ხელახლა აღზრდისათვის მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემისას ისინი იყოლიონ სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ.



დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 6

15 ივნისი, 1966 წელი

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის განსაზღვრის წესის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების (გასი კლენუმის 1962 წლის 3 ივლისის № 1 და 1963 წლის 14 მარტის № 10 დადგენილებაზე შეტანილი ცვლილებაზე), 1962 წლის 31 ივლისის № 10 დადგენილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 2 დადგენილების შემსრულებლის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სსკ 25 მუხლის შესაბამისად, ის პირნი, რომელთაც შეფარდებული აქვთ თავისუფლების აღკვეთა სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიაში ან საპყრობილეში. სასამართლოების მიერ შრომა-გასწორების კოლონიის სახის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანათა განხორციელებისათვის — დანაშაულის ჩამდენი თვითუფლები პირის სამართლიანად დასჯის, დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, საბჭოთა კანონების განუსრულებად შესრულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდისათვის.

აწესებს რა — თუ რომელი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოიხადონ სასჯელი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა პირებმა დებულმა შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეების შესახებ გამომდინარეობს პატიმართა მკაცრად განცალკევებით მოთავსების აუცილებლობიდან მათი სქესის, პიროვნებებისა და ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობათა ხასიათის მხედველობაში მიღებით.

ეს დებულება აწესებს, რომ:

საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულ პირთათვის.

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელს იხდიან ის პირები, რომელთაც პირველად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა მძიმე დანაშაულისათვის.


მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელს იხდიან მსჯავრდებულები, რომელთაც ორჯერ ან მეტჯერ შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ არ არიან ცნობილნი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად.

განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების

კოლონია წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირებისათვის, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1961 წლის 19 ივნისს მიიღო დადგენილება № 4 „სასამართლოების მიერ იმ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის წესის შესახებ, რომელთაც მიხილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა“ (ამ დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები პლენუმის 1962 წლის 3 ივლისის № 1 და 1963 წლის 14 მარტის № 10 დადგენილებებით), 1962 წლის 31 ივლისს — დადგენილება № 10 „თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1963 წლის 5 მარტს დადგენილება № 2 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, რომლებიც შეიცავენ სახელმძღვანელო მითითებებს სასამართლოებისადმი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ჩატარებული ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები გვიჩვენებენ, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად უსაზღვრავენ შრომა-გასწორების კოლონიის სახეს იმ პირებს, რომელთაც მიხილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა. ამასთან ერთად, ზოგიერთი რაიონების (ქალაქის) სახალხო სასამართლოები უშვებენ შრომა-გასწორების სამართლის ნორმათა არსებით დარღვევებს. ეს იწვევს შრომა-გასწორების კოლონიის სახის სწორად განსაზღვრის გაპიანურებას, ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედო-



ბათა სიმძიმის და დამნაშავეთა პიროვნებების გათვალისწინებით პატიმართა განცალკევებით მოთავსების შესახებ დადგენილი წესის დარღვევას, ართულეს პირობებს შრომა-გასწორების კოლონიებში და უარყოფით შეგავლენას ახდენს დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობასა და პატიმართა ხელახლა აღზრდაზე.

სამართალში მიცემული პირთათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას სასამართლოები ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებენ კანონის მოსზოვნას შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ, რის გამოც ზოგჯერ საერთოდ არ მსჯელობენ და არ მიუთითებენ განაჩენში იმაზე, თუ სახელდობრ რომელი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოხსნადოს სასჯელი მსჯავრდებულმა.

ჭესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ დ. დ. ზვიადაძეს საქართველოს სსრ სსკ 223 მუხლის მე-2 ნაწილით მიუსაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ განაჩენში არ მიუთითა რომელი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოეხსნა სასჯელი მსჯავრდებულს.

რიკ შემთხვევებში სასამართლოები შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრისას უშვებენ არსებითი ხასიათის შეცდომებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს ან იმათ, რომლებმაც უკვე მოიხადეს თავისუფლების აღკვეთა, აჯაზანან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულ პირებს უსაზღვრავენ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონიაში აჯაზანან მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე ნაკლები ვადით.

სიდნალის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. ვ. ნადირაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 187 მუხლის მე-3 ნაწილით და 105 მუხლით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ აღნიშნულ პირს სასჯელის მოხდის ადგილად განუსაზღვრა საერთო რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონია, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიისა.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ გ. ვ. ბერაია დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ სსკ 17-106 მუხლით და შეუფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

გ. ვ. ბერაიას მიერ ჩადენილი დანაშაული საქართველოს სსრ სსკ 25 მუხლის თანახმად არ მიეკუთვნება მძიმე დანაშაულობათა რიცხვს, ამიტომ მას (ბერაიას) სასჯელის მოხდის ადგი-

ლად უნდა განსაზღვროდა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია.

ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. კ. კაზარიას საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.


მართალია, საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულობათა რიცხვს (საქართველოს სსრ სსკ 25 მუხლი), მაგრამ იმის გამო, რომ შ. კ. კაზარიას განაჩენით დაენიშნა 5 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ მისთვის სასჯელის მოხდის ადგილად უნდა განესაზღვრა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია.

სასამართლო პრაქტიკაში აგრეთვე ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოები მსჯავრდებულებს, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ახალი დანაშაულის ჩადენისათვის შეფარდებულ სასჯელის მოხდას უნიშნავენ უფრო მსუბუქი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ხოლო პატიმრებს, რომლებმაც ჩაიდინეს ახალი დანაშაული საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდის პერიოდში, სასჯელის მოხდის ადგილად უნიშნავენ იმავე სახის შრომა-გასწორების კოლონიას, მაშინ როცა აღნიშნული პირები ვაგაზანნილი უნდა იქნენ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

ჭუგდილის რაიონის სახალხო სასამართლომ ლ. ე. სორდია დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის მე-2 ნაწილით და 213 მუხლის 1 ნაწილით და საბოლოოდ მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, მაშინ როცა მას (ლ. ე. სორდიას) სასჯელის მოხდის ადგილად უნდა განსაზღვროდა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია, ვინაიდან მან ახალი დანაშაული ჩაიდინა თავისუფლების აღკვეთის მოხდის პერიოდში.

რიკ შემთხვევებში სასამართლოები მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდის ადგილად მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის განსაზღვრას იმით ახაბუთებენ, რომ იგი წინათაც იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუმცა შეფარდებული ჰქონდა ისეთი სახეობის, რაც თავისუფლების აღკვეთასთან ან არის დაკავშირებული.

ჭესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ განაჩენით ს. ნ. ხვედელიძეს საქართველოს სსრ სსკ 81 მუხლის 1 ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში



იმ მოტივით, რომ იგი წინათაც მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სახალხო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ს. ნ. ხვედელიძე წინათ პირობით იყო მსჯავრდებული და რომ ამის გამო მას სასჯელი უნდა მოეხადა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ცნობილ მსჯავრდებულთა მიმართ არ ახდენენ ან არასწორად ახდენენ შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრას.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ, კ. ნ. ხუალიას საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მე-2 ნაწილით მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე დროს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სცნო იგი, მაგრამ განაჩენში არ მიუთითა, რომ აღნიშნულ პირს სასჯელი უნდა მოეხადა განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლის მე-2 ნაწილით წინათ გასამართლებულ ო. მ. შუღლიაშვილს გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილითა და 203 მუხლის 1 ნაწილით ერთობლივად მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონიაში მოხდით.

სახალხო სასამართლომ განაჩინა ო. მ. შუღლიაშვილის მიმართ შრომა-გასწორების კოლონიის განსაზღვრის ნაწილში გაუქმებულ იქნა, რადგან თანახმად საქართველოს სსრ სსკ 44 მუხლის 1 ნაწილისა ის პირი, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლით და ამის შედეგე ჩაიდინა საქ. სსრ სსკ 110 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, შეიძლება ცნობილ იქნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, სახალხო სასამართლომ კი არ იმსჯელო მიცემულ საკითხზე.

სასამართლოები ზოგჯერ ზუსტად არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 29 დეკემბრის № 11 დადგენილების „რეციდივური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სასამართლოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ“ მე-4 პუნქტში მოცემულ მითითებას იმის შესახებ, რომ იმ პირმა, რომელიც წინათ ცნობილი იყო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და სასჯელის მოხდის შემდეგ, მაგრამ სასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე ჩაიდინა ახალი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელი უნდა მოეხადა განსაკუთ-

რებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

ზოგჯერ სასამართლოები არასწორად უნიშნავენ შრომა-გასწორების კოლონიის სახეს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ ქალებსაც.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ განაჩინო ე. მ. მაშკოვას მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 216 მუხლის მე-2 ნაწილით, 228 მუხლის 1 ნაწილითა და 234 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ მოქმედებათა ჩადენისათვის და ერთობლივად მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, მაშინ როცა ქალებმა, რომელთაც შეფარდებული აქვთ თავისუფლების აღკვეთა, სასჯელი უნდა მოეხადა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, უკეთეს იხიან ცნობილი არ არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, რომელთათვისაც შექმნილია მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია.

სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები მოწმობენ, რომ ზოგჯერ სასამართლოებს არასწორად აქვთ გაგებული შინაარსი მათთვის მინიჭებული უფლებისა — გამონაკლისის სახით განუსაზღვრონ მსჯავრდებულს სხვა რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონია და იხიან არასწორად იყენებენ ამ უფლებას. ეს იმაში გამოიხატება, რომ სხვა სახის შრომა — გასწორების კოლონიის განსაზღვრას ადგილი აქვს არც თუ ისე იშვიათად და სასამართლოები მსჯავრდებულებს უფრო ხშირად აგზავნიან შედარებით მსუბუქი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. ამასთანავე, აღნიშნული გადაწყვეტილების დასახაბუთებლად სასამართლოები ხშირად იყენებენ ფორმალურ მოტივებს, მაგალითად, ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის ფაქტს, მაშინ როცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 10 დადგენილების მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ იმ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრისას, რომლებმაც წინათ მოხილეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის აღდგენაში და ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვთ, სასამართლოებს უფლება არა აქვთ მხოლოდ ამ ფაქტზე დაამყარონ თავიანთი გადაწყვეტილება, არამედ მხედველობაში უნდა მიიღონ დამნაშავის პიროვნების შესახებ ყველა მონაცემები მათ ერთობლიობაში, აგრეთვე მის მიერ წინათ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმეც.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სასამართლოები, უმსუბუქებენ ან უმძიმებენ რა მსჯავრდებულს შრომა-გასწორების კოლო-



ნიის სახეს, განაჩენში სრულებით არ მიუთითებენ მიღებული გადაწყვეტილების მოტივებზე.

წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ი. ხ. გაროზაშვილს, ი. გ. შარმაღინს და ვ. ა. მიდელაშვილს საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით. იმის გამო, რომ ყველა ისინი წინათ გასამართლებული იყვნენ და მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, სახალხო სასამართლომ სასჯელის მოხდის ადგილად განსაზღვრა მათ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შრომა-გასწორების კოლონიის აღნიშნული სახე შეუცვალა მათ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიით.

სასამართლოები ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ არასრულწლოვანი პირებისათვის მსჯავრის დადების დროსაც, სასჯელის მოხდის ადგილად ნაცვლად არასრულწლოვანთა შრომის კოლონიისა უსაზღვრავენ მათ სხვადასხვა სახის შრომა-გასწორების კოლონიას, შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრისას მხედველობაში ღებულობენ ამ მთელი სრულწლოვანების მიღწევამდე დანაშაულის ჩადენის ფაქტს და სხვა.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ არასრულწლოვან პირებს — ვ. ტალახაძეს, ო. კასრაძეს და გ. გოგაძეს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანთა შრომის კოლონიაში. მაგრამ ამასთან ერთად განაჩენში არასწორად მიუთითა, რომ შემოაღნიშნულ პირების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სასჯელის მოსახდელად გადაყვანილი ყოფილიყვნენ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, მაშინ როდესაც არასრულწლოვანი პირებისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლომ არ უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოიხადონ სასჯელი ამ პირებმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, წინათ თავისუფლების აღკვეთის მოთიანად არასრულწლოვანთათვის შრომის კოლონიაში მოხდა თავისთავად, სათანადო დასაბუთების გარეშე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განმეორებით მსჯავრის დადებისას თავისუფლების აღკვეთით დასჯილი პირისათვის მკაცრი რეჟიმის განსაზღვრას. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 29 დეკემბრის № 11 დადგენი-

ლების მე-4 პუნქტში მოცემული განმარტებითი შესახებ, რომ არასრულწლოვანის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ სასჯელის ნაწილის სრულწლოვანთა შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა განმეორებით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრის დადების შემთხვევაში შეიძლება საფუძვლად დაედოს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის განსაზღვრას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ სასამართლოებმა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ იმ პირებს, რომელთაც დანაშაული ჩადენილი აქვთ არასრულწლოვანების პერიოდში, მაგრამ საქმის სასამართლოში განხილვისას შეუსრულდათ 18 წელი, სასჯელის მოხდა უნდა განსაზღვრონ სრულწლოვანთა შრომა-გასწორების კოლონიაში.

სერიოზული ხასიათის შეცდომებს უშვებენ მსჯავრდებულთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის ნაწილში აგრეთვე საკასაციო ინსტანციები, ხოლო ზოგჯერ ზედამხედველობის წესით საქმეთა განმხილველი სასამართლოებიც.

ამასთან ერთად, ცალკეული სასამართლოები იმ შემთხვევაში, როდესაც სახეუა მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ადგილად უფრო მკაცრი სახის შრომა-გასწორების კოლონიის განსაზღვრისათვის განაჩენის გაუქმების საბაბი, მაგრამ ამ თაობაზე პროტესტი არ არის შემოტანილი, არ აცნობებენ ამის შესახებ შესაბამის სასამართლოების თავმჯდომარეებს, რომლებმაც უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი ზედამხედველობის წესით.

ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლოს განაჩენით ბ. პ. დიმიტრიევს საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ნაცვლად იმისა, რომ მას სასჯელის მოხდის ადგილად განსაზღვროდა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია.

სამსხრეთის ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უცვლელად დატოვა განაჩენი ბ. პ. დიმიტრიევის მიმართ და სახალხო სასამართლოს მიერ რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში დაშვებული დარღვევის შესახებ არ აცნობა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს.

შემოაღნიშნული ფაქტები იმას მოწმობს, რომ სასამართლოს ბევრ მუშაკს საქმიად არა აქვს შესწავლილი შრომა-გასწორების კანონმდებლობა, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის გან-

საზღვრის წესის შესახებ, ამავე დროს ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სასამართლოს საქმიანობის ამ მნიშვნელოვან საკითხს, არ აღგენენ და არ ააშკარავენ სასამართლოში წინასწარი გამოძიების მასალების არასისრულეს თვით ბრალდების ხასიათის, სამართალში მიცემულის პიროვნებას, კერძოდ, მისი აღრიხველი ნასამართლობისა და სხვა ისეთ გარემოებათა შესახებ მონაცემების გულმოდგინედ გამორკვევის აუცილებლობის ნაწილში, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შრომა-გასწორების კოლონიის სახის სწორად განსაზღვრისათვის. ამასთან ერთად, ხშირად სამსჯავრო სხდომის ოქმებში აღნიშნული არ არის საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორის დასკვნა სამართალში მიცემულ იმ პირისათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიმართაც ეს მოთხოვნის თვისუფლებების აღკვეთის შეფასდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული იწვევს იმას, რომ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საერთო და გაძლიერებული რეჟიმების შრომა-გასწორების კოლონიებში მოთავსებულია გარკვეული რაოდენობა იმ პირებისა, რომლებმაც წინათ მოიხადეს თავისუფლების აღკვეთა და ეს პირები აქეზებენ პირველად მსჯავრდებულ პატიმრებს დაარღვიონ რეჟიმი, გამხრწნელ ზეგავლენას ახდენენ მათზე და ხელს უშლიან პოლიტიკურ-აღმსრუტელობითი მუშაობის განხორციელებას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივლისისა და 1962 წლის 31 ივლისის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის სახელმძღვანელო მითითებათა განუხრედად შესრულების აუცილებლობას, იმის მხედველობაში მივლდებით, რომ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრა წარმოადგენს სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ამოცანას და რომ ამ საკითხის სწორად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდა-გამოსწორებისა და რეციდივური დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, აფხაზეთის და აჭარის ასრ უმაღლესმა სასამართლოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლომ გააძლიერონ ზედამხედველობა განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის ნაწილში, დროულად და სწორად მოახდინონ რეაგირება დაშვებულ დარღვევებზე.

შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის დროს კანონის სერიოზული დარღვევის თითოეული შემთხვევა უნდა წარმოადგენდეს სპეციალური განხილვის საგანს.

3. რესპუბლიკის ყველა სასამართლოში ორგანიზებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის გულმოდგინედ შესწავლა.

4. სასამართლოს მუშაკთა ზონალური თათბირების ჩატარებისას სახალხო მოსამართლეთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის საკითხის უფრო გულმოდგინედ შესწავლასა და სწორად გადაწყვეტაზე.

5. სასამართლო ორგანოების სამმართველომ (ამხ. გ. კ. ცქიტიშვილი) რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობის შემოწმებისა და რევიზიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასამართლოების მიერ შრომა-გასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტის სისწორესა და დასაბუთებულობას.

6. სასამართლო ორგანოებმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებთან, უფრო ხშირად მივიდნენ შრომა-გასწორების კოლონიებში, დროულად მოახდინონ რეაგირება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების წარდგინებებზე თავისუფლების აღკვეთის ადგილას ისეთ პატიმართა ყოფნის შესახებ, რომელთაც არასწორად აქვთ განსაზღვრული შრომა-გასწორების კოლონიის სახე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ვ. მბინსრაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ზ. მისენბინარი.



რ ე ზ ე ნ ი რ ე ბ ა № 7

15 ივნისი, 1966 წელი

სახალხო სასამართლოების მიერ ზოგადი პრინციპული დოკუმენტების შედგენის კულტურისა და მათი იურიდიული დასაბუთების შესახებ.

განხილვა რა სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები სასამართლოების მიერ ზოგიერთი პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურისა და მათი იურიდიული დასაბუთების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ მოსამართლეების უმრავლესობას სწორად ესმის განაჩენის და სხვა პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურისა და იურიდიული დასაბუთების მნიშვნელობა: როგორც წესი მტკიცედ იცავენ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 28 ივლისის № 13/9/უ დადგენილების მოთხოვნებს.

ამვე დროს ზოგიერთი მოსამართლეები როგორც არიან: ვ. ხუჯაძე (ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლო), ო. ლომიძე (ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლო), ო. ჭარბაძე (გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლო) ს. სულთანოვა (გარდაბანის რაიონის სახალხო სასამართლო), დ. ჯანაძე (სოხის რაიონის სახალხო სასამართლო), ნ. ვახარია (ჩხორიწყის რაიონის სახალხო სასამართლო), ა. გველესიანი (წესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლო) და სხვები, ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ზოგიერთი პროცესუალური დოკუმენტების შედგენისა და მათი იურიდიული დასაბუთების საქმეს. რთვ შემთხვევებში მათ მიერ გამოტანილი განაჩენები და განჩინებები ცალმხრივად ასახავს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობას, მის საფუძვლიანობას, არ პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის მოთხოვნებს, ეს კი ავტორიტეტს უღაზავს სასამართლო ორგანოს, ზიანს აყენებს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეს.

ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი განაჩენები, სადაც ვარკვევით არ არის მითითებული თუ რა საფუძველზე დაედო მსჯავრი ამა თუ იმ პირს, ან რა საფუძველზე იქნა ის გამართლებული, სათანადოდ არ არის მოტივირებული, თუ რა-

ტომ დაამყარა სასამართლომ თავისი დასკვნა ამა თუ იმ დამამტკიცებელ საბუთებს და რით არის უარყოფილი სხვა მტკიცებანი. სწორად განაჩენში სათანადოდ არ არის დასაბუთებული დანაშაულის კვალიფიკაცია. ზოგჯერ განაჩენში სრულყოფილად არ არის მოტივირებული სასჯელის შემსუბუქების და პირობითი მსჯავრის დადების, რეუიმის განსაზღვრის, მატერიალური ზარალის ანაზღაურების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობა ან მასზე უარის თქმა, სასამართლო ხარჯების დაკისრებისა და ა. შ.

ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოები არ იცავენ საქართველოს სსრ სსკ 35 მუხლის მოთხოვნას და მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის დადგენისას არ წყვეტენ ორდენების, მედლების, სამხედრო და სხვა წოდებათა ჩამორთმევის საკითხს.

ზოგიერთ განაჩენში ბუნდოვანად არის ასახული საქმის გარემოებანი, რითაც ძნელი ხდება ძირითადი და არსებითი მნიშვნელობის საკითხის გარკვევა, ზოგჯერ კი განაჩენი იმდენად სქემატურია და მოკლეა არის შედგენილი, რომ შეუძლებელია საქმის ფაქტიურ გარემოებათა გაგება.

გვხვდება ისეთი განაჩენები და განჩინებები, სადაც დაცული არ არის ენობრივი სიწმინდე და სხვა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ე. ლეიშანოვის და დ. ოროლოვის ბრალდების საქმეზე საქართველოს სსრ სსკ 17-150 მუხლის მე-2 ნაწ. განაჩენის დადგენისას უხეშად დაარღვეა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317 მუხლის მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ განაჩენში არ იყო გადმოცემული გარემოებანი, რომელიც განსაზღვრავდნენ თუ რა ბრალი მიუძღოდა თვითეულ სამართალში მიცემულს, ასევე მითითებული არ იყო იმ დამამტკიცებელ საბუთებზე, რაც საფუძველად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს.

ამვე სასამართლომ დ. ასათიანი იცნო რა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მე-2 ნაწილით, განაჩენში არ მითითა თუ რაში გამოიხატა ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა,

ქართული
საგარეო
აფაირთ
საბჭოთა

რამ წარმოშვა საფრთხე მოძრაობის დროს, ქონდა თუ არა მძღოლს შესაძლებლობა მიეღო ზომები უბედური შემთხვევის ასაცილებლად.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. შარაბიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას, ამავე დროს განაჩენის აღწერილობით ნაწილში განვითარებულია ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. სახელდობრ განაჩენში ნათქვამია: „...სასამართლოს ამ კონკრეტულ მდგომარეობის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ შარაბიძე აუცილებელ მოგერიებაში იმყოფებოდა, იგი თავდასხმას განიცდიდა და თავდამსხმელისაგან რეალური საფრთხე ქონდა შექმნილი, რადგან თავდამსხმელები რამდენიმე პირისაგან შესდგებოდა ისიც დანებით შეიარაღებული“. იმავე განაჩენში აგრეთვე აღნიშნულია „...სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართალში მიცემული შარაბიძის მოქმედებაში განზრახვა ამირანაშვილის მკვლელობაში გამორიცხულია და დამდგარი შედეგი გაპიროვნებულია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ასპექტში...“, ამრიგად გაუგებარია თუ განაჩენის რომელი ნაწილია სწორი და საერთოდ ჩაიდინა თუ არა შარაბიძემ სისხლის სამართლის დანაშაული. შემცდარია სასამართლო, როდესაც საქართველოს სსრ სსკ 107 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მიიჩნია არავანზრახ მოქმედებად.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით სოფიევს მსჯავრი დაედვა საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მე-2 ნაწ. განაჩენიდან კი არ სჩანს, თუ რატომ არის სოფიევის დანაშაულებრივი ქმედობა დაკვალიფიცირებული, როგორც ბოროტი სულივნობა.

ცალკეულ განაჩენებში აღნიშნული არ არის კონკრეტული გარემოებანი, თუ როგორ პირობებში მოხდა მკვლელობა და დანაშაულის მოტივი. ზოგიერთ სასამართლოებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლსათვის სავალდებულო არ არის მოტივის დადგენა და რომ ეს თითქოსდა საჭიროა 104 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულისათვის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ სსკ 59 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნას, სადაც ნათქვამია: „მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს: დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, მოტივი და სხვა გარემოებანი)“.

გვხვდება ისეთი განაჩენებიც, სადაც გადმოცემულია სასამართლოს მოსაზრებანი, რაც გა-

მაგრებული არ არის სათანადო დამამტკიცებელი საბუთებით.

ზობის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. გუნიას მსჯავრი დასდო მასზედ, რომ წელშობდა რა ავტომანქანის მძღოლად, 1965 წლის 31 ოქტომბერს უხეშად დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების და ექსპლუატაციის წესები, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა.

სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დასაბუთა შემდეგნაირად: „...ნაწილობრივ დაარღვია რა ფეხით მოსიარულეთა წესები აწ გარდაცვლილმა ხარეშივილმა, იგი დადგა გზის სავალ ნაწილზე. სადაც მანქანის მოძრაობის ხაზი იყო, როგორც საქმიდან ჩანს იგი ფიქრობდა მას მანქანას გაუჩერებენ, ასევე დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ გუნია ფიქრობდა რაკი მანქანას არ შეაჩერებდა მოქალაქე გზას გაუნთავისუფლებდა... სამართალში მიცემულ გუნიამ აღიარა, რომ იგი მანქანით დაეჯახა მისთვის უცნობ მოქალაქეს, დაზიანა იგი, დაეცა, მხოლოდ თავს ცნობს დამნაშავედ. ნაწილობრივ მან მისი განმარტებით არ იცოდა მოქალაქე მკვლარი იყო. იგი მან მიიჩნია თავდამსხმელად. მასზე დაჯახებისას იგი გზაზე ხრეშს დაეჯახა და ამის შემდეგ აღიარებს ზემოაღნიშნულ სახით მანქანის დაყენებას მოქ. სივინავს ოჯახში და აბაშაში წასვლას... გუნიასთან თანამსჯავრი რუსია მოქმის სახით დაკითხული როგორც ჩანს თავს იკავებს ყველაფერი თქვას... გუნია უნდა დაისაჯოს კანონის შესაბამისად“...

აღნიშნული განაჩენი, როგორც გაუგებარი ენობრივად და დამყარებული პირად მოსაზრებებზე გაუქმებული იქნა.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ მ. მჭედლიძის ბრალდების საქმეზე საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მე-2 ნაწ. განაჩენში ასევე მოიყვანა უხამსი და განაჩენისათვის შეუფერებელი გამოთქმები, ასეთივე გამოთქმებს ვხვდებით გეგეპკორის, ჩხოროწყუს, სამხრეთ-მთის ავტონომიური ოლქის სახალხო სასამართლოების ზოგიერთ განაჩენებშიც.

ზნირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები წარმოებაში იღებენ ისეთ საქმეებს, რომელშიც გამავალ ბრალდებულთ უსწოროდ, იურიდიული გაუმართავი ენით აქვთ წარდგენილი ბრალდება, რომლებიც არ გამოამდინარეობენ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის დისპოზიციიდან, რის გამოც განაჩენები ზემდგომ ინსტანციებში უქმდება ან იცვლება.

თვით მოსამზადებელი სხდომის დადგენილებებში შედგენილია უსწოროდ და უხარისხოდ: ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლო ბრალდებულის სამართალში მიცემისას დადგენილებაში უთითებს: „საბრალდებო დასკვნა დამტკიცდეს“, მაშინ, როდესაც ეს ფუნქცია თა-



ნახმად საქართველოს სსრ სსსკ 214 მუხლისა მინიჭებული აქვს პროკურორს.

გაგრის რაიონის სახალხო სასამართლომ მოსამზადებელ სხდომის დადგენილებაში აღნიშვნა „...აგოზიანი არამ ხაჩატურის ძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქ. სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილში“ ე. ი. წინასწარ მიიღო გადაწყვეტილება გამამტყუნებელ განაჩენის დადგენისათვის.

მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილების მე-2 პუნქტის რეკომენდაციისა ზოგიერთი სასამართლოები, ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებაში მიღების საკითხს სწვევტენ ერთპიროვნულად და არა მსაჯულების მონაწილეობით, განწესებულ სხდომაზე.

არის იმის ცალკეული შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები უბრუნებენ საქმეებს დამატებით გამოძიებას და განწესებულ სხდომაზე არ იწვევენ პროკურორებს, რითაც არღვევენ საქ. სსრ სსსკ 227 მუხლის მოთხოვნას.

დანაშაულის ლიკვიდაციისა და მისი წარმომშობი მიზეზების ამოფხვრისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა კერძო განჩინებების და წარდგინებების ხარისხიანად შედგენას და მათზე დროულ რეაგირებას. ზოგიერთი სასამართლოები არ იცავენ ამ ელემენტარულ მოთხოვნებს, ცილდებიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებს, ზოგჯერ კი განჩინებები გამოაქვთ ან კიდევ წარდგინებებით შედიან არა არსებით საკითხებზე.

შემოსენებულ ნაკლოვანებებს სასამართლოების მუშაობაში გაცილებით ნაკლებად ექნებოდა ადგილი, რომ საქასაციო და საზედამხედველო წესით საქმეების განილვისას შემდგომი სასამართლოები განაჩენებისა და სხვა პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურისა და იურიდიული დასაბუთების საქმეზე და გამოვლინებული ნაკლოვანებების აღკვეთის შესახებ ღებულობდნენ სათანადო ზომებს.

იმ მიზნით, რათა სასამართლოების მუშაობაში ამოფხვრილი იქნეს შემოადინებული სერიოზული ნაკლოვანებანი, საქართველოს სსრ

უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება, რათა განაჩენის და განჩინების გამოტანის დროს სრულყოფილად იქნეს დატული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 36,43, საქართველოს სსრ სსსკ 222-235, 301-320,321 მუხლების მოთხოვნები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 28 ივლისის № 13/9/ უ დადგენილება „სასამართლოს განაჩენის შესახებ“.


2. თანახმად საქართველოს სსრ სსსკ 317 მუხლისა სასამართლოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ, რომ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებანი, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რა ბრალი მიუძღვის თვითეულ სამართალში მიცემულს, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამტკიცებულად ცნობილი ბრალდების ფორმულირება, დანაშაულის კვალიფიკაციის საფუძვლები, მიუთითოს დამამტკიცებელ საბუთებს, რომელნიც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ განაჩენს, დაასაბუთოს სასჯელის შემსუბუქების და პირობითი მსჯავრის დადების, რეჟიმის განსაზღვრის, მატერიალური ზარალის ანაზღაურების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის საფუძვლიანობა, სასამართლო ხარჯების ანაზღაურების საკითხები და სხვა.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლის შესაბამისად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს სასამართლო ასევე ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი, მიზანშეწონილია თუ არა მსჯავრდებულს ჩამოერთვას: ორდენი, მედალი, საპატიო, სამხედრო თუ სხვა წოდება.

4. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 43 მუხლის შესაბამისად სასამართლო განაჩენს საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც განხილულ იქნა სამსჯავრო სხდომაზე.

5. განაჩენი უნდა იყოს იურიდიულად დასაბუთებული, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლების მითითებით.

6. საქასაციო და ზედამხედველობის წე-



სით საქმეების განხილვის დროს განსაკუთრებით დეტალურად უნდა შემოწმდეს განაჩენების კანონიერება და მათი დასაბუთებულობა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ დაშვებულია ისეთი დარღვევა, რომელიც არ იწვევს განაჩენის აუცილებელ გაუქმებას, ზემდგომი სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს კერძო განჩინება და მიუთითოს სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს დაშვებულ დარღვევებზე.

7. იმის გამო, რომ ანალოგიური დარღვევები

დაშვებულია ბრალდების წარდგენის დადგენილებებში, საბრალდებო დასკვნებში და საგამომძიებლო დოკუმენტებში, რომელიც გარკვეულ ფორმებში აპირობებს სასამართლოს მიერ პროცესუალურ დოკუმენტების ხარისხიანად გაფორმების საკითხს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მიზანშეწონილად თვლის ზემოაღნიშნულ საკითხზე განზოგადების მთლიანი მასალა გაუგზავნოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს სათანადო რეაგირებისთვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — **პ. მანისჭრაძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — **ზ. მესხინაძე**.



საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

20 დეკემბერი, 1966 წელი

„ზიანის ანაზღაურების სარჩელთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 23 ოქტომბრის
№ 16 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი დავების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად სწვევდნენ აღნიშნული კატეგორიის დავებს. სასამართლოები, როგორც წესი, სწორად იყენებენ სამოქალაქო კანონმდებლობას ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა შესახებ და „ზიანის ანაზღაურების სარჩელთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის №16 დადგენილებას.

ამავე დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლოები აშუღავნებენ ზიანის მიყენებიდან სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების უსწორო გაგებას.

ადგილი აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ბრალის ფორმის განსაზღვრავად კანონის შეუსაბამო ტერმინის ხმარებას, რაც გაუგებარს ხდის გადაწყვეტილებას. რიგი სასამართლოებისა ივიწყებენ, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ბრალი შეიძლება იყოს განზრახვის, უხეში გაუფრთხილებლობის ან მარტივი გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალის სხვა ფორმებს („მცირედი ბრალი“, „ოდნავი ბრალი“ „გარკვეული უყურადღებობა“ და სხვა) საბჭოთა კანონმდებლობა არ იცნობს.

თანხმად მოქმედი კანონმდებლობისა, დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ზიანის მიმყენებლის ბრალი, არამედ დაზარალებულის ბრალიც, თუ ის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმაში გამოიხატა. დაზარალებულის მარტივი გაუფრთხილებლობა კი მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული.

სასამართლოს მიერ დაზარალებულის ბრალის ფორმის განსაზღვრა ტერმინებით „ოდნავი ბრალი“, „მცირედი ბრალი“, „გარკვეული უყურადღებობა“ — და სხვა, გაუგებარს ხდის


დაზარალებულის ბრალის სახელდობრ რომელი ფორმაა დადგენილი სასამართლოს მიერ: განზრახვა, უხეში გაუფრთხილებლობა თუ მარტივი გაუფრთხილებლობა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ზიანის შერეული პასუხისმგებლობის წესით ანაზღაურების შემთხვევაში.

როგორც წესი, შერეული პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაში სასამართლოები მოსარჩელისა და მოპასუხის ბრალს პროცენტებში განსაზღვრავენ, რაც არასწორია. პროცენტებში უნდა განისაზღვროს არა ბრალი, არამედ მიყენებული ზიანის ანაზღაურებელი ნაწილი.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები მოპასუხის ბრალს დადასტურებულად სთვლიან და მას პასუხისმგებლობას აკისრებენ მაშინ, როდესაც ფაქტიურად ეს ბრალი დადგენილი არ არის.

სასამართლოები მხედველობიდან უშვებენ, რომ პირისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, საჭიროა დადგინდეს მისი ბრალი არა მარტო ქმედობის მიმართ, არამედ ამ ქმედობის შედეგის მიმართაც. ამის გამო ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი შედეგისათვისაც, რომელიც ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირში არ არის მოპასუხის ქმედობასთან.

შერეული პასუხისმგებლობის წესით აკმაყოფილებენ რა სარჩელს, სასამართლოები, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471 მუხლის არასწორი გაგებიდან. ამ მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაზარალებულის ბრალის ხარისხის გათვალისწინებით სასაღაური უნდა შემცირდეს, სასამართლოებს გაგებული აქვთ როგორც იმის საფუძველი, რომ დაზარალებულის ბრალი განიხილონ იზოლირებულად დაზარალებულის ქმედობისაგან. გადაწყვეტილებაში უთითებენ, რომ დაზარალებულმა დაუშვა უყურადღებობა, გაუფრთხილებლობა და სხვა, მაგრამ არ მიუთითებენ დაზარალებულის



კონკრეტულად რომელ ქმედობაში გამოიხატა ეს გაუფრთხილებლობა. ხშირად მაშინაც კი, როდესაც სასამართლო არ ქმედობაზე მიუთითებს, ის საჭიროდ ასე სთვლის დაადგინოს არის თუ არა დაზარალებულის ეს ქმედობა მიზეზობრივ კავშირში მოცემულ შედეგთან.

ამასთან არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები მომეტებულ, კანონით გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს უყენებენ დაზარალებულის ქცევას და ბრალად უთვლიან სიფრთხილის ისეთი ზომის გამოუჩენლობას, რომელიც მას კანონით არ მოეთხოვებოდა.

თანახმად არსებული წესისა, საკითხს ზიანის ანაზღაურების შესახებ პირველ რიგში განიხილავს ზიანის მიყენებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია. რიგ შემთხვევებში ადმინისტრაცია აკმაყოფილებს დაზარალებულის მოთხოვნას მაშინაც, როდესაც ორგანიზაციას მუშაკისათვის ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვის.

იმის ნაცვლად, რომ ბრალეულობის საკითხი არსებითად შეისწავლონ, სასამართლოები ასეთ შემთხვევებში უკრიტიკოდ იღებენ ადმინისტრაციის მიერ ბრალის უსაფუძვლო აღიარებას და აკმაყოფილებენ დაზარალებულის სარჩელს ბრალეულობის საკითხის განუხილველად.

რიგი სასამართლოებისა მხედველობიდან უშვებენ, რომ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის წესები (ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა) არ ვრცელდება მოცემული საწარმოს მუშაკზე. ამის შედეგად, საწარმოს ბრალის გარეშე აკისრებენ პასუხისმგებლობას თავისი მუშაკისათვის ზიანის მიყენებისას იმ მოტივით, რომ ეს საწარმო მომეტებული საფრთხის წყაროა.

შეტდომებს აქვს ადგილი არასრულწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისათვის სათანადო პირთა პასუხისმგებლობის პირობების თავისებურებათა გაგებაში.

სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში საქმეს იხილავენ, ზიანის უშუალოდ მიმყენებელი პირის გარეშე, ზიანის მიყენებით წარმოშობილ სამოქალაქო სამართლებრივ ვალდებულებათა საკითხებზე არ ტარდება სალექციო და სხვა განმარტებითი მუშაობა საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან და პროფკავშირის კომიტეტების წევრებთან. სასამართლოებს არ გამოაქვთ კერძო განჩინებები იმ ორგანიზაციათა მიმართ, სადაც შრომის უშუალოების წესების დარღვევა იწვევს მუშაკისათვის ზიანის მიყენებას.

ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი დავების სასამართლო განხილვის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი დავების სწორად გადასაწყვეტად სასამართლოები ვალდებული არიან საკმაო სისრულით განიხილონ ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები: ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და სხვა.

2. შერეული პასუხისმგებლობის დაკისრების დროს სასამართლოებმა პროცენტებში უნდა გამოხატონ არა ბრალი, არამედ მიყენებული ზიანის ის ნაწილი, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს ეკისრება.

დაზარალებულის მარტივი გაუფრთხილებლობა მოპასუხის პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

3. სასამართლომ პირის ბრალი უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ქმედობის მიმართ, არამედ მოცემული შედეგის მიმართაც. არ შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი შედეგისათვის, რომელიც ბრალეულ და მიზეზობრივ კავშირში არ არის მოცემული პირის ქმედობასთან.

4. დადგენილად ჩასთვლის რა ბრალს, სასამართლო ვალდებულია მიუთითოს პირის კონკრეტულად რომელ ქმედობაში გამოიხატა ეს ბრალი.

5. მოპასუხის მიერ სარჩელის ან საქმის ცალკეული გარემოების აღიარება სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის. სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მაშინ, თუ მისი საფუძვლიანობა გამომდინარეობს საქმის მასალებიდან იმის მიუხედავად, მოპასუხემ სარჩელი სცნო თუ არა.

6. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის წესები (ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 468 მუხლი) არ ვრცელდება მოცემული საწარმოს მუშაკზე. თავისი მუშაკისათვის ზიანის მიყენებისათვის საწარმო პასუხს აგებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473 მუხლით, მიუხედავად იმისა, ეს საწარმო მომეტებული საფრთხის წყაროა თუ არა.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი მიყენებულია არასრულწლოვანის მიერ, სასამართლომ მასთან ერთად მოპასუხედ უნდა ჩააბას მისი მშობელი (მეურვე) და დააკისროს მას დამატებითი პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანი ანაზღაურებული უნდა იქნას პირველ რიგში თვით არასრულწლოვანის ქონებიდან, ხოლო თუ მას საკმაო სახსრები არ აღმოაჩნდება, ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მშობლის (მეურვის) ქონებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიყენებულია 15 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ,



მოპასუხედ ჩაბმული უნდა იქნას მხოლოდ მშობელი (მეურვე).

8. თუ სასამართლო დაადგენს, რომ დავა განხილულია არასათანადო ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მიერ, მან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 228 მუხლის I პუნქტის შესაბამისად საქმე განუხილველად უნდა დატოვოს.

9. სამხედრო უწყების ვალდებულება, ანაზღაუროს სამხედრო სამსახურის შესრულების დროს სამხედრო პირისათვის მიყენებული ზიანი, განისაზღვრება საპენსიო კანონმდებლობით და ამ ურთიერთობებზე არ ვრცელდება სამოქალაქო კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების შესახებ.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ნებაყოფლობით ანაზღაურებს მიყენებული ზი-

ანის ნაწილს და სასამართლო დავა ეხება ანაზღაურებელი თანხის ოდენობას, სასამართლომ, თუ სარჩელს დააკმაყოფილებს, მოპასუხეს უნდა დააკისროს მთელი თანხა და არა მხოლოდ თანხის სადავო ნაწილი.

11. თუ ზიანი მიყენებულია დანაშაულით, სასამართლო ვალდებულია გამოითხოვოს განაჩენი, გამოტანილი მოცემული დანაშაულის თაობაზე.

12. სასამართლომ, როდესაც დაადგენს, რომ ზიანის მიყენება გამოწვეულია ადმინისტრაციის მიერ უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით, კერძო განჩინება უნდა გამოიტანოს სათანადო პირების მიმართ.

13. პრაქტიკის შესწავლის მიმოხილვა დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ვ. მანისშრბძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ზ. მესხინაძე

პოეზია

პროფესორი გიორგი ნანიშვილი

სარგო კლდიაშვილი


გიორგი ნანიშვილს მოწაფეობის დროიდან ვიცნობდი, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კიდევაც დავეუახლოვდი და სწორად მასთან შინ დავდიოდი. მაღალი, მშვენიერი შესახედავი ახალგაზრდა განსაკუთრებით იმით მიზიდავდა, რომ მხატვრულ ლიტერატურას კარგად იცნობდა, გონებამახვილი და სიცოცხლით სავსე იყო. ოჯახში დაკული ჰქონდათ მამის, ცნობილი ჟურნალისტის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ნანიშვილის ბიბლიოთეკა, რომელიც მრავალ ასეულ ტომს შეიცავდა. ამ ბიბლიოთეკით ჩვენ თავისუფლად ვსარგებლობდით. ჩემს ოჯახში არა ერთხელ გამიგონია ალექსანდრეს სახელი, ასეუბნებდნენ როგორც ჩვენი სათაყვანებელი დიდი ილიას მიერ დაარსებულ „ივერუსის“ უახლოეს თანამშრომელს და წლების განმავლობაში გაზეთის ხელმძღვანელს. ამ გარემოებამაც ერთგვარად ხელი შეუწყო იმას, რომ უფრო გაძლიერებულიყო ჩემში პატივისცემის გრძნობა, გიორგის, ანუ როგორც მას შინაურები და მასობლები ეძახებდნენ ზოჯოს ოჯახისადმი.

სამუშაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. გიორგი პეტერბურგში წავიდა უმაღლესი ცოდნის მისაღებად, მე მოსკოვი ვარჩიე. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეხვედით ისევ ერთმანეთს. ორივეს დამთავრებული გეგონდა იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ მე, როგორც ვატიკობდი, უპერსპექტივო იურისტი ვიყავი და აღარ გაყოლივარ მას. სოლო გიორგი კათედრის მოთხოვნით დატოვებულ იყო პეტროგრადის უნივერსიტეტში და აპირებდა კიდევაც იქ დაბრუნებას, მაგრამ ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებელმა და დიდმა მოამაგემ ივანე ჯავახიშვილმა აქ სამუშაოდ მიიწვია და მალე გერმანიაში გაგზავნა იმ მიზნით, რომ იურიდიული მეცნიერება კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა. როგორც ჩანს, გიორგის ნიჭს დიდად აფასებდნენ მისი აღმზრდელი პროფესორები, მაგალითად, ცნობილი მეცნიერი პეტრასიციკი, რომელიც მაშინ უცხოეთში იმყოფებოდა, წერილს წერილზე უგზავნიდა გიორგის, სამუშაოდ იწვევდა და სახარბიელო მომავალს უწინასწარმეტყველებდა თუ მასთან უცხოეთში წავიდოდა. ერთ წერილში ის კატეგორიულად მოითხოვდა: «Я считаю вас лучшим моим приемником, я жду вас к себе».

ძალიან მაცდუნებელი იყო ასეთი ყურადღება და მიწვევა, მაგრამ პატრიოტმა ახალგაზრდამ ამჯობინა თავისი ქვეყნის სამსახური, უარი თქვა მომხიბლავ პერსპექტივაზე და ქართულ უნივერსიტეტში სამუშაოდ დარჩა.

როგორც შემოთავაზდნენ, ბავშვობიდან დაახლოვებული ვიყავი მასთან, მაგრამ შესაძლოა წლების მანძილზე განულებულიყო ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. სწორად ისე ხდება, რომ ცხოვრების გზაზე იმ ადამიანებს უფრო დაუახლოვდები, ვისთანაც პროფესია გააკავშირებს. გიორგი უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, აქ დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ჩვენს მეცნიერ მუშაკებს, სოლო წრე, სადაც მე ვტრიალებდი სხვა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი ძველი ურთიერთობა მაინც არ შეწყვეტილა. სასიხარულოდ ისე მოხდა, რომ ფართო განათლებისა და პორიზონტის მქონე გიორგი ნანიშვილი, რომელთან მეგობრობას ადრეან ახალგაზრდობაში მწერლობისადმი სიყვარულმა ჩაუყარა საფუძველი, მოწიფულობამაც მწერლობის დიდი მოყვარული დარჩა.

ამიტომ იყო, რომ ქართული მწერლობის და ხელოვნების წარმომადგენლები დიდი ხალისით იკრიბებოდნენ სოლომე მის სახლში. იქ სწორად ნახავდით გერონტი ქიქოძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ლადო გულიაშვილს, გიორგი ლუთნიძეს და მრავალ სხვას. გიორგის ოჯახში არა ერთხელ მიწახვას აგრეთვე გამოჩენილი რუსი და უცხოელი მწერლებიც, მათ შორის იური ტინიანოვი და ცნობილი ნორვეგიელი მწერალი ნურდალ გრიგი, გიორგისავით გოლიათი მოყვანილობის, სმაურა, მოუსვენარი და ენამახვილი კაცი. ეს ის ნურდალ გრიგია, დიდი კომპოზიტორის გრიგის შთამომავალი, რომელიც პიტლერის ჯარის მიერ ნორვეგიის ოკუპაციის დროს ნორვეგიის მთავრობის სავანებო დაგალებით ინგლისში გაგზავნეს, გზაში მის თვითმფრინავს გერმანელების გამანადგურებლები დაეწივნენ და ზღვაში ჩაძირეს. ნურდალ გრიგის დაღუპვის ამბავი თავის დროზე მწუხარებით აღინიშნა ჩვენს გაზეთებში, სოლო მისმა ქვეყანამ ეროვნულ გმირად გამოაცხადა და ძველი აჯგო. არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ მისი სახით ჩვენ დაკარგეთ ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობარი. აქ მინდა შემდეგი ფაქტი გავიხსენო პირადად მე ორჯერ შეხვედი ნორვეგიელ სტუმარს—



ჯერ გიორგის და მისი მეუღლის ქ-ნ ელენეს ოჯახში, მერედ გიორგის ცოლისძმის რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის ოჯახში. ნურდალ გრიგი, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლამდე ძალიან შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზე, გიორგი ნანეიშვილის მემკვიდრეობით გაეცნო ჩვენს წარსულს, ისტორიულ ძეგლებს, ლიტერატურას და აღტაცებული დარჩა, რომ მაღალი კულტურის ქვეყანა ნახა. განსაკუთრებით გახარებული იყო იმით, რომ ჩვენში ფართოდ იცნობდნენ ნორვეგიის მწერლობას — ბიერნსონს, იბსენს, ჰამსუნს და რომ ჩვენს თეატრებში ძალიან ხშირად იდგმებოდა იბსენის დრამები. მასხუს, როდესაც გიორგიმ ნურდალ გრივს გადასცა ქართულ ენაზე თარგმნილი იბსენის და ჰამსუნის ნაწარმოებები, გრიგი გადაეხვიდა და თითქმის მღვლავარებით უთხრა:

— მე ახლა ნამდვილად მრცხვენია, რომ ნორვეგიაში აქამდე თითქმის არაფერი იციან საქართველოზე, გაძლევთ სიტყვას ამ საქმეს გამოვასწორებ, მალე ისევ ჩამოვალ და უფრო ხანგრძლივი დროით.

ეს იმედი არ შეუსრულდა გრივს. ორი წლის შემდეგ მსოფლიო ომი დაიწყო, გრიგი ჩრდილოეთის ზღვაში დაიღუპა, უფრო ადრე კი გიორგი აღარ იყო ცოცხალთა შორის.

ქართული, რუსული, დასავლეთ ევროპის ხალხთა ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას უკვალოდ არ ჩაუვლია გიორგი ნანეიშვილისათვის. თავის მეცნიერულ შრომებში მან არა ერთხელ მასალად გამოიყენა მხატვრული ნაწარმოებები. ერთ შრომაში მან ძალიან გონებამსვილად დაიმოწმა ცნობილი გერმანელი რომანტიკოსი მწერლის და დრამატურგის ჰენრიხ კლეისტის „მიხელო კოლგაარი“. დიდი მხატვრული გემოვნებით დაწერილ ამ ნაწარმოებში ავტორი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც მე-16 საუკუნის გერმანიის ფეოდალურ იუსტიციაში გამეფებულ კორუპციას შეებრძოლა და შეეცადა ადამიანური უფლებები მოეპოვა.

გიორგი ნანეიშვილი ფართოდ იყენებდა უმთავრესად ქართულ ლიტერატურას. სხვათაშორის მას დამთავრებული ჰქონდა დიდი შრომა, სადაც განიხილავდა ძველად საქართველოში სამართლის წარმოების საკითხებს „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. ამ ნაშრომის დიდი ფრაგმენტი გადასცა მან სპეციალურ კრებულს, რომელიც რუსთაველის საიუბილეო დღეებში უნდა გამოსულიყო. კრებულში სხვა მრავალი მეცნიერული ნარკვევი იმეჭდებოდა, კიდევაც აიწყო სტამბაში, მაგრამ საბოლოოდ წიგნად მინც არ გამოჩნდა. ამის მიზეზი შემდეგი იყო: კრებულის გამოსვლის წინა დღეებში გამოირკვა, რომ იქ მონაწილე თითქმის ყველა ავტორბ დაბატიმრებული იყო.

ორივე ზემოთ დასახელებული შრომა და მათთან

ერთად სხვა ბევრიც დაბატიმრებისას წაიღეს და ასე ამგვარად ისინი უკვალოდ გაქრნენ.

შესაძლოა ვინმეს ისეთი წარმოდგენა ჰქონდეს მეცნიერზე, რომ თითქმის ის მუდამ მხოლოდ წიგნებში და თავის ქაღალდებში არის ჩაფლული და ბევრი რამ რაც ჩვეულებრივ ადამიანს ართობს და ახალისებს თავისუფალ დროს, უცხო იყოს მისთვის. მაგალითად, მეცნიერი და სპორტი, მეცნიერი და ჭადრაკის სიყვარული ან ნარდის თამაში? ზოგიერთებს ეს რაღაც შეუსაბამოდ მიაჩნიათ.

იქნებ აქა-იქ მართლაც მოიძებნოს მეცნიერი, რომელსაც სიცოცხლის ყოველგვარი ხალისი დაკარგული აქვს, მაგრამ გიორგი ნანეიშვილზე ასეთი რამ არ ითქმოდა. გიორგი მაგალითად გატაცებული მონადირე იყო... ოღონდ ვერ ვიტყვი, რომ იღბლიანი მონადირე. ხშირად სრულიად სელცარიელი დაბრუნებულა, უძინარი, დაღლილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი, რომ მთელი დღე და ღამე ბუნებაში გაატარა. ბრუნდებოდა ხოლმე თითქმის დარცხენილი, რომ ჩანათა ცარიელი მოიტანა. სახეზე საბოდიშო ღიმილი გამოეხატებოდა, მაგრამ კარგად იცოდა, — საყვედურს არავინ ეტყოდა იმისათვის, რომ ტყეილუბრლოდ დაისვარა და ტანსაცმელი ტალახში ამოისვარა. საყვედური კი არა ხანდახან სასიხარულო სიურპრიზიც ელოდა: მისი, მოსიყვარულე მეუღლე ხანდახან ორ-სამ კაკაბს ან გარეულ ფრინველს დაახვედრებდა შინ.

— საიდან? — უკვირდა გიორგის.
 — მე აქ ვინადირე, — ღიმილით ეუბნებოდა ელენე, — დღეს ბაზარში ვიყიდე.

გიორგის ოჯახში რამოდენიმეჯერ ვნახე ჩვენი ცნობილი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე. უზნაძე ჩემი მასწავლებელი იყო ქუთაისის ქართულ ინსტიტუტში. ის ყოველთვის ნატიფად, გემოვნებით იცვამდა, მოწაფეებთან თითქმის გულცივად ეჭირა თავი. მაგრამ მაინც გვიყვარდა. განსაკუთრებულ პატივს ვცემდით და ვერ ვეთამამებოდით ხოლმე, როგორც ზოგჯერ სხვა მასწავლებელს. ეს მორიდება მოწაფეობის დროიდან მქონდა გამოყოფილი და ჩემი მოწიფულობის წლებშიც მასთან შეხვედრისას ყოველთვის შეზღუდულად ვგრძნობდი თავს.

დიმიტრი და გიორგი ხანდახან ნარდით იყოლებდნენ თავს, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ თამაშობდნენ! ნარდის ოსტატები ალბათ ბევრს იცინებდნენ ამ დროს რომ მათთვის შეეხედათ. აი, დიმიტრიმ ხელში აიღო კამათლები, აპა უნდა გააგოროს, მაგრამ უეცრად რაღაც მოაგონდა და ლაპარაკს იწყებს თავისი დაბალი, ჩუმი ხმით. რამდენიმე წუთი გრძელდება საუბარი, კამათლები კი ამ დროს ისვენებენ დაფაზე დაყრილი. გათავდა საუბარი და მოპირისპირებებს გაასუნდათ, რომ თამაში შეწყვეტილი აქვთ.

— მგონი თქვენი რიგია, — მიმართავს გიორგის დიმიტრი.

— არა, მგონი თქვენი — დაეჭვებულია გიორგი. შეპყურებენ ერთმანეთს და ვერ გაურკვევიათ ვისი რიგია.

— არა უშავს, გააგორეთ, — სთავაზობს გიორგი.

— არა, რატომ... მე? წესი უნდა დავიცვათ, — უარზეა დიმიტრი.

საქმის გამოსარკვევად ინიშნება არბიტრი. ბოლოს შეთანხმება ხდება და თამაში გრძელდება. დიმიტრი ფრთხილად გააგორებს კამათლებს, მერე თითო გააყოლებს ნარდის კარებს. ანგარიშობს რომელია ფანჯისა თუ შაშის კარი. გიორგი უფრო გაწაფულია, იმდენი ფიქრი არ სჭირდება, რამდენიც მოპირდაპირეს და კამათელსაც უფრო გაბედულად აგორებს.

— თქვენ, ზოზო, აზარტულად თამაშობთ, ძალიან აზარტულად, — ეუბნება დიმიტრი. — ძლიერი მოთამაშე ხართ! მაგრამ ენახათ ბოლოს ვინ დარჩება გამარჯვებული! — თითქოს ემუქრება და ისე თითით ითვლის, თუ რამდენ კარზე გადააადგილოს ნარდის კარი.

კლდელთვის სასიამოვნო და სიხარულის მომგვრე-

ლი იყო ჩემთვის როცა ვხედავდი ამ შესანიშნავ ადამიანებს. ორივე მიმზიდველი, საოცრად თავაზიანი, სულიერად სპეტაკი, მორალურად წმინდა და ფიქვი იყო. ერთიც და მეორეც ქართველი მეცნიერის და ქართველი კაცის კეთილშობილების, მისი საუკეთესო თვისებების გამოვლინება იყო.

ქართულ უნივერსიტეტს უფლება აქვს იამაყოს არა ერთი დიდი მეცნიერით, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ და, ჩვენთვის საბედნიეროდ დღესაც მოღვაწეობენ. ქართველი ახალგაზრდობა საიმედო აღმზრდელების ხელშია. ისინი ჩვენი ხალხის საამაყო შვილებს წარმოადგენენ.

ქართველი მეცნიერები ჩვენი ერის ისეთ მომავალს სჭედავენ, რომელიც ჩვენთვის სასიკეთო იქნება, მათ განამტკიცეს ჩვენი რწმენა, რომ ქართველი ხალხი მყარ საძირკველზე აშენებს თავის მომავალს. ამ მეცნიერთა შორის დღეს იქნებოდა და მათ მხარს დაუშვეწნებდა გიორგი ნანეიშვილიც, მისი სიტყვებზე, რომ ისე უდროოდ და უცაბედად არ შეწყვეტილიყო.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

ფ. გოკიელი

1921 წლის შემოდგომაზე შევიკრიბეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენს Alma mater-ში... ბობოქარი, მოსუვენარი დრო იყო. საქართველოში სულ რამდენიმე თვის წინ დაიყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო რუსეთში ის-ის იყო გადაიქცა სამოქალაქო ომმა; მისი ცალკეული გამოვლენები ჯერაც არ ჩამქრალიყო ამ დიდი ქვეყნის განაპირა კუთხეებში.

და აი, ჩვენი სასიკადალო, მაშინ სულ ნორჩი უნივერსიტეტის არსებობის მეოთხე წელს, სასიხარულო ამბავი დაგვიხვდა: რუსეთიდან თბილისის ოჯახით ჩამოსულა დიდი და ცნობილი ქართველი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელსაც დაეწოდა უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დამფუძნებელ-ჩამოყალიბებელად. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო სტუდენტობას. მრავალი აღმოჩნდა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლის მსურველი. მათ შორის მეც გახლდით...

სწავლების პირველ წელს ბ-ნი ლუარსაბი გვიკითხავდა სამართლის ზოგად თეორიას, მეორე წელს — სამოქალაქო სამართლის ზოგად კურსს, ხოლო კერძო სამოქალაქო სამართალს გვასწავლიდა მის მიერ მოწვეული ცნობილი ცივილისტი გრიგოლ რცხილაძე. სისხლის სამართალს, ზოგადასაც და კერძოსაც, კვლავ ბ-ნი ლუარსაბი გვიკითხავდა III და IV კურსებზე.

მოუთმენლად მოველოდით ჩვენს სახელმძღვანელო ლექტორთან პირველ შეხვედრას. მის შესახებ ბევრი რამ გვექონდა მოსმენილ-გაგონილი. და აი, პირველად დავინახეთ იგი კათედრაზე...


მე მგონია, არ ვცდები, თუ ვიტყვი, რომ ბ-ნი ლუარსაბი თავის წლოვანებაზე უფრო ხნოვანად გამოიყურებოდა. დაძაბულმა გონებრივმა შრომამ, ნაფიცი ვეჭილის მღელვარებით აღსავსე პროფესიამ, როცა დამცველის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული დასაცავი პირის ბედი და, ხშირად, თვით სიცოცხლე, — ყოველივე ამან თავისი კვალი დაამჩნია მის გარეგნობას. ბ-ნი ლუარსაბი დადიოდა ჯოხზე დაბჯენილი, — აქ ფეხის ქრონიკული დაავადებაც იჩენდა თავს, — მთლად გაჭაღარავებული იყო. მის გარეგნობაში, მეტადრე, დინჯსა და გამჭირახე, სულის სიღრმეში ჩახედულ მხერგში იყო რაღაც, რაც სოკრატეს ცნობილ გამოსახულებას მოგაგონებდა. იმთავითვე შევამჩნიეთ, რომ მას ახასიათებდა სწრაფი გადასვლა ერთი განწყობილებიდან მეორისაკენ: ხან

დარბაისლური კილოთი გვესაუბრებოდა, ხან კი გამხიარულდებოდა, ლაღად გონებაჩახვილობდა, იცინოდა...

ბ-ნი ლუარსაბის ლექციის კითხვის მანერა სრულიად ისეთი არ გამოდგა, როგორსაც მოველოდით. გაგონილი გვექონდა მისი ორატორული ნიჭის შესახებ და დარწმუნებული ვიყავით, რომ დაეტკებოდით საზეიმო მჭევრმეტყველების ყველა წესების მიხედვით აგებული ლექციებით. ამ მხრივ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ბ-ნი ლუარსაბი თავის ლექციებში არ მიმართავდა ანდა თითქმის არ მიმართავდა საზოგადოებრივ ანდა აკადემიური მჭევრმეტყველების ხერხებს. მისთვის მთავარი იყო შინაარსი, და არა ფორმა. ვფიქრობ, იგი შეგნებულად გაურბოდა სიტყვიერი ეფექტებით სტუდენტებზე შთაბეჭდილების მოხდენის საშუალებას.

ბ-ნი ლუარსაბის ლექცია მოგვაგონებდა, ერთგვარად, ხ მ ა მ ა ლ ა ა ზ რ ო ვ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ს მ ა ს არასდროს თან არ მოჰქონდა არამც თუ დაწერილი ლექციის ტექსტი ანდა კონსპექტი, არ მას სოფს, რომ მოეტანოს ფურცელი, თეზისების მოკლე ნუსხით. ყველაფერი ის, რაც უნდა ეთქვა და დაესაბუთებინა, მეხსიერებაში ჰქონდა. ამავე დროს, შესანიშნავად იყო მომზადებული ლექციისათვის: იგრძნობოდა, რომ ლექციას წინ უსწრებდა საჭირო მეცნიერული ლიტერატურის წაკითხვა, სათქმელის მოფიქრება-დასაბუთება, დაძაბული გონებრივი შრომა. სამწუხარო იყო ის, რომ ლექციის ჩაწერა სტუდენტის მიერ აგრეთვე ვერ ხერხდებოდა. ამ საქმეში საკმაოდ დახელოვნებული ვახლდით, მაგრამ მაღე დაყვარე ფარ-ხმალი.

ბ-ნი ლუარსაბი ლექციას იწყებდა დინჯად, ისე როგორც ადამიანი იწყებს ფიქრს რაიმე საგანზე, — ჯერ უდგება ამ საგანს შორით, მიახლოვებით. ათეული წლების მანძილზე რუსულად მეტყველებას მიჩვეულს, ალბათ, ქართულად საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების მოძებნაც უჭირდა. ამ პირველი 5-10 წუთის მანძილზე თითქმის სიტყვა-სიტყვით შეიძლებოდა ყველაფერს ჩაწერა. მაგრამ თანდათან, რაც უფრო მეტად უდგავდებოდა აზრი, მით უფრო სწრაფი ხდებოდა ლექციის ტემპი, ცხოველდებოდა რიტმი, თავისუფლად იფრქვეოდა სიტყვები. სიტყვებს აღარ ეძებდა, საჭირო სიტყვები თვითონ ჩნდებოდა... ჩვენც კალამი ხელიდან გვივარდებოდა და სმენად ვიქცევდით.



არც უკვარდა მაინცა და მაინც ბ-ნ ლუარსაბს, როცა ჩვენ, სტუდენტები გვწრდით ლექციას. მაშინ ძალუენებურად დასაწყისში კარნახის კილოთი გველაპარაკებოდა, მაგრამ ეს მას ბორკავდა და, მოჭარბებოდა თუ არა გამოსატყემლი აზრი, სასაუბრო მეტყველების ტემპზე გადადიოდა.

ძალიან საინტერესო და თავისებური იყო კომპოზიციურად ბ-ნ ლუარსაბის ლექციები: სალექციო საკითხას საერთო დახასიათების შემდეგ, — ვთქვათ, ეს იყო იურიდიული პირის პრობლემა ანდა სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხი, — რაკი სტუდენტები აითვისებდნენ ძირითადს, რაც კი უნდა სცოდნოდნენ ამ საკითხზე, ბ-ნი ლუარსაბი გადადიოდა ამა თუ იმ იურიდიული კატეგორიის ირგვლივ შექმნილ კონცეფციებისა და თეორიების დახასიათებაზე, მათ გარჩევა-შეფასებაზე და აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონოლოგს უკვე ცვლიდა დიალოგი, დიალოგი წარმოდგენილ მოწინააღმდეგესთან, იმ თეორიის დამცველთან, რომელსაც ბ-ნი ლუარსაბი არ ეთანხმებოდა, ეწინააღმდეგებოდა. ძალიან კეთილსინდისიერად მოჰყავდა ჩვენს ლექტორს ერთი-მეორის შემდგომ ყველა ის შესაძლებელი არგუმენტი, რაც კი ძალუდა წარმოედგინა ამა თუ იმ თეორიის მომხრეს, ვთქვათ, ვინმე ვინღამიდსა ანდა ბრინცს, — და ბრწყინვალედ არღვევდა ამ არგუმენტებს თავისი საკუთარი შესხედულებებიდან გამომდინარე მოსაზრებებით, ანდა გვიჩვენებდა, თუ რა გამოუვალ ლოგიკურ რკალში ეშვყვდებოდა ანდა შინაგან წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისთვის მიუღებელ შესხედულებათა ავტორი.

ეს დაცვა იყო, შეტოქება, შეპაექრება, მოწინააღმდეგის არგუმენტების გაბათილება და ამ გზით საკუთარი აზრისა და შესხედულების განმტკიცება-გამარჯვება. აქ იჩენდა თავს პრფესორული დამცველის უბადლო ნიჭი და ოსტატობა. აუდიტორიანი გაისმოდა: „ის გვეტყვის... „მაგრამ ჩვენ ვუპასუებთ!“ ... ჩვენი, მსმენელების გადავიძებული აზრიც კვალდაკვალ მისდევდა გაკაფულ ბილიკს. რაოდენ დიდი იყო ბ-ნ ლუარსაბის სისხარული, როცა ის საბოლოოდ კედელთან მიამწყვდევდა მის აზროვნებაში წარმოსახულ მოწინააღმდეგეს და წარმოთქვამდა: „აქ შესდექ!“ — ე. ი. გასაქანი აღარ გაქვს, უნდა აღიარო, რომ მტყუანი და მცდარი ხარო.

გასაგებია, რომ ასეთი ლექციებიდან გამომდინარე არა მარტო ახალმედებულ ცოდნით გამდიდრებულნი, არამედ გადვიძებულნი დამოუკიდებელი აზროვნებისათვის, და ეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავება, შესაძლოა, არა ნაკლებ ღირებული შენაძენი იყო. ჩვენივე, ვინემ ახლახან შეთვისებული ცოდნა.

მაღე სემინარული მუშაობაც გაჩაღდა ახლად ჩამოყალიბებულ იურიდიულ ფაკულტეტზე. დაგვირიგდა წასაკითხი მოხსენებების თემები, გამოიყო ოპონენტებიც. მაგრამ ასეთი ღონისძიების მიღება არც კი იყო საჭირო, რადგან იურიდიული სემინარის მთელი

შემადგენლობა აქტიურ მოწაწილებას იღებდა მოსხენების ირგვლივ გამართულ კამათში...

არანაკლებ საინტერესო იყო პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო და, შემდეგ, სისხლის სამართალში, მნიშვნელოვანი კაზუსების გარჩევა. ბ-ნი ლუარსაბი ძალიან ახალისებდა, აქეზებდა სტუდენტებს. თუ ცოცხალ რაიმე მარცვალს დაინახავდა მათ მსჯელობაში, — გადამეტებით შეაქებდა, მაგრამ თუ გათამამებას შეამჩნევდა, უცებ ადგილზე დააყენებდა. მასსოვს, ერთი სტუდენტის მიერ აზრის გამოთქმით ალტაცებულიმა შესახას სტუდენტს: „გენიოსი ხარ, შენმა გაზრდამ!“ —ო. ახალგაზრდის სისხარულს საზღვარი არ ქქონდა, წრფელად მოიწადინა განმტკიცებულიყო ამ ახალ ხარისხში! ხელახლა ჩაერია კამათში, მაგრამ ვაი რომ ამჟურად ბ-ნმა ლუარსაბმა არ მოიწონა მისი აზრი, სასტიკად შეუტია და უცებ ჩამოაყენა გენიოსობიდან ბევრად უფრო მდარე წოდებაზე...


უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მაშინ როდი იყო მდიდარი იურიდიული ლიტერატურით, ამიტომ ბ-ნი ლუარსაბი უხვად გვამარაგებდა წიგნებით მე და ჩემს ამხანაგებს, როგორც სტუდენტობის, ისე მსპირანტასისტენტობის დროს. მას არ უკვარდა თაროზე უქმად დადებული წიგნი, ამობობდა, — წიგნი მაშინ ცოცხლდებდა, როდესაც მას ვინმე კითხულობო. მდიდარი ბიბლიოთეკა ქქონდა, მისი პატარა ბინა სავესე იყო წიგნებით, აქ შეიძებოდა თქმულიყო: „წიგნებმა განდვენეს ადამიანებით“. ბ-ნ ლუარსაბის მეუდლეს, ქ-ნ ევატერინეს საღიასახლისოდ ერთობ მცირე ფართობი ურჩებოდა, რადგან კედლები, მაგილები, — ყველაფერი წიგნებით იყო გადატვირთული.

ჩვენ ხშირად ბოროტად ვიყენებდით ბ-ნ ლუარსაბის გულკეთილობას და ერთობ ბევრი წიგნი მიგვექონდა სახლში წასაკითხად. მასსოვს, როცა უკვე ასპირანტი ვიყავი, მშობლები ჩამოვიდნენ ერთხელ ქუთაისიდან და ბ-ნი ლუარსაბი გვეწვია სტუმრად ბინაზე. ჩემი წიგნების თაროს რომ გადახედა, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გაოცებით თქვა: „ამას დამიხედეთ! შენ მთელი ლუარსაბობა შექონია აქ მილაგებულიო“. შემრცხვა და წიგნების ნაწილი სულ მაღე დაუბრუნე.

სტუდენტებს ბ-ნი ლუარსაბი ეყარობოდა, როგორც თავის მომავალ კოლეგებს, — უბრალოდ, მეგობრულად, გულთიხად, მაგრამ ჩვენ მუდამ უღრმესი პატივისცემითა და მორიდებით ვექცეოდით, არასდროს არ გვაგვიწყდებოდა მანძილი ჩვენსა და ჩვენს სახელოვან ხელმძღვანელს შორის, თუმცა ყოველთვის ყურადღებით ვვისმენდა, მიგაჩვია პატივი გვეცა ერთმანეთის აზრისა და შესხედულებისათვის.

ბ-ნი ლუარსაბი ხშირად გვიბარებდა ბინაზე ამა თუ იმ მიმდინარე სამუშაოსთვის; ბუნებით ძალიან სტუმართმოყვარეს ხელს უწყობდა ოჯახში გამეფებული გულთიხადობისა და ჭეშმარიტი მეგობრობის ატმოსფეროც.

არ შეიძლება ღრმა პატივისცემითა და უგულოთაღესი გრძნობით არ გავისწნოთ ბ-ნ ლუარსაბის მე-



უღლე, ეკატერინე იაკობის ასული გურგენი-ანდრონიკაშვილისა. იგი, მოწინავე ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილი, მეტად წრფელი, გულდია და კეთილი ადამიანი, მშვენიერი მეუღლე და მეგობარი, დედა და აღმზრდელი იყო. ჩვენც, სტუდენტებს ძალიან გულთბილად და კარგად გვეპყრობოდა. თავიანთი წლოვანებისათვის ერთობ განვითარებული და ნაკითხი, სტუმართმოყვარე და მშვენიერი ქცევის ბავშვები იყვნენ იმ დროს საშუალო სკოლის მოსწავლენი, ბ-ნ ლუარსაბის ვაჟები ირაკლი და ელენოფერი.

სადამობოთ ბ-ნ ლუარსაბთან ხშირად იკრიბებოდა ნაცნობ-მეგობართა წრე. იმართებოდა მეტად საინტერესო საუბარი, მსჯელობა. აქ იყვნენ უნივერსიტეტის მუშაკები, კოლეგა-იურისტები, ვექილები, ცნობილი ქართველი მოღვაწეები, მოსკოველი სტუმრები. ბ-ნ ლუარსაბს უნდოდა, რომ ჩვენც, ახალგაზრდებიც დავწერებოდით ამ მეგობრულ შეხვედრებს, მოგვემინა ჩვენთვის მეტად საინტერესო სჯა-ბაასი. ერთხელ, მასსოვს, ბ-ნმა ლუარსაბმა მითხრა: ხვალ ჩვენსას გამოიარე, ვიქტორ შკლოვსკია ჩამოსული, სხვებიც მეწვევიანო. მე რომელიდაც წიგნზე მუშაობა მქონდა სასწრაფოდ დასამთავრებელი და გაუბედავად გაეახსენე ამის შესახებ. მიბასუსა, — „აი, აქაა შენი დიდი შეცდომა. შენ გგონია, რომ კულტურა — ეს წიგნის კითხვაა, ნამდვილად კი კულტურა, უმთავრესად, ცოცხალ ურთიერთობაა“—ო. რუსულად მითხრა: «Культура не только в чтении, но и в общении».

მაშინ ამ სიტყვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მერე კი დაერწმუნდი, რა მნიშვნელობა აქვს პიროვნების შინაგანი კულტურის ფორმირებისათვის ცოცხალ ურთიერთობას სულიერად დიდებულებთან და შინაარსიან ადამიანთა წრესთან.

ბ-ნი ლუარსაბი მტკიცე მეგობრული და ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან. მაგალითად, თუ არ ცდები, ალალი ბიძაშვილობა აერთებდა ივანე ჯავახიშვილთან, ილია ზურაბიშვილთან და სხვ. ახლო მეგობარი იყო კოტე მარჯანიშვილისა. დიდი თეატრალი ბ-ნი ლუარსაბი ყველა პრემიერას ესწრებოდა, თეატრალურ დისპუტებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას.


ჩვენ, მის მოწაფეებს, გვანცვიფრებდა ჩვენი მასწავლებლის მრავალმცოდნეობა და სულიერ ინტერესთა ასეთი სიფართოვე, მაგალითად, მუსიკის არაჩვეულებრივი ცოდნა და ურთულესი აღქმა-გაგების ნატიფი უნარი. მასსოვს, ერთხელ ბ-ნ ლუარსაბს ეწვია ქუთათური ექიმის ბადრიძის მეუღლე, რომელიც ენათესავებოდა. თან მიიყვანა თავისი ვაჟი, იმჟამად სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი დავით ბადრიძე, — თხოვა: „სიმღერა ესერსება. შეუმიწმე, — აქვს თუ არა ხმა და ღირს რომ ვოკალური განათლება მიიღოსო?“ ბ-ნი ლუარსაბი აღტაცებული დარჩა დავით ბადრიძის ხმით და გამოვიცხადა, — არაჩვეულებრივი სიტკბო, განუმეორებელი მომხიბვლელობაა მის ხმაში და ნახავთ, მისგან გამოჩენილი მომღერალი გა-

მოვაო... როგორც ვიცით, ბრწყინვალედ გამოიხატა ეს წინასწართქმა.

ჩვენ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს, თაყვანსაცემი პიროვნებად გვაყავდა დასახული ჩვენი სასიქადულო რექტორი, დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. მისი ლექციების მოსასმენად ყველა ფაკულტეტებიდან იკრიბებოდნენ სტუდენტები, ქალაქიდანაც ბევრი ესწრებოდა, ტყვა არ იყო პირველ აუდიტორიაში, ესლანდელი ბიბლიოთეკის მეცნიერ მუშაკთა დარბაზში... ხშირად ვუსიარებდით ბ-ნ ლუარსაბს ჩვენს აღფრთოვანებას ივანე ჯავახიშვილის სპექტაკი პიროვნებით, მისი მძალიე განსწავლულობით. მას ეს სიამოვნება, რადგან ბ-ნი ივანე ნათესავიც იყო და მეგობარიც ბ-ნ ლუარსაბისა. მასსოვს, ერთხელ სსარტად, სულ რამდენიმე სიტყვით, მაგრამ შესანიშნავად დაახასიათა ბ-ნმა ლუარსაბმა ივანე ჯავახიშვილი. მან თქვა: „თავისი სულიერი სიმშვილითა და კეთილშობილებით ძველ ბერძნულ ქანდაკებას მომაგონებს, ხოლო ეს ქანდაკება გააცოცხლა და გრძობით აღავსო სამშობლოს სიყვარულმა“—ო.

მეგობრულ საუბრების თემატიკა ბ-ნ ლუარსაბის ოჯახში მეტად მრავალფეროვანი იყო: იურიდიული მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგის სპეციალური საკითხები, საჭირობოროტო ამბები, სჯა-ბაასი ხელოვნებაზე და სხვ. ასეთი შთაბეჭდილება მივიღე, არ ვიცი, რამდენად სწორია, რომ ყველა მწერლებზე უფრო გოეთე უყვარდა. ერთ-ერთი პროცესის მოგების შემდეგ შედღერ კლიენტს უჩუქნია მისთვის მშვენიერად შესრულებული ტვიფარი გოეთეს ნიღბიდან. გოეთეს ეს ნაღბი საწერ მაგიდის ზევით, კედელზე ჰქონდა მიმაგრებული და აღტაცებით შესცქეროდა ხოლმე. როდესაც შეატყო, რომ თვით გოეთეს ნაწარმოებები წამიკითხავს, მაგრამ მის შესახებ — თითქმის არაფერი, მაშინვე ჩამოიღო თაროდან ბელმოსკის ორტომიანი გამოკლევა გოეთეზე და დამავალა წამკითხვა. შემდეგ მესაუბრა გოეთეს შესახებ, მეც მოვინდომე ჩემი ნაკითხობა გამომეჩინა და გაეისხენე, თუ როგორი მოწიწებით აღსაყუ ეუმორით მოგვითხრობს ჰაინრიხს ჰაინე თავის შეხვედრაზე გოეთესთან „სამგზავრო სურათებში“, ხაზგასმით აღნიშნავს გოეთეს შეუშფოთველობას, ხასიათის პარმონიულობას, ოლიმპიურ სიმშვიდეს. „ეს კი ასეთა, — მიბასუსა ბ-ნმა ლუარსაბმა, — მაგრამ ყველაზე ღირებული გოეთეში არის არა ეს პარმონიულობა პიროვნებისა, ეს ოლიმპიურობა თავისთავად, არამედ მისი მიღწევის გზა, ის რომ გოეთემ ღრმად ჩაისვდა ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულ წინააღმდეგობებში, ღრმად ჩასწვდა კაცობრიობის ტკივილებს და მაინც შესძლო სულიერი პარმონიის მიღწევა, გამოსძებნა ამ ტრაგიზმზე მაღლა მდგომი მორალურ-ჰუმანური პოზიცია! ეს განვლილი გზა, ეს ავლილი საფეხურები ხდებიან მას დიად მოაზროვნედ და გენიალურ მწერლად. გაისხენე, თუნდაც, ფაუსტით“.

ბ-ნი ლუარსაბი დაბეჯითებით აღვებდა თვალყურს ჩვენი, მისი მოწაფეების საერთო განვითარებას,



ხელოვნებისა და ლიტერატურის ცოდნას, ესთეტიკური გემოვნების დახვეწას.

მასხოვს, ერთხელ მიაქვია ჩემი ყურადღება კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე, ეს იყო ალბრეხტ დიურერის ცნობილი სურათის „ახალგაზრდა კაცის პორტრეტის“ მშვენივრად შესრულებული ასლი. მკითხა, — აბა, მითხარი, რას გამოხატავს ესაო? — მე ბევრი ვერაფერი ვუპასუხე... მაშინ გაამახვილა ყურადღება სურათის კომპოზიციასა და ფერების შერჩევასზე, ახალგაზრდა კაცის სახის გამოუმეტყველებასზე, მის მზერანზე, რომელიც სურათის გარეთ მდებარე რაღაცა წერტილისკენ იყო მიმართული, თითქოს იქ ეგულვებოდა ამ ყმაწვილკაცს მისი მომავალი ცხოვრების გამოცანის ამოხსნა და ოცნების ხორცშესხმის საიდუმლოება...

ეს იმის ცოცხალი გაკვეთილი იყო, თუ როგორ უნდა აღვიქვათ პლასტიკური ხელოვნების შედეგები...

ანდა, მასხოვს, ლაპარაკი ჩამოვარდა გრიგოლ წერეთლის ლექციებზე ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. ეს ლექციები დიდი მოწონებით სარგებლობდა სტუდენტთა ფართო წრეებში. ბ-ნი ლუარსაბიძე მოხიბბული იყო გრიგოლ წერეთლის შინაგანი არისტოკრატიზმით აღსავსე და თანაც ბავშვურად გულმართალი, კეთილშობილური ბუნებით, მისი დიდი მეცნიერული ღვაწლით. სიამოვნებით იგონებდა, თუ რაოდენი ბრწყინვალეობით დაიცვა სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებელი დისერტაციები გრიგოლ ფილიძის ძემ პეტერბურგში... მერე მკითხა, თუ რა მქონდა წაკითხული ძველ ბერძენ მწერალთაგან... მხოლოდ სოფოკლე მქონდა წაკითხული. განცვიფრდა, — ნუთუ ევრიპიდეს არ იცნობ, ახლავე წაკითხე მისი „იპოლიტე“ და ზელინსკის შესავალი წერილიცო... მაშინვე გამოვიტანე ბიბლიოთეკიდან და წავიკითხე, მოვასხენე, რომ უკვე წაკითხული მაქვს. მკითხა, — რომელი ადგილი უფრო მოგეწონა ამ ტრაგედიაში? — ვუთხარი: ტრაგედიის ფინალი, როცა აშკარა ხდება იპოლიტეს უდანაშაულობა და სიმართლე, ხოლო ის კედება მწარედ მონანიებულ მამის, მეფე თევზეის გულთან მიყრდნობილი. — „მართლაც ეგ შესანიშნავი ადგილიაო, — მითხრა, — მაგრამ იქ ერთი მეტად საგულისხმო რეპლიკაა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, არ მივიტყვევია ყურადღება... მომაკვდავი იპოლიტე ეუბნება მამას: „პეპლოსით დამიფარე სახე“-ო, — ესაა მისი უკანასკნელი სიტყვები. პეპლოსი ხიტონს ზევით მოსხმული მოკლე მისასხამი იყო... ამით იპოლიტემ გაავებინა მამას, — ვვადებთო. — მას, როგორც სილამაზის მოყვარულ, ჭეშმარიტ ბერძენს არ უნდოდა, რომ თევზეს დაენახა, თუ როგორ გაუქვავებდა სიკვდილი სახის ნაკვეთს, მიტომ თხოვა, — პეპლოსით დამიფარე სახეო. აქ ევრიპიდეს გენიამ სულ ერთი რეპლიკით გვაძნეო, თუ რაოდენ უყვარდა და ებრალებოდა იპოლიტეს უნებლიე შეცდომისათვის მწარედ დასჯილი თავისი მამა, როგორი ჭუმარნი და გატყავური

ბუნების ადამიანი იყო იგი, თანაც ნამდვილი ბერძენი, სილამაზის მოტრფიალე სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ამავე დროს, თუ ევრიპიდემ ერთგვარად დაარღვია მსატრეული ტრადიცია, რომლის თანახმად ადამიანი უნდა მომკვდარიყო სცენის უკან, და არა სცენაზე, მან მაინც შეარბილა ნოვატროზა იმით, რომ მომაკვდავი იპოლიტეს სახე პეპლოსით დაფარა...

ბ-ნი ლუარსაბის ლიტერატურულ-მსატრეულ შეხედულებათა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ და მოკლედ მოგასხენებთ მასთან ჩემი საასპირანტო მუშაობის ამბავს.

მე ძალიან მაინტერესებდა სამართლის ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის საკითხები, მაგრამ ასეთი სპეციალური კათედრა არც ფილოსოფიურ და არც იურიდიულ ფაკულტეტებთან არ არსებობდა. ამიტომ დამტოვეს უნივერსიტეტთან სამოქალაქო სამართლის კათედრაზე... იურიდიული ფაკულტეტის პირველი ასპირანტი გახლდითი პატივცემულ სოსო მრგულიშვილთან ერთად, ხოლო ჩვენზე უმცროსკურსელები თინათნა წერეთელი, დიმიტრი პოლუმორდვიანი და ვლადიმერ მაცაშვილი, რამდენადაც ვიცე, პირდაპირ ასისტენტებად ჩაირიცხნენ.

უნდა ითქვას, რომ იმ წლებში საუნივერსიტეტო მუშაობის ყველა მხარე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, კერძოდ, არავითარი მყარი და დადგენილი გეგმები ასპირანტებთან მუშაობისა არ არსებობდა. ყოველი ხელმძღვანელი ამზადებდა ასპირანტს ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად თვლიდა, ოღონდ სამი წლის დამლევს ასპირანტს უნდა ჩაებარებინა ე. წ. „სადოქტორო გამოცდები“ (ესლანდელი საკანდიდატო მინიმუმი) და წარედგინა დისერტაცია, მანამდე მისგან არაფერი მოითხოვებოდა.

ბ-ნი ლუარსაბს სურდა, რომ სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ზედმიწევნით შემეთვისებინა, ამიტომ დისერტაციაზე მუშაობის საკითხი ჯერ განზე გადასდებოდა, დამავალი შემესწავლა ლათინური ენა, რათა წამეკითხა ლათინურად მთელი ძველი რომაული სამართალი და შემდეგ გავცნობოდი ოცამდე პანდექტისტის მრავალტომიან თხზულებებს.

ენთუზიაზმით შევეუდექე საქმეს. ლათინური ცოტათი ვიცოდი, გავიდრემავე ცოდნა და ჩაუუჯექი „Corpus juris civilis“-ის ოთხივე უზარმაზარი ტომის კითხვას, სამოქალაქო სამართლის ზოგადი საწყისებისათვის დამახასიათებელი ადგილების შერჩევა-ამოწერას. მაღე დახვედროდი და ნათლად ვარჩევდი ურთიერთისგან რომელიმე პაულუსისა ანდა ულპიანუსის ენასა და სტილს, ორიდულ ფორმულირებათა თავისებურებას და აზრთა თანმიმდევრობის გარჩევა-განსხვავებას.

ახლა პანდექტისტებზე გადავიდი. აქ გერმანული ენის სრულყოფა დამჭირდა, რათა „Allgemeine Recht“-ის ოსტატთა ამ თხზულება-შრომებს გავ-



ცნობიდი, რუსულად სულ რამდენიმე მათგანი იყო თარგმნილი... ასპირანტურის მესამე წელს გამოირკვა, რომ ე. წ. სადოქტორო გამოცდები, რომლებსაც ისიც სტუდენტად, არსებითად, ეს სამზადისი, მისხნილია, გაუქმებულია და ასპირანტს მხოლოდ დისერტაციის დაცვა მოეთხოვებოდა.

ახლა სასწრაფოდ შემიჩინა ბ-ნმა ლუარსაბმა სადისერტაციო თემა. ეს იყო „ბრუნვიდან ამოღებული საგნები“, ე. წ. Res extra commercium, მათი იურიდიული ბუნება. ასეთია ვთქვათ, ზღვები, მდინარეები, წყაროები, გზები და სხვ., რომლებიც მონათმფლობელურ რომაულ საზოგადოებაშიც კი არ შეიძლება საკუთრებისა და ყიდვა-გაყიდვის საგანი ყოფილიყო. უნდა გამოიყვლია სამართლის ამ ობიექტების იურიდიული ბუნება ძველ რომაულ სამართალში, შემდეგ ფეოდალურ საზოგადოებაში, Allgemeines Recht-ისა, შუასაუკუნეებრივ საადათო წესებისა და ეროვნულ კანონმდებლობათა მიხედვით; შემდეგ ცხადმყოფი მათი არსი ახალი დროის კაპიტალისტურსა და ბოლოს, უახლეს სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ბრუნვიდან ამოღებული საგნების მოცულობა უმაგალითოდ გაფართოვდა, შეუდარებლად გაიზარდა საყოველთაო სახალხო საკუთრებაში მყოფ საგნების სფერო...

შეგუდევი საქმეს... მოვათავი ბრუნვიდან ამოღებული საგნების იურიდიული ბუნების გარჩევა რომაული სამართლის მიხედვით, — ეს შედარებით გამბადვილდა, რადგან რომაულ სამართალს საკმაოდ ვიცნობდი. გადავედი ფეოდალურ ხანაზე; აქ სამუშაო გაძვირდა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში, საუკუნეთა მანძილზე კანონმდებლობის ერთგვარმა სიჭრელემ, დაქსაქსულობამ იჩინა თავი. მაგრამ, როგორც შემძღო, ვიწომე და, შეიძლება ითქვას, რომ სანახევროდ სადისერტაციო შრომა უკვე დაწერილი იყო მესამე წლის მაისისათვის. მაგრამ აქვე ცხადი გახდა, რომ უახლოეს 3-4 თვეში, ე. ი. ასპირანტურის ვადის დამთავრებამდე სამუშაოს დასრულება ვერ მოესწრებოდა, კიდევ დამატებით რამდენიმე ხანი დასჭირდებოდა. ბ-ნ ლუარსაბს ეს არ აწინებდა. ამბობდა: ძალიან გჭირდება ასისტენტები, შემოადგომას ასისტენტად გადავარცხავი, სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის ჩატარებაშიც დამეხმარებით და სადისერტაციო შრომასაც მოასრულებთო.

მაგრამ ყველა ამ გვემებს არ ეწერა განხორციელება, იმ დროს იურიდიულ ფაკულტეტზე შექმნილ არაჯანსაღ ურთიერთობათა გამო.

ფაკულტეტის დეკანს ერჭომიწვილს, რომელმაც მიიხზრო სტუდენტთა ერთი ჯგუფი, ათვალწუნებული ჰყავდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მან ისარგებლა იმ ფაქტით, რომ ბ-მა ლუარსაბმა არ მოინდომა, რათა მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, სტუდენტები გამცდარიყვნენ და დავავალა თავის ასპირანტებს ჩავვეტარებინა მეორე კურსზე სტუდენტებისათვის რამდენიმე მოხსენება და პრაქტიკები...

იმ საბაბით, რომ ჩემს მიერ ჩატარებული სამუშაოთი თქვს თვითნებურად ლექციის წაკითხვა იყო, ფაკულტეტის დეკანმა ერჭომიწვილმა გამრიცხა უნივერსიტეტიდან...

ამ ფაქტის შესახებ მითხრობდა მოგასხენებთ, რომ პატივცემულმა პროფესორმა თინათინ წერეთელმა ბ-ნ ლუარსაბის არქივში აღმოაჩინა ის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც ამ ამბით ფრიად შეწუხებულმა ჩემმა სელმძღვანელმა უნივერსიტეტს გაუგზავნა. ეს დოკუმენტი მკაფიოდ გვისახავს ამ დღებუნებოვანი ადამიანის მაღალ ზნეობრივ სახეს, მის დაუღალავ ზრუნვას სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ძალების ზრდისა და ცოდნის სრულყოფის გზების გამონახვაზე მისთვის საყვარელ, მშობლიურ უნივერსიტეტიში...

ამავე დროს ეს ვრცელი, 14-გვერდიანი ახსნა-განმარტებითი ბარათი ბატონ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უდრევი ლოგიკისა და ბრწყინვალე იურიდიული არგუმენტაციის შესანიშნავი ნიმუშია.

მისი შინაარსი, მოკლედ, შემდეგია:

1. ბატონი ლუარსაბი ამტკიცებდა, რომ საკითხი ჩემი უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ დაცვა ფაკულტეტის სხდომაზე წინასწარ გაუფრთხილებლად, დღის წესრიგში შეუტანლად.
2. იგი გადაწყდა დადებითად მხოლოდ ფაკულტეტის დეკანისა და დამსწრე წევრ-სტუდენტების ხმებით, რადგან საბჭოს სხდომაზე მყოფი ყველა პროფესორ-მასწავლებელი ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდა.
3. ბ-ნი ლუარსაბი მიუთითებდა, რომ ის არც კი გამოიძახეს სხდომაზე, არც არაფერი შეატყობინეს, არც ის ჩათვალეს საჭიროდ, რომ გადაედოთ საქმე მის გამოჯანსაღებამდე.
4. მოხსენებით ბარათში მოკლედ აღწერილი იყო, რაც მოხდა, და მითითებული, რომ არავითარი „დინამიკა“ არ მოხდარა. ასპირანტებმა ჩატარეს სელმძღვანელის მითითებით პრაქტიკუმი, წაიკითხეს მოხსენებები, გაარჩიეს კაზუსები. ახსნა-განმარტებამი ეწერა:

«Странно подумать, что если бы я заболел тяжелой болезнью, представил бы факультету свидетельство, оставил бы на произвол судьбы студентов 2-го курса на все время болезни, то и я, и оставленная при университете матьма Гокиели жила бы так же, как и она не была бы поставлена в столь трагическое положение. Но оттого, что совесть педагога мучила меня, оттого, что аспирантка, желая притти мне и студентам на помощь, прервала свой обычный труд, выполнила данную ей задачу, словом оттого, что она была так бескорыстна, — за это она должна потерпеть высшую меру дисциплинарного наказания и раз

навсегда оторваться от жизни университета».

5. ასხნა-განმარტებაში საზგასმით აღნიშნული იყო ცოცხალი ახალგაზრდა მეცნიერული ძალების გამოყენების მიზანშეწონილობა უნივერსიტეტის სასკოლო პროცესში; ასპირანტებისა და ასისტენტების რაოდენობის გაზრდის საჭიროება, მით უფრო რომ სტუდენტები მხოლოდ ზოგნი ფლობენ რუსულსა და ძალიან იშვიათად თუ ფლობენ უცხო ენებს, ხოლო ქართულად იურიდიული მეცნიერული ლიტერატურა მაშინ თითქმის არ არსებობდა, და ამიტომ სტუდენტების ნაკითხობა სპეციალურ საგნებში მინიმალური იყო.

6. ბ-ნი ლუარსაბი ამტკიცებდა, რომ ასპირანტების დახმარება აუდიტორიასთან, მათი ჩაბმა საყოველღეო მუშაობაში ყოველთვის ნაყოფიერია და კარგ შედეგებს იძლევა; მიუთითებდა, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობდა და დღესაც არსებობს ლენინგრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. ეს სასარგებლო ტრადიცია თბილისის უნივერსიტეტშიც უნდა გადმოვიტანოთ.

7. ასხნა-განმარტებაში დასაბუთებული იყო ისიც, რომ მე, ასპირანტმა მხოლოდ მოხსენება წაგიკითხე სემინარზე და არა ლექცია. თვით მას, ძირითად ლექტორს არასდროს არ განუცხადებია უარი მთელი კურსის ან მისი რომელიმე ნაწილის წაკითხვაზე. მხოლოდ ზოგი საკითხის ღრმად შესწავლის პედაგოგიური მიზნით მან გამოიყენა თავისი ასპირანტების ცოდნა.

8. მაგრამ თუ ეს მაინც დანაშაულია, — ამტკიცებდა ბ-ნი ლუარსაბი, — ეს თვით მისი, კათედრის გამგის და ხელმძღვანელის დანაშაულია, და არა ასპირანტისა. ის წერდა:

«Но допустим на минуту, что было нарушено правило и я должен был просить разрешения на прочтение доклада у декана. Спрашивается, при чем тут аспирантка Фатима Гокиели? Ведь если виновен кто либо, то это только я.

Это я предложил прочитать доклад. Я являюсь руководителем, определяю задания, которые она выполняет.

Моя аспирантка считает меня своим наставником, руководителем, авторитетом.

Если, поверив мне, она подчинилась, разве, этому можно удивляться?! Скорее наоборот, а именно неподчинение должно было казаться странным и непонятным...»

მთელ „ბრალს“, თუკი ასეთი არსებობდა ჩემი ხელმძღვანელი თავის თავზე იღებდა. ბოლოს იგი დასკვნითა:

დამნაშავეც რომ იყოს ჩემი ასპირანტი, არსებობს დისციპლინარული სასჯელის სხვადასხვა ზომები.

განა მართებული და სამართლიანია, უმცირესი დანაშაულისთვის, თუკი იგი სახეზეა, სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება, როგორცაა წევრის განდევნა კორპორაციისაგან? აქ ხომ ვითომდა ჩადენილი დანაშაული და სასჯელი შეუწყენარებელ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან!

ბ-ნი ლუარსაბის დაუღალავი შუამდგომლობის შედეგად გააუქმეს დადგენილება ჩემი უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ, კვლავ აღმადგინეს, მაგრამ მოკლე დროით, სულ 2-3 თვით.

დადგა 1927 წლის შემოდგომა, ჩემი ასპირანტურის დამთავრებისა და ასისტენტად გადაყვანის ვადა, მაგრამ ამ დროს უნივერსიტეტში სულ სხვაგვარი, ახალი ამბები დატრიალდა, სახელდობრ, დაიწყო ბრძოლა მეცნიერთა უფროს თაობასთან (კონდრატევიჩინა?). ასეთი კომპანია ჯერ რუსეთის, უმათერსად, მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო, ხოლო აქედან ფართოდ გავრცელდა. პრესაში და საჯარო კრებებზე ახელდნენ და კიცხავდნენ რეაქციულ მოაზროვნებად, თითქმის კონტრრევოლუციონერებად აღიარებულ პროფესორ-მასწავლებლებს, რასაც თან სდევდა მათი დათხოვნა უმაღლეს სასწავლებლიდან და ზოგჯერ უფრო მკაცრი ზომებიც. ეს მხილება და გაკიცხვა უნდა ეწარმოებინათ ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებს, — ასპირანტ-ასისტენტებსა და მოწინავე სტუდენტებს.


ვერ მოვახსენებთ, შესაძლოა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მართლაც იყვნენ მოკალათებული ძველი დროიდან შემორჩენილი, რეაქციულად განწყობილი მეცნიერ-მასწავლებლები და საჭირო იყო მათი გამძევება. მაგრამ საქართველოს ნორჩ, ახლად აღმოცენებულ უნივერსიტეტში ასეთები არ იყვნენ და ამ დონისძიების გადმოტანა ჩვენთან, თუნდაც შერბილებული სახით, ერთობ საკვალაო მოვლენა იყო.

ეს თუ გეგმათ იმიოთა მტკიცდება, რომ იერიში მიიტანეს ისეთ მეცნიერებზე, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გეტმანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვ., რომლებიც ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულნი არიან ქართული მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს ამაგდარებლად და რომელთა ღვაწლის ნაყოფით ახლაც ძალიან ფართოდ ვსარგებლობთ.

წარმოსადგენია იმ ასპირანტებისა, ასისტენტების და მოწინავე სტუდენტების შესაბრალისი მდგომარეობა, რომელთაც დავევალათ პრესაში ან საჯარო კრებებზე გაეკრიდათ და რეაქციონერებად დაესახათ მათი მასწავლებლები.

ჰო და ერთ დღეს თავის კაბინეტში მომიხმო უნივერსიტეტის მაშინდელმა პრორექტორმა კონსტანტინე სულაქველიძემ... ჩვენს შორის გაიმართა, დაახლოებით, ასეთი დიალოგი:

თქვენ ხართ ასპირანტი ფატი გოკიელი?
 — დიას.



— ექიმი გაბო გოციელი რაა თქვენი?
 — ჩემი მამაა.
 — ჰო, მამათქვენს ვიცნობ და დიდად პატივს ვცემ.

ჩემი მამა საკმაოდ ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. ხოლო ამ შენიშვნით ბ-ნ კონსტანტინეს უნდოდა შეექმნა ჩემში შთაბეჭდილება, რომ მას ჩემდამი მხოლოდ კეთილგანწყობილება ამოძრავებს. ვგებ ეს ასეც იყო...

— ერთი მითხარით, თქვენ სამართლის მეცნიერების ყველა საკითხებში ეთანხმებით ლუარსაბ ანდრონიკაშვილს?

— აბა, მე რას წარმოვადგენ მეცნიერებაში, რომ დავეთანხმო ან არ დავეთანხმო ასეთ დიდ მცოდნეს?

— კი მაგრამ, ყველაფერში ხომ არ ეთანხმებით, პატარა რამეში მაინც გექნებათ თქვენი საკუთარი მოსაზრებები მის შესედულებათა წინააღმდეგ. ჰო და ზეგ კრებაა, მოიფიქრეთ და გამოდით კრებაზე. თქვენგან არ მოითხოვება უკმეხად გამოსვლა, ცილისწამება, ოღონდ დალაგებით აღნიშნეთ მისი შეცდომები.

— არა, მე ამას არ გავაკეთებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ საკუთარ თავისადმი პატივისცემას დავკარგავ, ეს კი ყველაზე საშიშელია, რაც კი შეიძლება დაემართოს ადამიანს.

— ჰო და თუ არ გამოხვალთ კრებაზე, უნივერსიტეტს დაკარგავთ, მომავალს დაკარგავთ... გამიფრთხილებიხართ...

ამ სიტყვებით გამოიშვა..

რა თქმა უნდა, კრებას ახლოს არ მივკარებოვარ... გავიდა სულ რამდენიმე დღე და მივიღე ოფიციალური ცნობა: რადგან ჩემი ასპირანტურის ვადა დამთავრდა და გადაწყდა ჩემი ასისტენტად გადაყვანის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს, მეცნობოს, რომ თავისუფალი ვარ უნივერსიტეტში მუშაობიდან...

უნივერსიტეტის დატოვების შემდეგ თანდათან ჩამოვცილდი ბ-ნ ლუარსაბის ირგვლივ თავმოყრილ ახალგაზრდა მეცნიერული ძალების წრეს. სულიერი ტრავმა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც პრაქტიკოსიურისტიკის პროფესიის ათვისება მოვიხილმე და დავეწყე მუშაობა სხვა განხრით.

მაგრამ ის ცოდნა, ინტელექტუალური მუშაობის ჩვევები და ხერხები, ინტერესი მეცნიერებისა და სელოვნების მრავალი საკითხისადმი, რომლებიც შევიძინე და შევითვისე ჩემი მასწავლებლის პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, — ყოველივე ეს დიდ დახმარებას მიწვედა მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

მშობლიურ უნივერსიტეტში მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა აღზარდა ჩვენი დროის გამორჩეულ მეცნიერთა და პრაქტიკოსიურისტთა მთელი თაობები. თავისი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მაღლიერი ქართველი ხალხის გულში.

საბჭოთაო

მ ო თ ხ რ ო ბ ა *

პოლკოვნიკმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ლაბორატორიის გამგე გამოიძახა.

მალე კაბინეტში 23-25 წლის გამხდარი ქე-რათმიანი ახალგაზრდა შემოვიდა.

— ოთარ, მიმართა პოლკოვნიკმა შემოსულს და ფული გაუწოდა, — ეს ხუთმანეთიანი ქიმიურად დაამუშავე, ფოტოსლიც გადაიღე და ერთ საათში შედეგი მომხსენე.

— გასაგებია ამხანაგო პოლკოვნიკო—ახალგაზრდამ ბანკნოტი გამოართვა და კაბინეტიდან გავიდა.

ბალანჩივაძემ კანტურის მიერ მაგიდაზე დაწყობილი საბუთები გადაათვალიერა, შემდეგ ზარის ღილაკს დააჭირა თითო.

— გადაეციტ მორიგეს ჩემთან ამოიყვანოს სამორიგეთში მყოფი ხოტოველი, — თავულებლივ უბრძანა მან შემოსულ სერჟანტს.

ხუთიოდე წუთის შემდეგ განყოფილების პასუხისმგებელი მორიგე კაბინეტში მაღალი ტანის წითურ მამაკაცს შემოუძღვა.

— დაჯექით—მიმართა შემოსულს პოლკოვნიკმა, როგორც კი მორიგემ კარები გახსნა.

ხოტოველი კაბინეტში ამდენ ხალხს არ ელოდა. ოდნავ აირია და უხერხულად ცალი გვერდით ჩამოჯდა სკამზე. შემდეგ ყველანი შეათვალიერა, მზერა კანტურიანზე შეაჩერა, უეცრად წამოხტა და იყვირა:

— უფროსო, მიშველე რამე, რა უნდათ, რას მერჩიან. ეს ჩემი შარის მომღები ძლივს მოვაყვანიე აქამდე მილიციონერს, წამოსვლა არ უნდოდა, მაგრამ მეც არ მოვეშვი, ხოდა ახლა თქვენ იცოდეთ და კანონსამართალმა. ერთი გააგებინეთ რაც საჭიროა, რა სულ დაეკარგოს შარის მადა. ვაგონილა? ხურდა არ დაუბრუნეო... დააკელიო... ახლა ჩემი ბრალი ხომ არ არის მაგან მტყუანისა და მართლის გარჩევა არ იცოდეს და შარზე დადიოდას, მე ხომ...

— მოიცათ მოქალაქე — შეაწყვეტინა სიტყვა ბალანჩივაძემ აქაქანებულ ხოტოველს, — დაჯექით და დამშვიდდით, ყველაფერს გავარკვევთ, თუ უდანაშაულო ხართ გავიგებთ კიდევ, საჭიროა გავარკვიოთ რაშია საქმე, ასე რომ ყვირით ხომ არ გავიწყდებათ სადა ხართ?

— არა უფროსო, არ მაგიწყდება, მაგრამ გამწარებული ვარ, ახლა რომ თქვენ არ იყოთ, ვინ იცის, კამერაში რამდენ ხანს ვიქნებოდი. მე რომ ერთი დღეც ჩამსვან ცოცხალი ვერ გადავრჩები, ავადმყოფი კაცი ვარ, გული მტკივა, გვერდები არ მივარგა, ღვიძლი გასიებული მაქ, ფეხზე ძლივს ვდგავარ, რევმატიზმები მჭირს, აქაქანდა ხოტოველი.

— დაჯექი მეტქი, — სიმკაცრე დაეტყო პოლკოვნიკის ხმას, — აქ საქმიო კომისია როდია ამდენი დაავადება რომ ჩამოთვალეთ. თუ ავად ხართ ექიმს მიმართეთ აქ კი სულ სხვა რამეზე ხართ მოყვანილი და უზარო ყვირილი საჭირო არ არის.

ხოტოველი გაჩუმდა, მაგრამ სკამზე არ დაჯდა.

— დაჯექით, აკი ამბობთ ავად ვარო, ფეხზე დგომა გვენებთ, არც ნერვიულობა მოგიხდებათ, ახლავე გავარკვევთ საკითხს, — დასძინა მინდელმა.

ხოტოველი დაჯდა.

— აბა რაშია საქმე, რატომ დააკავეთ ეს მოქალაქე?

— დღეს ვიღაც მოქალაქემ მაღაზიაში ამ კაცისაგან არაყი და ძეხვი იყიდა, წონაშიც დააკლო და ფასიც ზედმეტი გადახდევინა, მე იქ ვიყავი და ჩემი თვალთ ვუყურე ყოველივეს, განმარტა „მასწავლებელმა“.

— ტყუის, წამოვარდა ისევ ხოტოველი—არავისთვის არ დამიკლია არც წონაში და არც სხვა რამეში, რაც ერგებოდა მივეცი, შარს მღებს.

— ვინ არის დაზარალებული? — შეეკითხა კანტურის ხომერკი.

— ხო ვინ არის! აბა ერთი მოიყვანე, რომ ამ პატიოსან ხალხში თქვას თუ რამე დავაკელი! — ისევ აყვირდა ხოტოველი — სად არის, რატომ არ მოიყვანე უფროსთან!

— დაწყნარდით, შეუტია ბალანჩივაძემ ხოტოველს და შემდეგ კანტურისას მიუბრუნდა.


— დაზარალებული რა გვარია?

— არ ვიცი ამხანაგო პოლკოვნიკო.

— როგორ, არ იცით, — გაუეკირდა პოლკოვნიკს, ესე იგი გვარი არ იცით?

— არა ამხანაგო პოლკოვნიკო, არც გვარი.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. უფროსი „საბჭოთა სამართალი“ 1966. № 3, № 4, № 5.



ვიცი, არც მისამართი. არ მეგონა თუ საჭირო იყო. მე ის არც კი შემიჩერებია მაღაზიაში, ხოტოველი კი უარს ვერ იტყვის, რომ ფასშიც დააკლო და წონაშიც.

— ეგრე როგორ შეიძლება ამხანაგო, დაზარალებული არ შეგიჩერებიათ, არ გიკითხავთ რამდენი მიიღო ხურდა, ძეხვი არ გადაგიწონიათ, აბა რაღაზე ადგენდით აქტს? მკაცრად მიმართა ბალანჩივაძემ ჭანტურიას.

— მე არ მეგონა თუ ეს საჭირო იყო.

— როგორ თუ არ გეგონათ, თქვენ სად მუშაობთ ან აქტის შედგენის უფლება ვინ მოგცათ?

— მასწავლებლად ვმუშაობ, თან საზოგადოებრივი კონტროლიორი ვარ, უბასუხა ჭანტურიაში.

— დიდი ხანია?

— არა, სულ 10 დღეა. დღეს ამ ამბავს შემთხვევით წააწყდი. არ მეგონა თუ მყიდველი საჭირო იყო თორემ წამოვიყვანდი—ხოტოველი კი ტყუის, განა ფული ჯიბეში არ აღმოაჩნდა?

— ჩემ ფულთან შენ რა ხელი გაქვს, შენთვის ხო არ მომიბარავს. მე ჯიბეში 30 მანეთამდე მქონდა, მორიგემ თითონ დათვალა, აბა ყველა იმ ქალს გადავახდევინე?

ისევე აყვირდა ხოტოველი.

— ყველა არა, ხუთი მანეთი კი ნამდვილად და ის ფული ცალკე გქონდა ჯიბეში—წაუღდა პირში ჭანტურია.

— ეგ არაფერს არ ნიშნავს, ცალკე ქონდა თუ სხვა ფულთან ერთად, ასეთი რამ მეორედ არ მოგივიდეთ — შეესიტყვა ჭანტურიას გამოძიებელი.

— ასეთი მონაცემებით ჩვენ ხალხს არ ვაპატიმრებთ ამხანაგო, რას ვავს ეს, არც დაზარალებული, არც მოწმე. რა უფლება გქონდათ ასე მოქცეულიყავით — უსაყვედურა პოლკოვნიკმა ჭანტურიას.

— ამჯერად თქვენ თავისუფალი ხართ, მაგრამ ფრთხილად იყავით, პატიოსნად იმუშავეთ, თორემ აქტის სწორად შემდგენივ გამოჩნდებიან და მაშინ ყვირილი და ლოცვა არ გიშველით, წადით ფულსა და საბუთებს მორიგე გადმოგცემთ.

— შეიძლება უფროსო წავიდე? იკითხა ხოტოველმა.

— წადით, მორიგეს ახლავე მიგცემ განკარგულებას დაგიბრუნოთ ფული და საბუთები.

— დიდი მადლობელი ვარ უფროსო — აქაქანდა ხოტოველი, შენ რომ არ ყოფილიყავი ტყუილა მღუბავდა, მაგას დაუდგა შავი წელიწადი—მიაწყველა ჭანტურიას და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

— ლოცვაც ბევრი დაგეიტოვა და წყევლაც, გაიციან ბალანჩივაძემ.

— აგრეთვე სამუცნობიანი ამოცანები და მატა მინდელმა.

ყველას გაეცინა.

— ამოცანის ამოხსნაში ხოტოველი დაგვეხმარება, მაგრამ თუ ფულზე სხვა რამ არ აღმოჩნდა გასაღები წარწერაში უნდა ვეძებოთ. მიაქციეთ ყურადღება? ხოტოველმა ერთხელაც არ ახსენა დევიძე ან მისი გამოგზავნი ვახტანგი. სხვა შემთხვევაში გამყიდველი თვითონვე დაასახელებდა ნაცნობ მყიდველს, მოითხოვდა მის მოყვანას, დაკითხვას და სწრაფად დაუმტკიცებდა „მასწავლებელ“ ჭანტურიას, რომ მას ფასები არ დაუმახინჯებია და არც წონაში მოუტყუებია მომხმარებელი.

— სწორია — კვერი დაუკრა მინდელმა. ხოტოველმა არა თუ დასახელა დევიძე, ისიც კი არ თქვა, რომ იგი ნაცნობისაგან იყო გამოგზავნილი. ყოველივე ამას დაფიქრება და ანალიზი ჭირდება.

კაბინეტში მელოტი მაიორი შემოვიდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენნი დავალები შესრულებულია, გიორგიძე აღუქსანდრე პავლეს ძე თოხჯერ არია გასამართლებული კვალიფიკური ქურდობისათვის, ხუთი წლის წინათ ძარცვისათვის 15 წლით პატიმრობა მიესაჯა. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი პიროვნებაა, დამნაშავეთა შორია დიდი გავლენით სარგებლობს. ამჟამად სასჯელს ჩვენი ქვეყნის შორეულ ჩრდილოეთში იხდის... რაც შეეხება მის მეუღლეს ის ქუთაისის მკვიდრია, ექთანია, უკვე 12 წელია № 1 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობს. მათზე რაიმე სახელგამტეხი მასალა არ გვაქვს, წყნარ ცხოვრებას ეწევა, მისი შემოსავალია ხელფასი და გაქირავებული ოთახების საფასური. საავადმყოფოს ადმინისტრაცია დადებითად ახსიათებთა.

— შემოწმეთ მუშაობდა თუ არა 12 იანვარს ღამით? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— დიას, გამოირკვა, რომ დევიძემ 12 იანვარს საღამოს 6 საათზე დაამთავრა მუშაობა, მაგრამ ღამით კვლავ მივიდა საავადმყოფოში. ვესაუბრე ღამის ცვლის ექთანს. მისი გადმოცემით დევიძე საავადმყოფოში დაახლოებით ღამთა სამ საათზე მისულა. მორიგე ექთანს გაკვირვებია მისი ასეთი გვიანი სტუმრობა, მაგრამ დევიძეს აუხსნია: № 4 პალატაში მძიმე ავადმყოფი, ჩემი შორეული ნათესავი წვესო და იმის ამბავი უკითხავს. უთხოვია კიდევ მისთვის გაეგრა ავადმყოფის მდგომარეობა. მორიგეს თხოვნა შეუპარულეობა რის შემდეგ დევიძე საავადმყოფოდან წასულა.

— გასაგებია, დევიძემ მორიგე ექთანი ავადმყოფის სანახავად გაგზავნა, თვითონ კი ისარგებლა მისი არ ყოფნით და სისხლის გიდას-

ზმის აპარატი წამოიღო, ხოლო დილით ადრე უკანვე მიიტანა და შეუქმნევლად დაღო თავი ადგილზე — დაასვენა მინდელმა.

— სწორია — დაეთანხმა პოლკოვნიკი, — მაგრამ აქედან კიდევ ერთი დასკვნაც უნდა გავაკეთოთ: დაჭრილი თუ ჭადრა დევების ძალზე ახლობელი პიროვნება უნდა იყოს. სხვანაირად დევები მათ სახლში არ მიიღებდა და არც დანაშაულს დაფარავდა. ცხადია, მან იცის ვინ არიან მისი სტუმრები, იაი იცის, რომ ერთი მათგანი რაღაც ისეთ საქმეზე დაიჭრა, რომლის გამკლავებაც არ შეიძლება, სხვა შემთხვევაში იზრუნებდა დაჭრილი სავადმყოფოში მოეთავსებია. ეს უღვაყო! ფიქრობ აგრეთვე მანვე მისცა დამნაშავეებს ქირურგ გრძელიძის მისამართი.

— შეიძლება ერთი დამნაშავეთაგანი დევების მეუღლეა? — იკითხა მინდელმა.

— შეიძლება — დაეთანხმა პოლკოვნიკი და შემდეგ მაიორს მიუბრუნდა — დღესვე გააგზავნეთ დებეშა, შეამოწმეთ ადგილზე იმყოფება თუ არა პატიმარი გიორგაძე. გამორიცხული არ არის, რომ იგი გამოიქცა გადასახლების ადგილიდან, ისევ ქუთაისს ეწვია და ამქამდ იმალება. კარტოტეკიდან ამოიღეთ გიორგაძის ფოტოსურათი, შესაძლოა გრძელიძემ ამოიცნოს მასში „ჭადრა“. რამდენი წლისაა ახლა გიორგაძე?

მაიორმა თან მიტანილი ქაღალდები გადაუტურცლა.

— გიორგაძე დაბადებულია 1919 წელს და ამქამდ ორმოცდახუთი წლის სრულდება.

— წულოვანება თითქმის ემთხვევა გრძელიძის ვარაუდს — დასძინა მინდელმა.

ბალანჩივაძე სეარძლიდან წამოდგა, რამდენჯერმე დაფიქრებით გაიარა კაბინეტში.

— დღეს საღამოთი, — წარმოთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, — რესპუბლიკის სამცხრეო განყოფილების უფროსი ძიძიგური ჩამოვა, სამმართველოშიც მეტად შემფოთებული არიან ამ ორი მკვლელობით. პო, მართლა — მიუბრუნდა მაიორს — სასტუმროს საკითხი მოაგვარეთ?

— მოგვარებულია ამხანაგო უფროსო, ძიძიგური აათვის მესამე სართულზე 207-ე ნომერია დაჯავშნული.

— მაიორმა ფურცელი გაუწოდა.

— კეთილი, წადით და დაუყოვნებლივ შეასრულეთ დავალება — პოლკოვნიკმა ქაღალდი ჩამოართვა და მაგიდის კუთხეში დასდო. მინდელმა მექანიკურად გადაავლო თვალი: 207 14/1-წაიკითხა მან.

მაიორი კაბინეტიდან გავიდა.

— 207, — რამდენჯერმე გაიმეორა მინ-

დელმა, შემდეგ უეცრად წამოგარდა სკამიდან. — დღეს რა რიცხვია? — იკითხა მოუთმენლად — 14 იანვარი ხომ?

— ხო, რა მოგივიდა? — განცვიფრდა პოლკოვნიკი.

მინდელი უეცრად კარს ეცა და კაბინეტიდან გავარდა.

ბალანჩივაძემ გაკვირვებით გააყოლა თვალი. მას ვერ აეხსნა რა მოუვიდა მუდამ დინჯსა და აუჩქარებელ მინდელს. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში მინდელი შემოგარდა, ხელში ჯერ ისევ სველი ფოტოქაღალდი ეჭირა და თვალეში სიხარულით უბრწყინავდა. უკან მოსდევდა გაკვირვებული ლაბორატორიის გამგე.

„როგორ იწერება რუსულად „ტანია?“ — იკითხა მინდელმა კაბინეტში შესვლისთანავე.

— არაფერი მესმის, წარბები შეიკრა ბალანჩივაძემ. შენ რა ლევან, საკუთარ თავს რუსული ენის გრამატიკის ცოდნაში ცდი?

— თითქმის, მე მგონია აქ შეცდომაა, უუკველი შეცდომა.

— დავუშვათ, მერე რა?

— მერე ის რომ ეა სახელი რუსის დაწერილი არ არის, ხოლო დამწერი რუსული მართლწერის ცოდნას ვერ დაიკვანის.

— ეგ მე წელანვე შევამჩნიე, მაგრამ ვერ გამოვიარა რისი თქმა გასურს.

— ჯერ მეც არ ვიცე. მაგრამ ერთი იდეა დამებადა და უნდა შევამოწმო.

— რა იდეა?

— ჯერ ვერა, ჯერ ვერ გეტყვით. იქნებ ცილები, მაგრამ მაინც უნდა შევამოწმო, აუცილებლად შევამოწმო.

— რა უნდა შევამოწმო?

მინდელს ყურები შეუწითლდა.

— დღეს საღამოს, უფრო სწორად რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერს გაგაცნობთ, მანამდე გთხოვთ, ნურაფერა მკითხავთ. ახლა კი წავედ.


— ოპერატიული ჯგუფის დახმარება გჭირდება? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— დიახ, კურცხლისა წავიყვან, ის შედარებით ახალი მუშაკია ქუთაისში და ნაკლებად იცნობენ როგორც მილიციის თანამშრომელს.

თავი VI

მინდელი მხოლოდ ექვს საათზე დაბრუნდა სამმართველოში. რაკი მორიგისაგან ვაიგო, რომ ბალანჩივაძე და ხომერკი იქ იყვნენ, პირდაპირ პოლკოვნიკის კაბინეტს მიასურა.

— მოფრინდი არჩივო? — ღიმილით მიეგება პოლკოვნიკი თვალეგაბრწყინებულ მინდელს, — ოპო, გეტყობა კმაყოფილი ხარ, შოპოვში რაუ გინდოდა?



— შევამოწმე. ამ საღამოს 10 საათზე ხოტოველი მის „მეურვეებს“ წყალტუბოში წაიყვანს — უბასუხა მინდელმა მხიარულად.

— წყალტუბოში? — ერთხმად შესძახეს ბალანჩივაძემ და ხომერიკმა.

— წყალტუბოში, სასტუმრო „თბილისის“ 407 ნომერში — მიუფო გამომძიებელმა და დუმბატა — სწორედ ამის შესამოწმებლად გავიქეცი ასე თავქუდმოვლევადი.

— აინტერესოა, რატომ იფიქრეთ, რომ ხოტოველი წყალტუბოში უნდა წავიდეს, ისიც ხელო საღამოა 10 საათზე და უუპეველად 407 ნომერში? — შეეკითხა ხომერიკი.

— ახლავე მოგახსენებთ. ხანდახან უბრალო შემთხვევა ისეთი მოვლენაა, რომელიც უცნაურ და ერთი შეხედვით მეტად ბუნდოვან, გამოუცნობ საკითხსაც მოუძებნის გასაღებს. დღეს, როდესაც ხოტოველზე ჩამორთმეულ 5 მანეთიან ვაიფლიერებდი, თითქმის ეჭვი არ შემპარავია, რომ მასზე წარწერილი ციფრები და აახელი პირობითი ნიშანი იყო, მაგრამ რას ნიშნავდა კი ვერაფრით ვერ ამეხსნა, სოლივით ჩამეჭვდა ეს წარწერა გონებაში და გულში სულ ამ ციფრებს ვიმეორებდი. შემდეგ ის იყო მაიორს სასტუმროს შესახებ შეკითხვა მიეციო, მან კი ვითხრათ ძიძიგურისათვის ნომერი დაჯავშნულიაო და ფურცელიც გამოგიწოდათ.

სრულიად შემთხვევით მაგიდის კუთხეში დადებულ ფურცელს თვალი გადავავლე, 207 14/1 წავიკითხე მექანიკურად და ასოციაციით ფულზე გაკეთებული წარწერა დამიღვა თვალწინ: 407, 15-1-10, 207, 14-1, ელვასავით გამირბინა თავში და გადავწყვიტე, რომ წარწერა ფულზე სასტუმროს ნომერსა და შეხედრის თარიღს მიუთითებდა. მაშინ მომეჩვენა, რომ ბანკნოტზე რაღაც სხვა ციფრები ეწერა და ის იყო ლაბორატორიაში გავიქეცი. არავითარი შეცდომა არ იყო. ციფრ „10“-სა და სახელს შემდეგ მოვაქეცი ყურადღება და გამოვიტანე დააკვნა, რომ პირველი-საათს ნიშნავდა, მეორე კი ნომრის მფლობელს. საესებით მაინც არ ვიყავი დარწმუნებული ჩემს აღმოჩენაში და გადავწყვიტე შემემოწმებინა ჩემი მოსაზრება. აქედან, კურცხლისათან ერთად, ჩვენს სასტუმროში მივედი, მაგრამ გავოცდი, როდესაც ადმინისტრატორმა მიპასუხა, 407 ნომერი ქუთაისის სასტუმროს არა აქვსო.

გულდაწყვტილი გამოვბრუნდი, შემდეგ გონებაში აღვადგინე ჭანტურიას მოხსენების ყოველი სიტყვა, ყოველი დეტალი: „ძეგნი ქუთაისის ნაწარმი მოგართვათ თუ...“

„წყალტუბოსი უსათუოდ წყალტუბოსი. ასე გთხოვთ ვახტანგომ“. ნათლად გამახსენდა ეს

სიტყვები. რას უნდა ნიშნავდეს ეს? იქნებ სასტუმროს?... იქნებ კი არა ნამდვილად წყალტუბოს სასტუმროს, გადავწყვიტე მტკიცედ და წყალტუბოში წავედი. შევამოწმე ჩვენთვის საინტერესო ნომერი და აღმოჩნდა, რომ 407 ნომერი დაკავებული აქვს ტაშვენტიდან 10 დღის წინათ ჩამოსულ ვინმე ტატიანა ივანეს ასულ ბასაკოვას — დაამთავრა მინდელმა.

— ყოჩაღ ლევან, — წამოიძახა პოლკოვნიკმა და მაგრად ჩამოართვა ხელი გამომძიებელს.

— აი ეს მესმის. შენ ერთხელ კიდეც დაამტკიცე, რომ გამოძიებაში არ არსებობს წვრილმანი ფაქტები.

— ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ამდენი მაქოთ — გაიღმა მინდელმა. ხოტოველი მაინც მიიყვანდა ოპერატიულ მუშაებს 407 ნომერში, ჩემი დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ ერთი დღით დავაჩქარე მოვლენების განვითარება.

— თავმდაბლობა გამომძიებელის საუკეთესო სამკაულია, — მიუფო ბალანჩივაძემ და განაგრძო — ახლა რას დიქრობ?

— ხოტოველის დაკავება ჯერ საჭირო არ არის, დაე ჩავიდეს წყალტუბოში, შეხედეს ტატიანას, ენახოთ ვის შეხედება კიდეც 407 ნომერში.

მე უკვე მივიღე საჭირო ზომები. მათი საუბარი ზეგ დილით ჩვენგან სიტყვა-სიტყვით იქნება ცნობილი, რაც შეეხება დევიძეს ვფიქრობ საჭმის დაუზიანებლად შეიძლება მისი გამოძახება, დაკითხვა და თუ საჭირო გახდა, დაბატმირებაც, ამის შემდეგ კი მის ბინაში მოკალათებულ დამნაშავეთა ლიკვიდაციაც. ჩემს აზრით, დევიძე ამაღამე სამასხურიდან უნდა ავიყვანოთ, ხოლო დამნაშავეთა შეპყრობა როგორც აქ ისე წყალტუბოში ზეგ ღამით ერთდროულად უნდა მოვახდინოთ.

პოლკოვნიკმა ყურმილი აიღო.

— კაპიტანი ორბელიძე ჩემთან, — ჩასძახა ყურმილში, შემდეგ ელსმენი დასდო და მინდელს მიუბრუნდა.

დევიძის მოყვანეზე ორბელიძე იზრუნებს, თქვენი საავადმყოფოში წასვლა საჭირო არ არის; თქვენებურად შეეცადეთ ყველაფერი ათქმევინოთ მას.

კაბინეტში ორბელიძე შემოვიდა.

ბალანჩივაძემ დავალბა გააცნო.

— საავადმყოფოში გარდა მთავარი ექიმის არავინ უნდა გაიგოს დევიძის წამოყვანა, ამას დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გასაგებია?

— გასაგებია ამხანაგო პოლკოვნიკო, შეძლება წავიდე?

— წადით, მანქანა ქუჩაში იცდის, მძღოლს უთხაროთ წავიყვანოთ.

— მაშ ასე — განაგრძო პოლკოვნიკმა, რა-
დესაც ორბელიძემ კარი გაიხურა — თქვენ დე-
ვიძეს დაკითხავთ, მე და გიორგი კი ძიძიგურს
შეგხედებით. დევიძის დაკითხვის დეტალურ
გეგმას ძიძიგურთან ერთად შევიმუშავებთ.

ბალანჩივაძე სხარტად, ახალგაზრდული შე-
მართებით წამოდგა სავარძლიდან.

მინდელს დიდხანს არ დასჭირვებია ცვა-
ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ
ორბელიძე დევიძეს შემოუძღვა.

მინდელმა დაკვირვებით შეათვალიერა შემო-
სული.

— დევიძე 35-38 წლისა იქნებოდა, ოდნავ
დასრულებული, მაგრამ სწორნაკეთიანი, შავი
ფართო თვალები ჰქონდა, ხელოვნურად დახუ-
ჭუჭუბულ მოკლედ შეკრებილ მუქ წაბლისფერ
თმებს ალაგ-ალაგ სპილენძის ფერი გადაჰკვრი-
და. ხორბლისფერ სახეს რკალივით მოხრილი
წარბები ამშვენებდნენ. ბეჭედივით ვიწრო პა-



რი ჯიუტად მოეკუმა და ოდნავ, სულ ოდნავ
უცახცახებდა ზედა ბაგე.

— ლელავს — გაიფიქრა მინდელმა და შემო-
სულს სავარძელი შესთავაზა.

დევიძე დაჯდა.

კაბინეტში დუმილი ჩამოვარდა. გარკვევით
ისმოდა კედლის საათის ტიკტიკი და ქაღალდის
შრიალი. მინდელი საქმეს ფურცლავდა.

დუმილი დევიძემ დაარღვია.

— იქნებ გავიგო რისთვის დამიბარეთ? —
იკითხა მან.

— მინდელმა თავი ასწია და დაკვირვებით
შეათვალიერა დევიძე.

— ვფიქრობ ამის ახსნა არ გჭირდებათ ქალ-
ბატონო, — მიუგო მან მშვიდად და შემდეგ
დაუმატა — თქვენი აქ მოყვანის მიზეზი ორი-
ვესთვის ნათელია და არა მგონია ამის გარკვე-
ვისათვის დროის დაკარგვა იყოს საჭირო.

— მე არაფერი ვიცი პატივცემულო უფრო-
სო — ჩაილაპარაკა წყნარად.

— პირიქით, თქვენ ყველაფერი იცით, — ცი-
ვად მიუგო მინდელმა — იცის გამოძიებამაც,
მაგრამ დაკითხვა მაინც აუცილებელია, ჩვენს
საქმიანობაში ფორმალზმიც საჭიროა, თორემ
გარწმუნებთ ამისათვის დროს არ დაეკარგავ-
დით.

— არაფერი მესმის.

დევიძე გამომძიებელს მიაჩერდა. მისი მზერა
ერთმანეთში არეულ მძულვარებას და უმწეო
ბრაზსაც გამოხატავდა. ერთხანს შესცქეროდა.

— რა გინდათ ჩემგან? — შეეკითხა ცუდად
დაფარული მძულვარებით.

მინდელმა გამომცდელი მზერა მიაპყრო. დე-
ვიძე ვერ დაახანია გამომძიებლის ცქერამ, გამოწ-
ვევა მიიღო და თვალი თვალში გაუყარა.

საოცარო, კვლავ გაიფიქრა გაკვირვებულმა
მინდელმა, ისე მიცქერის თითქოს მისი სინდისი
არაფრით იყოს დამძიმებული. ჩანს დარწმუნე-
ბულია, რომ ჩვენ არაფერი ვიცით.

— მაშ არ გინდათ გულწრფელად აღი-
აზროთ დანაშაული? — დაარღვია დუმილი გამოძ-
იებელმა.

— მე დანაშაული არ ჩამიდენია.

— კეთილი, კეთილი, თქვენ მარტო ცხოვ-
რობთ?

— დიახ.

— სრულიად მარტო?

— დიახ, სრულიად მარტო.

— მეუღლე სად არის?

— მეუღლე? თქვენ უკეთ იცით პატიმარია.

— ამყვამად სად იმყოფება?

— ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონში იხდის.
სასჯელს.

— დიდი ხანია?

— უკვე მეხუთე წელია.

— მიმოწერა გაქვთ?

— ცხადია მაქვს.

— უკანასკნელი წერილი მისგან როდის მიი-
ღეთ?

— 10-ოდე დღის წინათ.

— ფოსტით?

— ამას მნიშვნელობა აქვს?

— კითხვებს აქ მე ვიძლევი, მიბასუხეთ.

— დიახ, ფოსტით.

— დაწმუნებული ხართ?



— რა თქმა უნდა.

— რას გწერდათ უკანასკნელად?

— როგორ თუ რას, ჩვეულებრივად მატყობინებდა თავის ამბავს და ითხოვდა ამანათის ვაგზავნას.

კაბინეტში რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რამდენი ხანია რაც საავადმყოფოში მუშაობთ?

— უკვე თორმეტი წელია. დავამთავრე თუ არა სკოლა მას შემდეგ სულ № 1 საავადმყოფოში ვმუშაობ.

— 12 იანვარს დღისით მუშაობდით თუ ღამით? — შეეკითხა მინდელი და თვალი თვალში გაუყარა.

ღევითე შეკრთა, მაგრამ მალე შესძლო თავის დაოკება.

— დღისით.

— ღამით რა გინდოდათ საავადმყოფოში?

— როგორ?

— ღამის სამ საათზე რა გინდოდათ საავადმყოფოში? — გაუშეორა კითხვა მინდელმა.

— სამ საათზე? — ძლივს ამოილაპარაკა ქალმა.

— დიახ, სამ საათზე, ღამის სამ საათზე — დაბეჯითებით განუმარტა მინდელმა.

— ღამით მე საავადმყოფოში არ ვყოფილვარ — უბასუხა ღევითემ ყოყმანით.

— სტყუით.

ღევითე დუმდა.

— სდუმხართ? — განაგრძო მინდელმა — კეთილი! მაშასადამე უკვე დარწმუნდით, რომ ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ თქვენის საავადმყოფოში მისვლა წვრილმანია, ჩვენ უფრო სერიოზული ამბავი გვინტერესებს და თუ კეთილგონიერება გვაჩინიათ ნუ გავიუტლებით.

— რა გნებავთ ჩემგან? — თავი ასწია ღევითემ.

გამომძიებელი დაჟინებით მიაჩერდა.

— მხოლოდ ერთი — გულწრფელად აღიაროთ დანაშაული, გვითხრათ რა ვითარებაში დაუკავშირდით დამნაშავეებს, რატომ შეიფარეთ ისინი.

— ბატონო გამომძიებელო, თქვენ... თქვენ შეცდომით ხართ შეყვანილი. ჩემს ბინაში არასდროს ყოფილა დამნაშავეთა თავშესაფარი, გეფიცებით ჩემს ერთადერთ შვილს, ვის გამოც ესოდენ დიდ ტანჯვას ვიტან ცხოვრებაში, ცდებით და ტყუილად მაყენებთ შეურაცხყოფას!

ღევითე ისე გაცხარებით ლაპარაკობდა და ისე გულწრფელად, რომ მინდელი წუთით შეყოყმანდა, „მართლაც ხომ არ ვცდებიო“ გაიფიქრა, მაგრამ სწრაფად უარყო ეს აზრი.

— ვისი დავალებით წაიდეთ საავადმყოფოდან სისხლის გადასხმის აპარატი? — შეეკითხა მინდელი.

— მე აპარატი დილით უკანვე მივიტანე.

— ეს არაფერს ნიშნავს. ვისი დავალებით წახვედით საავადმყოფოში?

— თქვენ მას არ იცნობთ, მაგრამ გარწმუნებთ ის არც მკვლელოა და არც დამნაშავე.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ეჭვიც არ მეპარება. მე ვიცი რატომ მიგაჩნიათ ჩემი ბინა საეჭვოდ. მართლაც რა უფლება მაქვს რეციდივისტის ცოლს პრეტენზია განვაცხადო, რომ არ შეეხზოთ ჩემს კეთილსახულს. ერთს კი ვთხოვთ, ნუ იქნებით განუკითხავი და ქმრის გამო მეც ნუ ჩამოვლით დამნაშავედ.

ღევითე რამდენიმე ხანს დუმდა, მიძიედ ამოიოხრა და დაიწყო:

— თქვენ იცით, რომ ჩემი ქმარი გამოუსწორებელი ქურდია და ამჟამად უკვე მეოთხედ იხდის სასჯელს. ჩემთვის პირადი ცხოვრება აღარ არსებობს და თუ ვცოცხლობ მხოლოდ ერთადერთი შვილისათვის. ეს დეტალები რა თქმა უნდა არ გაინტერესებთ, მაგრამ ჩემი ვალია ყველაფერი ვითხრათ, რადგან როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მე არ დამიკარგავს იმედი იმის, რომ ქმარი პატიოსანი ცხოვრების გზაზე დაბრუნდეს. სწორედ ეს მაიძულებს ხელი არ ვკრა ჩემს ქმარს, უბედურად ამიანს და დროდადრო ფული ან ამანათი გაეუფავნო მას.

ყოველ წერილში ალექსანდრე მეფიცება, რომ ეს მისი უკანასკნელი ავკაცობაა და თუ ეღირსა საპატიმროდან გამოსვლა არასოდეს არ დაუბრუნდება შავნელ საქმიანობას. სწორედ ახალი წლის დღეებში იანვრის ერთ თოვლიან დამეს ბავშვი დაეწვინე, რომ კარზეზე დააკაუნეს, გავადე, ზღურბლზე 30-32 წლის საშუალო ტანის მამაკაცი გამოჩნდა, რომელმაც თავაზიანად მოიხადა ბოდიში და როდესაც გაიგო ვინ ვიყავი კონვერტი გადმომცა. უცნობი სახლში მივიწვიე და წერილი გავხსენი. ალექსანდრე მწერდა, რომ ბარათის მომტანი მისი კარგი მეგობარი იყო და მთხოვდა უბატვიცემულოდ არ გამეშვა იგი.

„ჩემი პროფესიის არ გეგონოს, ინყინებია, ციხეში ბრმა შემთხვევის გამო მოხვდა, ახლა ვამართლად და სამშობლოში ბრუნდება“ — მატყობინებდა ქმარი. წერილში სტუმრის ვინაობა არ იყო აღნიშნული, მაგრამ ისე ვიყავი გახარებული იმით, რომ ბარათის მომტანი ქურდი და ავაზაკი არ აღმოჩნდა, ყურადღებაც არ მიმიქცევია ამ მდგომარეობისათვის.

მოსულმა დაწვრილებით მიაბზო თავისი თავგადასავალი. დიდი ქებით მოიხსენია ჩემი ქმა-

რო, „რომ ალექსანდრე არა, იქნებ ცოცხალი არ ვიყო“ მითხრა. ღამის დაახლოებით 12 საათზე ვახტანგი წამოდგა, სასტუმროში წასვლა დააპირა, არ გავუშვი. დიდი ღამის შემდეგ დავიყოლიე, რომ ღამე ჩემს ბინაში გაეთათა.

დილით ვახტანგი მითხრა, რომ ქუთაისში ჩამოვიდა არქივიდან რაღაც საბუთის ასაღებად, რაც შემკვიდრეობის აღსადგენად ესაჭიროებოდა და ქალაქში ვავიდა.

ორი დღე დაჰყო სტუმარმა ქუთაისში, მაგრამ საჭირო საბუთის აღება ვერ მოახერხა. „უბედურებაა პირდაპირ, იმუღბული ვარ მეორედ ჩამოვიდე ქუთაისში“ — შემომჩივლა მან და ღამის მატარებლით თბილისში გავმგზავრა.

თუ არ ვცდები, 9 იანვარს ისევ ჩამოვიდა, მომინახულა, ბავშვს საჩუქრები მოუტანა, მითხრა სამსახური დავიწყე, ბინასაც მაძლევენ და მგონი ჩემი ცხორებაც მოეწყოსო.

ჩემი ამბავითაც დაინტერესდა, ბოდიში მოიხადა პირველი ჩამოსვლისას ვერაფრით დაგეხმარეთო, შემდეგ ფული გადმომცა ალექსანდრეს ამანათები არ მოაკლოო.

ფულის აღებაზე ცივი უარი ვთქვი, თავი კინადამ მოიკლა: „მე თქვენი მეუღლისაგან სიცოცხლითა ვარ დავალბებული და ეს მცირე დახმარება რა საანგარიშოაო“.

ბოლოს დამიყოლია, 100 მანეთი დამიტოვა. ვახტანგი ხანდახან გავიძოდა ქალაქში ვილაც შორეულ ნათესავთან, ზოგჯერ, გვიან ბრუნდებოდა, მაგრამ ღამეს ყოველთვის ჩემს ბინაში ათვდა.

12 იანვარს განმიცხადა, რომ სამი-ოთხი დღის შემდეგ თბილისში აპირებდა წასვლას და დაახლოებით 11 საათზე ბინიდან გავიდა.



— შეიძლება დამავინდეს — მითხრა მან წასვლისას.
 — დიდხანს ვუცადე, მაგრამ რადგან არ მოვიდა, ღამის 12 საათზე დავწვი.

ზარის ხმამ გამომადვიდა. ავდექი, შუქი ავანთე, 2 საათი იყო.

ოთახში ვახტანგი და ვილაც წვერიანი მოხუცი შემოვიდნენ და ხელით მიცვალეზღოვით გაფთვრებული ახალგაზრდა შემოიყვანეს.

— არ შეგეშინდეთ ნატა — მითხრა ვახტანგი — ეს ახალგაზრდა ჩემი ნათესავია, დაჭრილია და გული წაუვიდა, მომეხმარეთ საწოლში ჩავაწინოთ, შემდეგ ყველაფერს ვიამბობთ.

— ვინ დაჭრა? — ვიკითხე მექანიკურად.

— შემდეგ, შემდეგ, ჯერ დაჭრილს მოუყაროთ — მიბასუხა ვახტანგი. სწრაფად გავშალე ლოგინი, ტახტზე მისვენებული დაჭრილი საწოლზე გადავიყვანეთ, რადენიმე ნემსი გავუკეთე. ავადმყოფმა თვალები გაახილა, ყრუდ ამოიკენესა და გრძნობა დაკარგა.

მოხუცმა პერანგი გახადა და მე დავინახე, რომ ახალგაზრდა მუცელში იყო დაჭრილი.

— ჩქარა ბაზმა და ბინტი — ამოიღო ხმა აქამდე ჩუმად მყოფმა წვერიანმა.

საფთაოთ კარადა მივაწოდე. მოხუცი გაბედულად შეუდგა კრილობის გასუფთავებას.

ვახტანგიმ ხელი მომკიდა და მეორე ოთახში გამიყვანა.

ნატა, — მითხრა მან, — უბედურება შეგვემთხვა, როგორმე უნდა დაგვეხმარო, თორემ ეს ყმაწვილი დაიღუპება და მეც დამედება მაგის ცოდვა.

— რა შეგემთხვათ, ვინ არის? — შევეკითხე შემინებულმა.

— ჩემი ბიძაშვილია, რაღაც უბედურად ქალი შეყვარებია და... ერთი სიტყვით რადგან ქალი არ უთანაგრძნობდა მოტაცება გადაწყვიტეთ: შედეგს ხედავ: ქალი ვერ მოვიტაცეთ, ყმაწვილი კი დაჭრეს და მგონი სახიფათოდაც.

— მე რა უნდა გიშველოთ?

— დაუყოვნებლივ საჭიროა ექიმი. მე კი აქ არავის ვიცნობ, თანაც შუადამეა.

— საავადმყოფოში დავაწვინოთ, მე ახლავ დავურეკავ სასწრაფო დახმარებას — ვუბასუხე და სწრაფად წამოვიდექი.

ვახტანგიმ შემაჩერა.

— ეგ შეუძლებელია, სიკვდილს შესაძლოა გადავარჩინოთ, მაგრამ ციხეს ვერ ასცდება. ქალის მოტაცება კანონით ისჯება და ჩვენც დავიჭვრენ.

მაშ რა ვქნა? — უმწეოდ ვკითხე მე და ავკანკალი.

— აი რა ნატა, — დაიწყო მან, — მე ძალზე მიმიძმს თქვენი შეწყუხება, მაგრამ სხვა გზა არ არის, დაჭრილი პირველ ხანებში მაინც აქ უნდა დარჩეს. აქვე უნდა მოვიწვიოთ ექიმი და პირველი დახმარება აღმოვეჩინოთ, მილიცია ალბათ უკვე გვეძებს და დაჭრილის კვალს თუ მიაგნეს სამივეს ციხეში ჩავგყრიან.



— მერე, ექიმო?

ექიმს ჩვენ მოვიყვანთ. ეს მოხუცი მოიყვანს ექიმს, ზომებსაც მიიღებს, რომ არ ვაგვეტყვას, თუ შენ გვეციმ ამდენ პატივს და დაჭრილის აქ დატოვებაზე დაგვთანხმდები.

ყოყმანი დავიწყე. ერთის მხრივ მეშინოდა დაჭრილის ჩემს სახლში დატოვება, მეორეს მხრივ კი მიჭირდა უარი მეთქვა დახმარებაზე გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის, არც ის მიწოდდა ვახტანგის უსიამოვნება შეხვედროდა.

— კარგი, დავთანხმდი მე — ასეთ მდგომარეობაში მყოფს მტერსაც არ ეტყვიან უარს, მხოლოდ სად მოვათავსოთ? ბავშვს ახლა ძინავს, მაგრამ ხვალ?

— მე დიდად ვწუხვარ ასე რომ გაწუხებთ — დაიწყო ვახტანგიმ, მაგრამ წელანაც, ვითხარით, სხვა გზა არა გვაქვს. ასე გავაკეთოთ: დაჭრილი უნდა მდგომარეობის ერთ-ერთ ოთახში დავაწვიანოთ, გასაღები ხომ შენ გაქვს, დღისით ეს ოთახები გარედან დაკეტე, ღამე კი, როდესაც ბავშვი დიძინებს შეიძლება გავალთ. ერთი-ორა დღე ვერავინ გაიგებს, შემდეგ კი წავალთ, გაცილებით ქუთაისს, მე ხვალ მაინც ვაპირებდი წასვლას, ეს უსიამოვნება რომ არ შეგვხვედროდა.

მეორე ოთახიდან მოხუცი გამოვიდა. ვახტანგი ფეხზე წამოღდა, მოიწვიებით შეეგება და შეეკითხა:

— როგორ არის?

— ცუდად, ბევრი სისხლი დაკარგა, თუ სისხლი არ გადაუხსნით ვინ იცის რა მოხდება.

შიშმა ამიტანა, რა მეშველება რომ მოკვდეს, — გავივლე გულში და ის იყო დავაპირე მეთქვა, დაჭრილი წაიყვანეთ მეთქი, რომ წვეროსანი მომიხსლოვდა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— თქვენს პატივისცემას ქალბატონო ჩვენ ვერ გადავიხდით, მაგრამ თუ ღმერთმა ინება და ჩემი ძმიშვილი ვადაჩჩა, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

ხმა ვეღარ ამოვიღე.

— ქალბატონო, — დაიწყო ისევ წვეროსანმა — დრო არ ითმენს, რადგან ასეთი სიკეთე გვიყავით, გეცოდინებათ ვინ არის ქუთაისში გამოცდილი ქირურგი, იქნებ ბინაც მიგვითითოთ.

— გრძელიძე, მაგრამ...

— რა მაგრამ?

ის, რომ გრძელიძე ავადმყოფს უეჭველად სავადმყოფოში გადაიყვანს, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ასეთ ძმომე ავადმყოფს ბინაზე უმეურნალოს.

— ეს მე მომანდეთ — მიპასუხა წვეროსანმა მტკიცე ხმით.

— არაფერი გამოვა, სისხლს სახლში მაინც

ვერ გადაუხსამს, არც ოპერაციას გაუკეთებს — შევეპასუხე ისევ.

— გაუკეთებს, სისხლსაც გადაუხსამს, მხოლოდ თქვენ ცოტადენი სამსახურის გაწევა მოგიწევთ, როგორმე აპარატი უნდა გვიშოვნოთ. სახტად დავტყვი, ჩაბალახმოხვეული წვეროსანი დაკვირვებით შევათვალიერე.

— თქვენ იცით იმ აპარატის სახელი? ვერ დავფარე განცვიფრება.

— გიკვირ? — გაიღიმა მან, თუმცა დიდი ხანია ვაზს ვუვლი და ყურძენი მომყავს, მაგრამ... მედიცინას ვიცნობ, ჩემი ჭაბუკობის წლებში გატაცებული ვიყავი მედიცინით და ერთ დროს ექიმობასაც ვაპირებდი. თუმცა რა დროს ამაზე ლაპარაკია, გვიშოვნით?

— ახლა ღამის სამისნახევარია, სად ვიშოვნო?

— საავადმყოფოდან უნდა წამოიღოთ, სხვა გზა არ არის — მიპასუხა წვეროსანმა და თითქოს ჩემი თანხმობა უკვე მიღებული ქონდა და უმატა — ნუღარ დაგვიანებთ, ექიმის მისამართი გვასწავლეთ და წადით.

რადაც არ მომეწონა მისი ტონი, მბრძანებლური კილო, მაგრამ რატომღაც არაფერი მითქვამს.

ვახტანგის გრძელიძის მისამართი ვუთხარი, ავუხსენი სად ცხოვრობდა.

— ჩვენ ახლა ექიმთან წავალთ, თქვენი მასთან შეხვედრა საჭირო არ არის. როდესაც ჩვენი ფეხის ხმა გაიგონოთ თქვენს ოთახში გაბრძანდით და კარები დაკეტეთ, მანამდე კი, ავადმყოფს ნუ მოშორდებით, თქვა წვეროსანმა:

ის ღამე თეთრად გვათენე.

დილით წვეროსანი არ გამოჩენილა, მხოლოდ ვახტანგი შემოვიდა ჩემს ოთახში, ჩაის აღუღება მთხოვა, ჩემოდნიდან ძეხვი და კონიაკები ამოიღო.

— დაგტანჯეთ, ქალბატონო ნატა, არ ვიცი როგორ მოგიხადოთ ბოლიში ასეთი შეწუხებისათვის.

— როგორ არის დაჭრილი?

— ყველაფერი რიგზეა, მაგრამ 1-2 დღე საწოლში უნდა იყოს.


— რა თქვა გრძელიძემ? გაუკეთა ოპერაცია?

— გაუკეთა, უხვმა გასამრჯელომ თავისი გაიტანა, გრძელიძე არსად არაფერს იტყვის. მთელი დღე სახლში დავყავი. ბაზარშიც არ წავესულვარ, ხალხის მეშინოდა.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, მეგონა მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ჩემს სახლში იმალებოდა დაჭრილი.

ვახტანგი საღამოს დაბრუნდა. დაკლული ქათამი, ხორცი და კონიაკი მოიტანა.

ხომ არავინ ყოფილა? — იკითხა შემოსვლისთანავე.



— არაიენ — ვუპასუხე მე.
— ჩინებულისა, როგორც ჩანს ყველაფერს კეთილად გათავდება.

— სამზარეულოში გავედი. ისე როგორც დილით, ამჯერადაც ვახტანგმ შეიტანა ოთახში სასამელ-საჭმელი. მე იმ ორ ოთახში არ გაესულვარ.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ვახტანგი და დაჭრილის ბიძა ჩემთან შემოვიდნენ. მოხუცმა კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში, მაღლობა გადამიხადა, დამპირდა, რომ ორი დღის შემდეგ დაჭრილს წაიყვანდა და წავიდა.

ამ დღიდან ვახტანგი უვლიდა დაჭრილს, შესახველელის ერთი გასაღები მივეცე, რათა თავისუფლად შესძლებოდა ჩემი არ ყოფნის დროს ბინაში მოსვლა და წასვლა.

დაჭრილის მდგომარეობა უფრო სერიოზული გამოდგა, 1-2 დღე საკმარისი არ აღმოჩნდა და დღესაც ლოგინში წევს— დაამთავრა დევიძემ.

მინდელს ერთი შეკითხვითაც არ გაუწყვეტინებია თბრობა. მშვიდად უსმენდა ქალს და დროდადრო თავისთვის შენიშვნებს იწერდა.

კაბინეტში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— რა მდგომარეობაშია ამჟამად დაჭრილი? — დაარღვია სიჩუმე მინდელმა.

— ვახტანგის თქმით ჯერ წამოდგომა არ შეუძლია.

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე ის არ მინახავს პატივცემულო გამოძიებელი.

— განა უცნაურად არ გეჩვენათ, რომ ერთხელაც არ მოაკითხეს მშობლებმა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვახტანგმ მითხრა მშობლები ვერ მოვლენ, ეშინიათ მათ კვალს მილიციაც არ მოჰყვესო. საერთოდ ისე მოეშალა ნერვები, რომ ყველაფერს ეჭვის თვლით დაუწყო ყურება.

— ეს როგორ გავიგოთ?

— აი გუშინ, ქელასიდან ინსპექტორები მოვიდნენ ელექტროენერჯის ხარჯვა შეამოწმეს, დამაჯარიმეს კიდევაც. ვახტანგი ამ დროს დაჭრილით იყო ვარდნან დაკეტილ ოთახში. ისინი რომ წავიდნენ ვახტანგი მთელი ერთი საათი ნერვულობდა, მეკითხებოდა თუ ვიცნობდი კონტროლიორებს, სხვა დროს თუ შეუძლებელია ელექტროწერტილები და სხვა... ვერ დამშვიდდა ვიდრე ქელასში არ წავედი.

— შემდეგ?

შემდეგ არაფერი. ქელასში ქვითარი წარვადგინე, ჯარიმს გადავიხადე. სახლში რომ დაბრუნდი ვახტანგმ დეტალურად გამომკითხა ყველაფერი, ქვითარიც გასინჯა.

— რა გვარია ვახტანგი?

— კიტოვანი.

— ცოლშვილიანია?
— არა უცოლშვილოა.

— სად ცხოვრობა, თბილისში?

— ზუსტად არ ვიცი, მგონი საბურთალოს რომელიღაც ახალ დასახლებაში.

— დაჭრილი რა გვარია?

— არც დაჭრილის, არც ისიდორეს გვარი არ ვიცი, ვახტანგს არ უთქვამს, მე კი მომერიდა მეკითხა.

— ქელასში ვახტანგის დავალებით წახვედი?

— დიახ, მან მოხოვა და წავედი.

— კიდევ სად იყავით მისი დავალებით?

— არსად, სხვაგან არსად ვყოფილვარ. მინდელი მოიღუპა.

— მოქალაქე დევიძე, თქვენ დამპირდით, რომ ყველაფერს გულახდილად მეტყობოდა.

— დიახ, დავპირდით და ვასრულებ კიდევ, სხვაგან არსად გაუგზავნივარ. უპასუხა დევიძემ გულწრფელი ვაკვირებებით.

— განა დღეს დილით მალაზიაში არ იყავით? — მკაცრად შეეკითხა გამომძიებელი.

— მალაზიაში? მერედა ამას რა კავშირი აქვს ქალის მოტაცებასთან? — გაოცდა დევიძე.

— ეს უკვე ჩვენი საქმეა, იყავით თუ არა?

— დიახ ვიყავი, ვახტანგმა მოხოვა არაყი და ძეხვი მეყიდა.

— რატომ დამალეთ თქვენი იქ მისვლა?

— რას ბრძანებთ, არც მიფიქრია, მაგრამ არაყსა და ძეხვს რა დამოკიდებულება უნდა ქონდეს ამ საქმესთან?

— ეგ ჩვენ ვიცით, თქვენი ვალია გვიპასუხოთ.

— კი ბატონო, მკითხეთ რაც გნებავთ.

— რა დავალებით გაგზავნათ კიტოვანი?

— არავითარი დავალება არ მოუცია. მითხრა, დაჭრილმა ძეხვი მოისურვაო, წყალტუბოს ნაწარმი ძეხვი. იმ მალაზიაში კი ვახტანგის ნაცნობი ყოლია და მოხოვა მასთან მიღი სხვა მალაზიაში ვერ იშოვნისო.

— შემდეგ?

— მეტი არაფერი, ფული მომცა და მეც ვიყიდე.

— ვისგან იყიდე?

— ვიღაც იოსკასაგან.

— იცნობთ?

— არა სხვა დროს არსად შემხვედრია.

— კეთილი. იოსკას კიტოვანის მიერ მოცემული ფულით გადაუხადეთ საფასური?

— დიახ.

— ხურდა რამდენი დაგიბრუნათ?

— არავითარი ხურდა არ დაუბრუნებია.

— რატომ?

— ვახტანგმ მითხრა 5 მანეთს მისცემ, არაყ-



სა და ძეხვს მოგცემსო, მეც აეე მოვიქეცი.
— სად იშოვეთ სისხლი ან როგორ გადაუსხეს იგი დაჭრილს?

— რა მოგახსენოთ. მე ოთახში არ ვყოფილვარ, ალბათ გრძელიძემ მოიტანა დაკონსერვებული სისხლი.

— თქვენ იცნობთ გრძელიძეს?

— გრძელიძეს ვინ არ იცნობს.

— ღარწმუნებული ხართ მან გაუკეთა დაჭრილს ოპერაცია?

— ყოველ შემთხვევაში მე ასე მითხრება.

თქვენ ვალდებული არ იყავით გეცნობებით ჩვენთვის თქვენს სახლში დაჭრილის ყოფნა და გრძელიძის მიერ ოპერაციის გაკეთება? — მკაცრად შეეკითხა გამომძიებელი.

ღვევიძემ თავი დახარა, სახეზე სიწითლე მოერია და ნერვიულად დაიწყო ხელების მტერება.

— სიბრაღურმა დამძლია, დაჭრილი შემეცოლა, ვახტანგი ვერ გავიმეტე.

— კეთილი, კიტოვანი თუ დადიოდა სადმე?

— საღამოობით საღლაც მიდიოდა, მაგრამ სადმე არასოდეს მიეითხავს.

თქვენთან თუ აკითხავდა ვინმე?

— არავინ, არც ერთხელ არ მოუკითხავთ.

— არც თქვენ ვინახავთ ვინმე ნაცნობთან?

— არა... თუმცა ერთხელ მანქანაში ვნახე.

— ნაცნობის მანქანაში?

— როგორ ვითხრათ, მანქანის პატრონს მე არ ვიცნობ, ისე კი ვიცი რომ ქუთაისელია, ქალაქში შემხვედრია.

— მისი გვარი?

— გვარი და ახელი არ ვიცი.

— მანქანის ნომერი ხომ არ გახსოვთ?

— არა არ დავინტერესებულვარ.

— რა მანქანაა?

— ვოლგა.

— ფერი?

— არ მახსოვს.

— დაჭრილი რითი მოიყვანეს თქვენთან?

— არ ვიცი.

— კარგი ჯერ-ჯერობით, ამით დავამთავროთ. ღვევიძე წელმოწყვეტილი წამოდა. დერეფანში გავიდა და გრძელ სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

* * *

— როგორ არის საქმე? — შეეგება პოლკოვნიკი კაბინეტში შესულ გამომძიებელს.

— დავკითხე — უბრალოდ უბაუხა მინდელმა და შეესებულე ფურცლები გაუწოდა.

— ბალანჩივაძემ ჩვენება სწრაფად გადაიკითხა.

თხა, ზოგიერთი ადგილი წითელი ფანქრით გახაზა, შემდეგ დაკითხვის ოქმი ხომერკის გაუწოდა.

კაბინეტში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენი აზრი? — მიმართა ხომერიკმა მინდელს როგორც კი ღვევიძის ჩვენების კითხვა დაამთავრა და ფურცლები პოლკოვნიკის მაგილაზე დასდო.

მინდელი ცოტა ხანს დუმდა.

— მე ვფიქრობ ღვევიძის ჩვენება სრულ სიმართლეს შეიცავს.

— ესე იგი? — ჩაუროთო პოლკოვნიკმა.

— ღვევიძე გააცურეს, მან არ იცის სტუმრების ვინაობა, და კიტოვანის შეთხზული ზღაპარი ხალას სინამდვილედ მიაჩნია.

— დაევშვათ... შემდეგ?

— შემდეგ, ღვევიძე საფოტო ყუთად გამოიყენეს, პირობითი ნიშნებით დანიშნული 5 მანქანიანი ხოტოველზე გადააცემინეს, ის კი ღარწმუნებულთა მხოლოდ ძეხვი უყიდა ავადმყოფს და სხვა არაფერი.

— ესეც დაევშვათ, მაგრამ ჭაღარა? თუ ღვევიძის ჩვენებას სიმართლედ მივიჩნევთ გამოდის, რომ ის მია სახლში აღარ არის.

მინდელი დუმდა.

— რას იტყვით? — კვლავ შეეკითხა პოლკოვნიკი.

— ვფიქრობ, აქ ორი ვარიანტია დასაშვები, დაარღვია დუმილი მინდელმა. — შესაძლებელია ჭაღარა ახლაც დაჭრილთან არის, მაგრამ ღვევიძემ ამის შესახებ არაფერი იცის, ან ხოტოველს სწორედ ჭაღარასთან აქვს დანიშნული პაემანი წყალტუბოში სასტუმროს 407 ნომერში — დაამთავრა მინდელმა.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— ღვევიძემ ერთი გასაღები კიტოვანს გადასცა, მაშასადამე დიასახლისის სახლში არ ყოფნისას სტუმარს შეუძლია ვინც უნდა ის მიიღოს და ღვევიძეს არაფერი ეცოდინება, ის ხომ ზავილოვების ოთახებში არ შედის. მეორე: ჭაღარა, სიფრთხილის გამო შეეძლო მართლაც დაეტოვებია ღვევიძის ბინა და სრულიად ლეგალურად მოწყობილიყო სასტუმროში, ხოლო კავშირი ხოტოველის საშუალებით გაეხორციელებინა.

მინდელმა ჰაბიროსს მოუყიდა. ასანთის ნაწილგავი საფერფლეზე დასდო და მტკიცე ხმით დაუშვა: — ერთი რამ უდავოა, ჭაღარა დაჭრილია გამომჯობინებას უცდის და ვიდრე ის ლოგინება მივაჭუჭული არ მიატოვებს.

(გაგრძელება იქნება).

უნგრელი კრიმინალისტი მნიშვნელოვანი გამოკვლევა

ფუნდამენტური ნაშრომი — „სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვა“ ეკუთვნის ცნობილ უნგრელ კრიმინალისტს, ქართველ კრიმინალისტთა კარგ მეგობარს, დოქტ. ტ. ხორვატს.

მეცნიერული კავშირი ჩვენს იურისტებთან დოქტ. ტ. ხორვატს კარგა ხანია აქვს, ხოლო მისმა სტუმრობამ თბილისში მიმდინარე წლის ზაფხულში, საფუძველი ჩაუყარა უშუალო მეცნიერულ და მეგობრულ კონტაქტებს მათ შორის. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ კმაყოფილებას გვგვრის ამ წიგნზე გამოხმაურება. მართალია, დოქტ. ტ. ხორვატის გამოკვლევა ჩვენთვის ხელმძღვანელობელ უნგრულ ენაზეა დაწერილი, მაგრამ რუსული რეზიუმე, რომელიც ნაშრომს ახლავს, შესაძლებლობას გვაძლევს, ზოგად ხაზებში მაინც გავაცნოთ ქართველ მკითხველს დოქტ. ტ. ხორვატის წიგნის შინაარსი და გავუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებები და ზოგიერთი მოსაზრება.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული კრიმინალური ქცევის ის ძირითადი სახეა, რომლის არსებობასთან განუყრელია არის დაკავშირებული ისტორიის მთელი სისხლის სამართლის, მისი წარმოშობიდან დღემდე. დანაშაულობის ამ სფეროსთან დაკავშირებული პრობლემატიკა სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამუშავებულ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ამგვარ საკითხს ძნელად თუ აიჩივებს თავისი კვლევის საგნად ვინმე, გარდა მოწიფული მეცნიერისა, რომელსაც უნარი შესწევს ძველი პრობლემა შემოქმედებითად დაამუშავოს.

დოქტ. ტ. ხორვატს, რომელსაც სრული საფუძველი ქონდა ამ მხრივ საკვლევ თემად „სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვა“ პერჩია, უნდა ვადაეწყვიტა რთული ამოცანა — პრობლემის დამუშავება სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა დონეზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით. ავტორმა ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა და, ჩვენი აზრით, ძირითადად სწორედ ამან განსაზღვრა ნაშრომის მაღალი მეცნიერული დონე.


დოქტ. ტ. ხორვატის წიგნი ისეა აგებული;

რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა იურიდიულ შესწავლას და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს მასში წინ უსწრებს აღნიშნულ დანაშაულთა განხილვა ზოგად კრიმინოლოგიურ ასპექტში: ავტორი ამ დანაშაულობათა სტატიკისა და დინამიკის უაღრესად სწორი მეცნიერული სურათის ჩვენებთ წარმოადგენს უქმნის მკითხველს მათი გავრცელების ტენდენციებზე. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს მას ყოველმხრივ გააშუქოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რაც თავის მხრივ, პრობლემის ღრმა კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს დანაშაულის შესწავლას არა როგორც მხოლოდ წმინდა იურიდიული მოვლენისა, არამედ აგრეთვე, როგორც სოციალური მოვლენისა; უფრო მყარ საფუძველს ქმნის იმის გასარკვევად, თუ მოვლენათა რა რიგს მიეკუთვნება იგი, რა არის მისი წარმოშობის მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები და ა. შ.

ნაშრომში, სადაც ეს საკითხი, უხვად არის გამოყენებული სისხლის სამართლის შიდაგვერდებზე მეცნიერებათა: კრიმინოლოგიის, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის და სხვ. მონაცემები; ფართოდ არის მიმოხილული უფრო ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

დოქტ. ტ. ხორვატი როდი იწყებს თავის წიგნს თანამედროვე სისხლის სამართლის იმ პრობლემებზე უშუალო მსჯელობით, რომლებიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შეეხება. იგი წარმოგვიდგენს სისხლისსამართლებრივი აზრის ევოლუციას ამ საკითხებზე ადრეული კაპიტალიზმის ეპოქიდან დღემდე; სათანადო იურიდიული ანალიზითა და კლასობრივი ტენდენციების ჩვენებით. თუ რა პერიოდს ეხება დოქტ. ტ. ხორვატი ისტორიულ ასპექტში და რა საკითხები აინტერესებს ამ პერიოდის სისხლის სამართლიდან, კარგად ჩანს თვით თავებისა და პარაგრაფების თანამიმდევრობიდან.

პირველი თავი — „პიროვნების სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვა კაპიტალისტურ საზოგადოებაში“ იყოფა ოთხ პარაგრაფად, რომელთაგან პირველი ეძღვნება აღმავალი ბურჟუაზიის სისხლისსამართლებრივი-პოლიტიკური პროგრამის გაშუქებას პიროვნების



სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხში. ძირითადად განხილულია საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგიური მამამთავრების სისხლისსამართლებრივი შეხედულებანი და მოთხოვნები, ყურადღების განსაკუთრებული გამახვილებით ბეკარისა და მარატის მოძღვრებათა მიმართ, ამას მოსდევს იმდროინდელი ინგლისის, ამერიკის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიის, დანიისა და სხვა ქვეყნების იმ ბურჟუაზიულ-საკანონმდებლო დადგენილებათა მიმოხილვა, რომლებიც საკლევ საკითხებს შეეხება (გ 2). ეს მიმოხილვა განსაკუთრებულ ინტერესს იმით იწვევს, რომ ავტორი ბურჟუაზიულ კანონმდებლობათა განხილვის კვალდაკვალ არკვევს, თუ როგორ აისახა სისხლის სამართლის სხვადასხვა სკოლების იდეები მათში. წიგნის ამ ნაწილში მითითებულია იმ მნიშვნელოვან თეორიულ და კრიმინალ-პოლიტიკურ მისაზრებებზე, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საკანონმდებლო პოზიციის განსაზღვრაში.

ამის შემდეგ ავტორი სვამს უფრო ზოგად საკითხს, თუ რამდენად პროგრესულად გადაწყვიტა პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვის ამოცანა ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ. ამ საკითხზე ის იძლევა, ჩვენი აზრით, საგვებით მართებულ პასუხს, რომ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის საკანონმდებლო დადგენილებანი წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ნაბიჯს, გადადგმულ სისხლისსამართლებრივი წესით პიროვნების უფრო სრულყოფილი დაცვისაკენ. სისხლის სამართლის ბურჟუაზიული კანონმდებლობის პროგრესულ როლს ყველა აღზრინდელ კანონმდებლობასთან შედარებით დოქტ. ტ. ხორვატი იმაში ხედავს, რომ მან ისტორიულად პირველმა აღიარა პრინციპი, რომლის ამხედვით, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული მის სოციალურ მდგომარეობაზე.

ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს პირველი თავის მესამე პარაგრაფი, რომელიც გვაწვდის მეტად საინტერესო სურათს პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობისა ომის შემდგომი პერიოდის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. აქ განზოგადებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და უელსის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნორვეგიისა და ფინეთის ოფიციალური სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის მონაცემები. ამის შედეგად გაკეთებულია დასკვნები,

კერძოდ, ავტორი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება მრავალ ბურჟუაზიულ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ხვედრითი წილი დანაშაულობის ზრდის საერთო ფონზე.

ნაშრომის პირველ თავს დოქტ. ტ. ხორვატი ამთავრებს „ფეოდალურ-კაპიტალისტური უნგრეთის“ სისხლის სამართლის მიმოხილვით პიროვნების სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, აგრეთვე, ამ დანაშაულობათა დინამიკის ჩვენებით უნგრეთში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1938 წლამდე. უნგრეთის 1843 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისა და 1878 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კრიმინალ-პოლიტიკური საფუძვლებისა და საკოდიფიკაციო-ტექნიკურ თავისებურებათა გამორკვევის შემდეგ, ავტორი გვაწვდის სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის განზოგადების მონაცემებს, რომლებიც საინტერესოა ანტორიულ თვალსაზრისით და იძლევიან შესაძლებლობას შედარებულ იქნას ისინი თანამედროვე უნგრეთის სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებლებთან.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შედარებითი მეთოდის გამოყენებას სამართლის ყველა დარგში სხვა ქვეყნების პროგრესულ საკანონმდებლო მიღწევათა დაუხვლების თვალსაზრისით. ამიტომ დოქტ. ტ. ხორვატის წიგნს განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს მისი მეორე თავი, რომელშიც განხილულია სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის საკანონმდებლო დადგენილებანი პიროვნების სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორის ყურადღება სწორედ იმ მიმართულებით არის გამახვილებული, რომ გაითვალისწინოს უახლესი საკანონმდებლო მეთოდები და ტენდენციები.

წიგნის მე-3 თავში დოქტ. ტ. ხორვატი გვაწვდის საკმაოდ მდიდარ კრიმინოლოგიურ მასალას, რომელიც შეეხება დანაშაულობის მდგომარეობას სოციალისტურ უნგრეთში (1951—1961 წწ.).

მომდევნო ცენტრალურ თავს დოქტ. ტ. ხორვატი უძღვნის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების თეორიულ კვლევას.

განსაზღვრავს რა მკვლელობას, როგორც აღმაინის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ მოსპობას, ავტორი საჭიროდ თვლის უპირველეს ყოვლისა ნათლად წარმოადგინოს ამ დანაშაულის ობიექტი. მკვლელობის ჯგუფურ ობიექტად ის მიიჩნევს ერთობლიობას

საზოგადოებრივი ინტერესებისა, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას, უშუალო ობიექტად კი—ადამიანის სიცოცხლს. დოქტ. ტ. ხორვატი ახდენს ანალიზს სიცოცხლის ცნებისა; განსაზღვრავს, თუ რა უნდა იქნას მიხედული მის საწყის და საბოლოო მომენტებად.

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს მკვლელობის ობიექტურ მხარეს: საერთოდ, ყოველი დანაშაულის, და განსაკუთრებით ისეთი დანაშაულის ობიექტური მხარის ანალიზისას, როგორცაა მკვლელობა, საჭირო ხდება ბევრი რთული ცნების გამოყენება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან. ესენია: მოქმედება და უმოქმედობა, დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი და სხვ. დოქტ. ტ. ხორვატი ამ რთულ საკითხებზე სისხლის სამართლის მეცნიერების მზა-მზარეული დასკვნების გამოყენებას კი არ სჯერდება, არამედ თვით ეხება მათ საკმაოდ ვრცლად. განსაკუთრებით დაწვრილებით ის ჩერდება მკვლელობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხზე, რომლის შესახებ, ძირითადად, ჩვენი აზრით, სწორ დებულებებს ავითარებს.

არასაკმაოდ დამაჯერებლად მიგვაჩნია მხოლოდ დოქტ. ტ. ხორვატის შეხედულება იმ პირის პასუხისმგებლობის დასაბუთებაზე, რომლის ქცევა მკვლელობის დროს უმოქმედობაში გამოიხატა. ამ საკითხში ის ემხრობა იმ ავტორებს, რომლებიც უარყოფენ მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესაძლებლობას პირის უმოქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის და ამ შემთხვევებში პასუხისმგებლობის დასაბუთებას უმოქმედობის კაუზალურ მომენტში კი არ ეძიებენ, არამედ სხვა მომენტებში. დოქტ. ტ. ხორვატი პირდაპირ აცხადებს, რომ „დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობის დროს მიზეზობრიობას კი არ ემყარება, არამედ იმას, რომ ის არ იყო ჩართული მიზეზობრიობის იმ ჯაჭვში, რომელმაც საზოგადოებრივად საშიში შედეგი გამოიწვია და ხელს არ უშლიდა შედეგის დადგომას, თუმცა ამის შესაძლებლობაც ქონდა და მოვალეობაც ეკისრებოდა“ (გვ. 523).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უმოქმედობის დროს საფუძვლად უდებს უმოქმედობის მართლწინააღმდეგობას და არა მიზეზობრივ კავშირს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. საკითხის ამგვარად გადაწყვეტისას, ჩვენი აზრით, მას მხედველობიდან რჩება,

რომ მოქმედების მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში თვით მართლწინააღმდეგობა პირის ქცევისა გამომდინარეობს პირის მხრივ იმის შეუსრულებლობიდან, რასაც დასაბუთებულად მოელოდა მისგან საზოგადოება სოციალური ცხოვრების იმ უბანზე, რომელზედაც ის ჩართული იყო, მისი წინასწარი საქმიანობით, მოვლენათა კანონზომიერი განვითარების მიზეზობრივ ჯაჭვში. სხვა საქმეა, თუ პირი არ იყო წინასწარ ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების გეგმაზომიერი მიმდინარეობის პროცესში. ასეთ შემთხვევაში, პირის უმოქმედობას არ შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს მიზეზობრიობის მსგელოებაზე (მაგ., დანაშარების აღმოუჩენლობა). მაგრამ, თუ პირი ჩართულია ამგვარ ჯაჭვში და მიუხედავად ამისა უმოქმედობს, ის ხდება მიზეზი დამდგარი საზოგადოებრივად საშიში შედეგისა სწორედ იმით, რომ ამორთვება მოვლენათა კანონზომიერი მსგელობიდან და გზას უხსნის ახალ მიზეზობრიობას, რომელიც საზოგადოებრივად საშიშ შედეგს იწვევს. უმოქმედობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხის ამგვარ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს იმ თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც ახასიათებს სოციალური ცხოვრების სფეროში არსებულ მიზეზობრიობას წმინდა მექანიკური მიზეზობრიობისაგან განსხვავებით.¹

მკვლელობის თეორიული საკითხების განხილვისას დოქტ. ტ. ხორვატი საგანგებო ადგილს უთმობს განზრახვი ბრალის ანალიზს. განზრახვი ბრალის საკითხში ავტორი იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვით, განზრახვის შინაარსის განმსაზღვრელ მომენტს შეადგენს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება. ამას გარდა, მისი კვლევა ეხება შეგნებისა და ნებელობით — ემოციური ელემენტების ჩამოყალიბებას მკვლელობის პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვით ჩადენისას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. განზრახვი ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეულია შეცდომის იურიდიული ბუნება და მისი ცალკეული შემთხვევების თავისებურებანი (error in persona, error in obiecto, aberatio ictus და სხვ.); ნაჩვენებია ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება შეცდომის საკითხის გადაწყვეტას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის.

ნაშრომში მკვლელობის ანალიზის დროს დოქტ. ტ. ხორვატი ცალკე არ ჩერდება მკვლელობის სუბიექტის საკითხზე. როგორც ჩანს, ავტორი იზიარებს ჩვენი აზრით არც თუ უსა-

1. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М. 1963, стр. 238—283.

ფუძვლო შეხედულებას, რომლის მიხედვით დანაშაულის სუბიექტი მისი საერთო თვისებებით (ე. ი. უნარით პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით) არ განიხილება როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი.

ცნობილია, რომ იმისდა მიხედვით, თუ ბრალის რა ფორმით არის ჩადენილი მკვლელობა, რა გარემოებებში, ან სხვა რაიმე მომენტების მიხედვით, ყოველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მკვლელობის რამდენიმე შემადგენლობას აყალიბებს. ამიტომ საკვებით სწორად იქცევა დოქტ. ტ. ხორვატი, როდესაც უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მკვლელობის ცალკეულ შემადგენლობებს საგანგებოდ იხილავს თავისი წიგნის მეხუთე თავში. აქ ჩვენ ვეცნობით ავტორის მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება აფექტურ და გავლენის მიხედვით მკვლელობას, აგრეთვე მკვლელობის სხვა შემადგენლობებს.

ნაშრომის მთელ მანძილზე, გზადაზა, დოქტ. ტ. ხორვატი საფუძვლიანად იკვლევს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებს (იხ. მაგ. თავ. თავ. მე-4, მე-5), ხოლო წიგნის მე-6 თავი სპეციალურად ეძღვნება ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის, დაუმთავრებელი დანაშაულის, აგრეთვე, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა საკითხების განხილვას მკვლელობასთან დამოკიდებულებაში.

მკვლელობის იურიდიულ ანალიზს დოქტ. ტ. ხორვატი ამთავრებს სასჯელის დანიშვნისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხების განხილვით.

მკვლელობისაგან განსხვავებით, რომელიც პრობლემათა უფრო ფართო წრეს მოიცავს, სხეულებრივი ხელშეხებლობისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები დოქტ. ტ. ხორვატს ნაშრომის ერთ თავში აქვს თემოყრილად განხილული (მე-8 თავი), მაგრამ, ეს სრულებით არ უშლის მას ხელს ყველა ძირითად საკითხს შეეხოს. აღსანიშნავია, რომ ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა დაზარალებულის თანხმობა, საექიმო პროფესიული მოქმედების განხორციელება, სპორტული შეჯიბრების დროს პირის დაზიანება და სხვ. ეს საკითხები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პრობლემასთან დაკავშირებით იწვევს ჩვენს ინტერესს, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სფეროს განეკუთვნება. ამით აიხსნება, რომ მათ დაუმთავრებას კერძო ნაწილის მხოლოდ ერთი რომელიმე პრობლემისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ შემთხვევათა უფრო ფართო წრისათვის. მიუხედავად

ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ეს საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალური და ღრმა კვლევის საგანი. ამიტომ მათზე ყურადღების გამახვილება, თუნდაც მხოლოდ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით, უდავოდ ინტერესს იწვევს.

აღამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა დანაშაულთა რიცხვს არ მიეკუთვნება მხოლოდ ისეთი ქმედობანი, რომლებიც უშუალოდ აზიანებს შესაბამის ობიექტებს. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფად სისხლის სამართალში ითვლება მათთვის საფრთხის შექმნაც. ამიტომ დოქტ. ტ. ხორვატი ცალკე იხილავს ნაშრომის მეცხრე თავში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულებს. აქ ავტორი ახდენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ ნორმათა ანალიზს, რომლებიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულებს ითვალისწინებს. დოგმატურ კვლევასთან ახლავს შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ამის საფუძველზე შემუშავებული წინადადებანი.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულთაგან ავტორი ცალკე გამოყოფს უკანონო აბორტს, როგორც სოციალური ცხოვრების შეღავათით თავისებურ მოვლენას და განკერძოებულად განიხილავს წიგნის მეათე თავში მის სოციოლოგიურ, კრიმინალ-პოლიტიკურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს.

დოქტ. ტ. ხორვატი საკვებით სწორად განსაზღვრავს უკანონო აბორტებთან ბრძოლის ამოცანას სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ „...სისხლის სამართალი არ შეიძლება იყოს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების პირველადი საშუალება. ...სისხლისსამართლებრივი ბრძოლა უკანონო აბორტთან, პირველ რიგში ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს ემსახურება და მხოლოდ არაპირდაპირ ახდენს გავლენას მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ინტერესებზე“ (გვ. 524). მაგრამ, ჩვენ ძნელად დასასაბუთებლად მიგვაჩნია ავტორის წინადადება უკანონო აბორტის გამკაცრების გვერდით თვით იმ ქალის დასაცხისა, რომელმაც უკანონო აბორტი გაიკეთა. ამგვარ მოთხოვნას დოქტ. ტ. ხორვატი საფუძვლად უდებს პრევენციულ ამოცანას.

ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ პრევენციული ძალა იქონიოს სასჯელმა, მაგალითად, იმ ქალის მიმართ, რომელმაც სირცხვილის გრძნობის ან აღამიანის ფსიქიკის დამორგუნველი სხვა ძლი-

ერი მოტივის ზეგავლენით, გადაწყვიტა ჩანასახშივე მოესპო თავისი ნაყოფი. ასეთი ადამიანის პრევენციულ მოსაზრებებზე დაყრდნობით დასჯას არც ეთიკური გამართლება ექნებოდა, რადგან პირი, რომელიც უკანონო აბორტს იკეთებს, იმდენად დიდ საფრთხეს უქმნის თავის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რომ თითონვე გამოაქვს საკმაოდ მკაცრი განაჩენი საკუთარი თავისათვის. ამას გარდა, თვით ქალის მიმართ სასჯელის მუქარა იმიტომაც ვერ შეასრულებს პრევენციულ დანიშნულებას, რომ თუ ქალმა დაძლია მორალური მოთხოვნა და საკუთარი სინიღისის პროტესტი, რომლებიც აბორტებდნენ მის მიერ ჩანასახის მოსპობას, ძნელად მოსალოდნელია, რომ სასჯელის მუქარამ მოტივაციური ზეგავლენა იქონიოს მასზე.

ასეთია დოქტ. ტ. ხორვატის წიგნის შინაარ-

სი და ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება მის შესახებ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მიმოხილვა დოქტ. ტ. ხორვატის ნაშრომისა—„სიცოცხლის, სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვა“ მოწმობს, რომ წიგნში განხილული საკითხები ღრმად და სრულად, ამასთან სხვადასხვა ასპექტებსა და მიმართებებში არის გამოკვლეული. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ ის არა მარტო ხელს შეუწყობს უნგრული იურიდიული აზრის განვითარებას და ნაყოფიერ ზეგავლენას მოახდენს უნგრეთის მართლმსაჯულების ორგანოების პრაქტიკაზე, არამედ დამსახურებულად დაიჭერს თვალსაჩინო ადგილს სოციალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში.

3. მახაშვილი, მ. უგრეხელიძე.



პასუხისმგებლობა დანაშაულთა ეკთობლიობისათვის

გ. ტყეშელიაძის ნაშრომი „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის“, რომელიც „მეცნიერებაში“ 1965 წელს გამოსცა, ამ პრობლემისადმი მიძღვნილი პირველი ქართული მონოგრაფიაა. ნაშრომის გამოქვეყნება ძირითადად ორი თვალსაზრისით არის გამართლებული: ჯერ-ერთი, 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა და ახალმა სისხლის სამართლის კოდექსებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მანამდე მოქმედი ნორმები, რომლებიც დანაშაულთა ერთობლიობას შეეხებოდნენ და, ბუნებრივია, ახალი კანონმდებლობა თეორიულ განალიზებას საჭიროებდა. გარდა ამისა, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში სუსტად იყო დამუშავებული დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (ერთიანი ქმედობის, დანაშაულის ერთიანობის, დანაშაულთა ერთგვაროვნების და სხვ. საკითხები).

დანაშაულთა ერთობლიობა, როგორც ცნობილია, დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეა. ამიტომ სწორად იქცევა ავტორი, როცა ჯერ იკვლევს ერთიანი დანაშაულის ცნებას და შემდეგ განიხილავს დანაშაულთა სიმრავლეს. მეორე მხრივ, ერთიანი დანაშაულის ცნების კვლევისას ავტორს აინტერესებს ერთიანი დანაშაულისა და ერთიანი ქმედობის დამოკიდებულების გარკვევა. საკითხების ასეთი თანმიმდევრობა უდავოდ ლოგიკურია.

რა უნდა ჩათვალოს ერთიანი ქმედობის განმსაზღვრელ ნიშნად? ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველი თავის პირველი პარაგრაფი. რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტიკის ნ. სერგეევსკის აზრით, ერთიანი ქმედობის განმსაზღვრელი ნიშანი მოქმედის სუბიექტურ განწყობილებასა და ერთიანი გეგმის განხორციელებაში უნდა ვეძიოთ.¹ სარეცენზო ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ეს თვალსაზრისი და მოცემულია მისი კრიტიკა.

გ. ტყეშელიაძე უსაყვედურებს ნ. სერგეევსკის, რომ მას საკითხის მთელი სიძიძიმე სუბიექტურ მომენტზე გადაჰქონდა და „ყურადღებას გარეშე სტოვებდა იმ გარემოებას, რომ მოქმედება ხასიათდება ერთი მხრივ, ფიზიოლოგიური და

მეორე მხრივ, ფსიქოლოგიური მომენტებით“ (გვ. 12).

შემდეგ ავტორი დასძინს, რომ „სხეულის მოძრაობათა ერთიან მოქმედებად გამაერთიანებელი კრიტერიუმები უნდა ვეძიოთ არა მარტო სუბიექტურ სფეროში, არამედ ობიექტურ მხარეშიც... ამრიგად, სხეულის მოძრაობათა კომპლექსი ერთიან მოქმედებას გვაძლევს მაშინ, როდესაც მათ თავისთავად ძალუძთ, უნარი შესწევთ თავიანთ ერთობლიობაში გამოიწვიონ განსაზღვრული შედეგი (ობიექტური ნიშანი) და ამასთან, როდესაც მთელ ამ ერთობლიობასთან ახლავს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სწორედ ასეთ სხეულის მოძრაობათა კომპლექსს შეუძლია განახორციელოს დასახული მიზანი (სუბიექტური ნიშანი)“ (გვ. 13). ამ განსაზღვრებაში ხაზგასმულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება — ეს არის მოქმედების შედეგი. სხეულის მოძრაობათა კომპლექსი შეადგენს ერთიან მოქმედებას, თუ ამ ცალკეულ მოძრაობებს აქვთ უნარი, ე. ი. ძალუძთ გამოიწვიონ ესა თუ ის შედეგი. ა. თავს დაესხა ბ.-ს და სასიკვდილოდ დაჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ ა. მივიდა, ისარგებლა ბ.-ს სისუსტით და გაძარცვა. ნ. სერგეევსკის აზრით, აქ გვაქვს ორი მოქმედება და ორი დანაშაული. მაგრამ თუ ა. დაჭრა ბ. იმ განზრახვით, რომ ესარგებლა მისი სისუსტით და მეორე დღეს გაეძარცვა, მაშინ გვექნება ერთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ერთი მოქმედებით. ამ მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთიანი ქმედობა ერთიან დანაშაულს გულისხმობს და პირიქით. უნდა ითქვას, რომ გ. ტყეშელიაძემ დაძლია ნ. სერგეევსკის დებულების ნაკი და განავითარა შეხედულება, რომ ერთიანი ქმედობა და ერთიანი დანაშაული არ არის იდენტური ცნებები. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი ღრმა რწმენით, სავსებით სწორია.

ერთიანი დანაშაულის საკითხი დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემის თავი და თავია. თუ არ ვიცით რა არის ერთიანი დანაშაული, ყოველად შეუძლებელია ვიმსჯელოთ დანაშაულთა სიმრავლეზე. გ. ტყეშელიაძე ამ საკითხს გულდასმით იკვლევს. მაინც რა ნიშანი განსაზღვ-

¹ Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право. Часть общая, пособие к лекциям, Петроград, 1915, стр. 331.

რავს ერთიან დანაშაულს? აი, უპირველესი კითხვა, რომელიც ავტორმა დასვა. იქნებ ერთიანი დანაშაულის განმსაზღვრელი კრიტერიუმი შეიძლება იყოს დანაშაულის შემადგენლობის იმ ცალკეულ ელემენტებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც ახასიათებენ სუბიექტს, ობიექტს, სუბიექტურ მხარეს ან ობიექტურ მხარეს? დანაშაულის ერთიანობის განმსაზღვრელ ნიშნად, ცხადია, ვერ გამოდგება დანაშაულის სუბიექტი, რადგან ერთი დანაშაული შესაძლებელია ჩაიდინოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე პიროვნებამ ერთობლივად (თანამონაწილეობა). ამ საკითხს ვერც დანაშაულის ობიექტზე დაყრდნობით გადაწყვეტთ. საქმე ის არის, რომ ერთი დანაშაული ზოგჯერ რამდენიმე ობიექტის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგალითად, ყაჩაღობა (სსკ 96, 152 მ.მ) მიმართულია ორი ობიექტის — ადამიანის სიცოცხლისა და საკუთრების წინააღმდეგ. რაც შეეხება ობიექტურ მხარეს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთმა დანაშაულმა შეიძლება გამოიწვიოს ერთი ან რამდენიმე შედეგი.

ამგვარად, ყველა ამ ნიშნების თანმიმდევრულად განხილვისა და უწყვეტების შემდეგ ავტორი მიადგა მეოთხე ნიშანს — სუბიექტურ მხარეს. ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, ერთიანი დანაშაულის ცნებას საფუძვლად უნდა დაედოს ერთიანი ბრალი.² მაგრამ გ. ტყემელიაძეს არ აკმაყოფილებს საკითხის ასეთი გადაწყვეტა და მიუთითებს, რომ ერთიანი დანაშაული ყოველთვის არ გულისხმობს ერთიან ბრალს. მართლაც, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა ერთიანი დანაშაული ჩადენილია ბრალის ორი ფორმით. მაგალითად, ერთმა პიროვნებამ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა მეორეს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი სიკვდილი. სასამართლომ ცალკე უნდა დაადგინოს განზრახვა სხეულის დაზიანების მიმართ, ხოლო გაუფრთხილებლობა — სიკვდილის მიმართ (სსკ 110 მ. II ნ.). მასადასამე, ერთიანი დანაშაული — სხეულის მძიმე დაზიანების კვალიფიციური სახე აქ წარმოდგენილია ბრალის ორი ფორმით — განზრახვით და გაუფრთხილებლობით. შეიძლება ისეთი კომბინაცია, როცა ერთი შედეგის მიმართ უნდა დადგინდეს პირდაპირი განზრახვა, მეორე შედეგის მიმართ — არაპირდაპირი,

ევენტუალური განზრახვა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ეს შეხედულება არა მარტო სისხლის სამართლის თეორიაში გავრცელდა ფართოდ,³ არამედ მან კანონმდებლობაშიც დომინანტურა საპატიო ადგილი. საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის ფორმულირება, რომელიც შერეული ბრალის საქონმდებლო რეგლამენტაციის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს.

მაგრამ შერეული ბრალის თეორიის წარმომადგენლები და, მათ შორის, სარეცენზიო წიგნის ავტორიც ამ დებულებას ცოტა სხვაგვარად ასაბუთებენ. გ. ტყემელიაძეს შერეული ბრალის მაგალითად დასახელებული აქვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის. ავტორის მიაჩნია, რომ „ამ დანაშაულის ჩადენისას ცალ-ცალკე დადგენილ უნდა იქნას ბრალი უსაფრთხოების წესების დარღვევისადმი და ბრალი დამდგარი შედეგების მიმართ. მძიმე შედეგების დადგომისას ეს დანაშაული, როგორც წესი, გულისხმობს ორმაგ ბრალს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას“ (გვ. 21). ცოტა ქვემოთ ავტორი მიუთითებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლზე და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და დასძენს, რომ „საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში თვით მოქმედების მიმართ, ხოლო დამდგარი შედეგების მიმართ ბრალი შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი“ (გვ. 22).

ჩვენი აზრით, შერეული ბრალის ასეთი დასაბუთება არ უნდა იყოს ზუსტი. ბრალი არის დანაშაულის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარი ან მოსალოდნელი შედეგისადმი. ამიტომ ბრალი როდი დგინდება ცალ-ცალკე ჯერ მოქმედების და მერე შედეგის მიმართ. მოქმედების შეგნებულად ჩადენა ჯერ კიდევ არ წყვეტს ბრალის საკითხს.⁴ გ. ტყემელიაძის მსჯელობას თუ გავყვებით, მაშინ შერეული ბრალის სფერო უსაფუძვლოდ გაფართოვდება. მაგალითად, შერეული ბრალი უნდა გვეცნო გაუფრთხილებლობის ყველა იმ შემთხვევაში, როცა მოქმე-

² А. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву, Москва, 1960, стр. 18.

³ А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, Москва, 1957, стр. 112—114; Советское уголовное право, Часть общая, Москва, 1962, стр. 155—159; Советское уголовное право, часть общая, Москва, 1964, стр. 138—139; Е. В. Кичигина, Ответственность за нарушение безопасности движения городского транспорта, Москва, 1966, стр. 74—75.

⁴ იხ. ამ საკითხზე თ. წერეთელი, დანაშაულის მოზარდება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 175; თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, „მეცნიერება“, 1965, გვ. 43-44.

დება შეგნებულადაა ჩადენილი და შედეგი გაუფრთხილებლობით დადგა.⁵

გარდა ამისა, უსაფრთხოების წესების დარღვევის ბრალი კი არ უნდა დადგინდეს, არამედ უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა პიროვნებას იმის შეგნება, რომ მისი მოქმედება არღვევდა ტრანსპორტზე მოძრაობის წესებს, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრალის დადგენას. ამით დადგინდება მხოლოდ ბრალის ერთი ელემენტი — მართლწინააღმდეგობის შეგნება. ბრალის საბოლოოდ დასადგენად კი საჭიროა ვიმსჯელოთ იმ შედეგებზე, რომლებიც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა უსაფრთხოების წესების დარღვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის ყველა სატრანსპორტო დანაშაული ბრალის ორი ფორმით იქნებოდა ჩადენილი. კიდევ მეტი, თვითიმედოვნების ყველა შემთხვევა შერეული ბრალის მაგალითად გამოდგებოდა. მაშასადამე, შერეული ბრალი იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ერთზე მეტი შედეგი დადგა.

მაგრამ, ამ შენიშვნის მიუხედავად, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს იმ კრიმინალისტებს, რომლებიც დანაშაულის ერთიანობის ცნების განსაზღვრისას ერთიან ბრალს ემყარებიან. ერთიანი ბრალი არ არის ერთიანი დანაშაულის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანი, ასეთია ავტორის საბოლოო დასკვნა. მართლაც, თვით ფაქტი შერეული ბრალისა, როგორც არ უნდა გვესმოდას იგი, იმის ნათელი დადასტურებაა, რომ დანაშაულის ერთიანობის განმსაზღვრელი ნიშნის სუბიექტურ სფეროში ძიება თავიდანვე ფუჭ და უნაყოფო შრომად უნდა ჩაითვალოს.

ახლა საინტერესოა განვიხილოთ ამ საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა. მისი აზრით, დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით განისაზღვრება: „ერთიანი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც განხორციელდება ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. ერთიანი დანაშაულისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, განხორციელ-

და იგი ერთი, თუ რამდენიმე მოქმედებით. მთავარია, რომ იგი წარმოადგენდეს ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაციას“ (გვ. 23).

საკითხის ასეთი გადაწყვეტა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირველად გვხვდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს დებულება არა მარტო ახალია და ორიგინალური, არამედ ავტორმა მისი დახმარებით საკმაოდ დამაჯერებლად გადაჭრა სადავო საკითხი. დამაჯერებლობა არ აკლია აგრეთვე შრომის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული დებულება თავის ძალას ინარჩუნებს თანამონაწილეობის დროსაც. ხშირია შემთხვევა, როცა რამდენიმე სუბიექტის მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული, მაგრამ თითოეული თანამონაწილის მოქმედება შესაბამეობა დანაშაულის სხვადასხვა შემადგენლობას. „ასეთ შემთხვევაში, — ვითხოვლობთ ნაშრომში, — იმის დასადგენად, ერთი დანაშაულია ჩადენილი თუ რამდენიმე, უნდა გამოვიდეთ შესაბამისი დანაშაულის ძირითადი შემადგენლობიდან. თუ თანამონაწილეთა მიერ განხორციელებული დანაშაული თავისთავად ერთი ძირითადი შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, ეს საფუძველს იძლევა დაავსკვნათ, რომ ჩადენილია ერთი დანაშაული“ (გვ. 25). უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება ახლა თანდათან მკვიდრდება საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში.⁶

მაგრამ ერთიანი დანაშაულის ცნების დადგენა საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხრივ უნდა დადგინდეს, თუ რა არის დანაშაულთა სიმრავლე და რა დამოკიდებულებაშია ის დანაშაულთა ერთობლიობასთან. დანაშაულთა ერთობლიობა რომ დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეა, ამას მტკიცება არც ესაჭიროება, რადგან ერთობლიობა გულისხმობს ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. მაშ, რაშია განსხვავება? გტყუშელიაქე დაწვრილებით იხილავს დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეებს, კერძოდ, განმეორებას და რეციდივს. მისი მსჯელობა ამ საკითხზე მწყობრია და თანმიმდევრული. განმეორებაში იგი ანსხვავებს არაერთგვაროვან, ერთგვაროვან და სპეციალურ განმეორებას. ხოლო რეციდივში — არაერთგვაროვან, ერთგვ-

⁵ მაგალითად, ა. ტრაინინს მიაჩნია, რომ სატრანსპორტო დანაშაული, თუ მას საზიანო შედეგები მოჰყვა, ყოველთვის ბრალის ორი ფორმით ხასიათდება: განზრახვა პლუს გაუფრთხილებლობა ან გაუფრთხილებლობა პლუს გაუფრთხილებლობა.

А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления. Москва, 1957, стр. 113.

⁶ В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, Москва, 1963, стр. 280.

როგან, სპეციალურ და განსაკუთრებით საშიშრეციდებს. დანაშაულთა ერთობლიობის ცნებასთან დაკავშირებით ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს ა. იაკოვლევს, რომელსაც არასწორად ესმის, ჯერ-ერთი, დანაშაულთა ერთგვაროვნებისა და არაერთგვაროვნების ცნებები და აქედან გამომდინარე იგი აბსოლუტურად უპირისპირებს ერთმანეთს ერთობლიობას და განმეორებას. ა. იაკოვლევის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობა გვაქვს არაერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენის დროს, ხოლო ერთგვაროვანი დანაშაულები განმეორებას ქმნიან. თანაც არაერთგვაროვნება გამოწვეულია იმით, რომ მასში შემავალი დანაშაულები კანონის სხვადასხვა მუხლებითაა გათვალისწინებული.⁷

გ. ტყეშელაძე სამართლიანად ეწინააღმდეგება ამ აზრს, იგი ასაბუთებს, რომ ხშირად ერთგვაროვანი სწორედ ისეთი დანაშაულებია, რომლებიც კანონის სხვადასხვა მუხლებით არის გათვალისწინებული. აღნიშნული დებულების დასაბუთებისას ავტორი ეყრდნობა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილებას.

დანაშაულთა ერთობლიობისა და დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციისათვის. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭირო იყო ავტორის უფრო ფართოდ გაეშუქებია ის საკითხი, თუ როდის ემთხვევა დანაშაულთა ერთობლიობა სიმრავლის სხვა სახეებს და როდის უპირისპირდებიან ისინი ერთმანეთს. მაგალითად, რეციდივის ყველა სახე ყოველთვის გამორიცხავს ერთობლიობას, რადგან რეციდივი ფულისხმობს წინა დანაშაულისათვის სასამართლობას, ხოლო ერთობლიობის შემთხვევაში ორი ან მეტი დანაშაული ჩადენილია თითოეულ მათგანზე განაჩენის გამოტანამდე. ახლა განვიხილოთ ერთობლიობა და დანაშაულთა განმეორება. განმეორება ნიშნავს იმას, რომ ახალი დანაშაული ჩადენილია წინა დანაშაულის დამთავრების შემდეგ. მაშასადამე, იდეალური ერთობლიობა და განმეორება ყოველთვის გამორიცხავენ ერთმანეთს. დაგვრჩა განსახილველი მხოლოდ ერთი შემთხვევა — რეალური ერთობლიობის და განმეორების დამოკიდებულება. რეალური ერთობლიობა და განმეორება თითქოს ყოველთვის უნდა ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მიუხედავად ამისა, აქაც შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევა, როცა

თითოეული დანაშაული თუმცა დამოუკიდებელი მოქმედებითაა ჩადენილი, მაგრამ განმეორება არა გვაქვს. მაგალითად, დეზერტირმა ჩაიდინა მკვლელობა, ვიდრე მისი დანაშაული, ე. ი. დეზერტირობა არ დამთავრებულა. აქ ერთობლიობა არის, მაგრამ არ არის განმეორება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება დაუშვებელია. ამრიგად, მხოლოდ რეალური ერთობლიობა და განმეორება შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს.

ნაშრომის მესამე თავში გაშუქებულია დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები. მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასჯელთა შთანქმის, ისე სასჯელთა შეჯამების პრინციპი. მაგრამ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ როდის უნდა გამოიყენონ შეჯამების პრინციპი და როდის შთანქმის პრინციპი. ავტორი გვთავაზობს თავის თვალსაზრისს. რეალურ ერთობლიობას იგი ჰყოფს: 1) ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობად და 2) სუბიექტის ერთიანობით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობად. შემდეგ ანსხვავებს: 1) განზრახი ბრალით დაკავშირებულ იდეალურ ერთობლიობას და 2) გაუფრთხილებლობით ან ბრალის სხვადასხვა ფორმით დაკავშირებულ იდეალურ ერთობლიობას. ავტორი ეყრდნობა ამ კლასიფიკაციას და გამოისტეჟავს აზრს, რომ „სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამება გამოყენებული უნდა იქნას მაშინ, როდესაც ბრალდებულს ჩადენილი აქვს ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობაში შემავალი დანაშაულებანი ან იდეალური ერთობლიობაში შემავალი განზრახი ბრალის მქონე დანაშაულებანი“ (გვ. 124). სხვა შემთხვევაში მეტწილად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასჯელთა შთანქმის პრინციპი.

ჩვენ ეს კლასიფიკაცია თავისთავად სწორად მიგვაჩნია, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, შეიძინევა ერთი უზუსტობა. ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია სასჯელის განსაზღვრაზე თითოეული დანაშაულისათვის, აღნიშნულია, რომ „ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მეორე დანაშაული განვიხილულ უნდა იქნას როგორც

7 А. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву. Москва, 1960, стр. 46—47.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. იაკოვლევს დღესაც ამავე თვალსაზრისზე დგას. იხ. А. М. Яковлев, Борьба с рецидивной преступностью. Москва, 1964, стр. 8.

დამამძიმებელი გარემოება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლობასთან და აგრეთვე მაშინ, როდესაც იდეალურ ერთობლობაში შემავალი თითოეული დანაშაული განზრახი ბრალით ხასიათდება. აქ უკვე ჩადენილ დანაშაულთა ღრმა სუბიექტური კავშირი შესაძლებლობას იძლევა ერთ დანაშაულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა მივიანიტოთ მეორე დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს“ (გვ. 109-110). რჩება შთაბეჭდილება, თითქოს პასუხისმგებლობას ჯერ ის გარემოება ამძიმებს, რომ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, რომლებიც ქმნიან ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლობას ან განზრახი ბრალით დაკავშირებულ იდეალურ ერთობლობას. შემდეგ კი მოსამართლეს აქვს უფლება გამოიყენოს კიდევ სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპი. ამრიგად, მივიღეთ პასუხისმგებლობის ორმაგი დამამძიმება ერთი და იმავე საფუძველით, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. გარდა ამისა, ვერ დავეთანხმებით დებულებას, თითქოს ერთობლობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მეორე დანაშაული განხილული უნდა იქნას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მაშინ, როდესაც გვაქვს ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლობა ან განზრახი ბრალით დაკავშირებული იდეალური ერთობლობა. როგორც ცნობილია, კანონი იძლევა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავ ჩამოთვლას, ასეთი რამ კი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში გათვალისწინებული არ არის. ავტორს შეეძლო ეს საკითხი წამოეყენებია *de lege ferenda*. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ, ეს არის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის პირველი პუნქტი, ე. ი. როცა ერთობლობით ჩადენილი დანაშაულები ამავე

დროს განმეორებასაც ქმნიან. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლობა არ ემთხვევა განმეორებას, მაშინ დაუშვებელია 39-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება. რაც შეეხება იდეალურ ერთობლობას, როგორც ზემოთ დავინახეთ, აქ აღნიშნული პუნქტი არასდროს არ გამოიყენება.

აღნიშნულის გამო ჩვენ ვიზიარებთ გ. ტყეშელიაძის იმ დებულებას, რომ ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლობის და განზრახი ბრალით დაკავშირებული იდეალური ერთობლობის დროს უმთავრესად უნდა მივმართოთ სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპს. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს სხვა შემთხვევაში აუცილებლად შთანქმის პრინციპი უნდა იქნას გამოყენებული.

სარეცენზიო ნაშრომში დაწვრილებით არის გაანალიზებული მოქმედი კანონმდებლობა. გამოთქმულია მეტად საყურადღებო კრიტიკული მოსაზრებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების (1958) 35-ე მუხლში გაპარულ უზუსტობათა გამო. წამოყენებულია რამდენიმე საგულისხმო წინადადება *de lege ferenda*. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ავტორს უხვად გამოუყენებია სასამართლო პრაქტიკის მასალები. ნაშრომი კიდევ უფრო მოიგებდა, მასში რომ მოცემული იყოს საკითხის განვითარების ისტორია. არ არის განხილული სხვა სოციალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობა.

საზოგადოდ უნდა ვაღიაროთ, რომ გ. ტყეშელიაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლობისათვის“ დაწერილია მაღალ თეორიულ დონეზე და ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში დღემდე გამოქვეყნებულ ყველა იმ ნაშრომთა შორის, რომელიც ამ პრობლემას ეხება.

მ. ბაჩყალიძე

დაქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა ყველას და თვითონის საქმეა

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება


27 ოქტომბერს გაიმართა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება „დამნაშავეობის მდგომარეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდინონმა.

ყველასათვის ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა განსახილველად ამ კრებაზე — თქვა ამხ. როდინონმა. საქმე რა თქმა უნდა, ისე როგორც, თითქოს ჩვენს რესპუბლიკაში რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყო, თითქოს ჩვენთან განსაკუთრებით ცუდად იყოს დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე, სრულებითაც არა. მიზეზები რომელთა გამო სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ განსახილველ პრობლემას, სავსებით ემთხვევა მოტივებსა და მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს პარტიისა და მთავრობის 1966 წლის 23 ივლისის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ძირითადი მოტივი და ძირითადი მიზეზი, მოკლედ რომ ვთქვათ, ის არის, რომ კომუნისმის მშენებლობის დროს სულ უფრო მწვავედ უნდა იდგეს და ჩვენი პარტია აყენებს კიდევ სოციალისტური კანონმდებლობის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შეგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში განსაკუთრებულ დიდმნიშვნელოვან სოციალურ ამოცანად არის მიჩნეული მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევის ამოძიების, დამნაშავეობისა და მისი წარმოშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრის პრობლემა, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეობის თავიდან აცილებას. ამ საპროგრამო მოთხოვნების შესრულება პარტიისა და მთავრობის

შეუნელებელი ყურადღების საგანია. ამის ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა სკკპ XXIII ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება სახელმწიფო მართვისა და სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში, სოციალისტური დემოკრატიის საერთო განვითარების შესაბამისად, აგრეთვე საკითხი მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ ამ აუდიტორიაში საჭირო არ არის დავჭრილებით ვილაპარაკო იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი ადამიანების შეგნება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. პარტიის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა სწორედ ახალი ადამიანის აღზრდა. საბჭოთა ადამიანმა, რომელიც წარმატებით აგრძელებს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელი მებრძოლი თაობის რევოლუციურ ტრადიციებს, წარმატებით ააშენა სოციალიზმი, გაიმარჯვა ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, დაიცვა რევოლუციის დიდი მონაპოვრები და ახლა ისტორიაში პირველად წარმატებით ააშენებს კომუნისმს. სოციალიზმის გამარჯვებით უდიდესი გადატრიალება მოხდა ადამიანთა შეგნებაში. ეს არის პარტიის გიგანტური, დუნცხრომელი საქმიანობის შედეგი, და აქვე უნდა ითქვას, ამოღ ცდილობენ ზოგიერთნი, მათ შორის ტარსისის, დანიელისა და მისთანათა ტიპის გარეწრები ეჭვს ქვეშ დააყენონ ან ხაზი გადაუსვან ამ საქმიანობის კეთილნაყოფიერ, განსაცვიფრებელ შედეგებს. ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უსაზღვროდ გაიზარდა საბჭოთა ადამიანი და ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის წინ მსოფლიოს აოცებს თავისი მაღალი მორალური თვისებებით, ახალი გმირული საქმეებით სამშობლოს სასახელოდ, კომუნისმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ადამიანების უმრავლესობას ღრმად ესმის თავისი პატრიოტული ვალი, მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობანი. საბჭოთა კავშირის, მათ შორის ჩვენი ორგანიზაციებისა და რესპუბლიკის მუშათა კლასი, კომუნურ-



ნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, გვიჩვენებენ მაღალი სოციალისტური შეგნებულობის, თავდადებული შრომის, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ენერგიული ბრძოლის, სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითს.

ახლანან ზემით, დიდ აღმავლობით აღვნიშნეთ რესპუბლიკაში დიდი დღესასწაული — გენიალური ქართველი პოეტის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ეს სახელოვანი იუბილე ზემით აღნიშნა აგრეთვე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა. დიდი კმაყოფილების გრძობით აღვივსეთ იმასთან დაკავშირებით, რომ შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში გახსნა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრუნევემა და რომ პოუზის დიდი რაინდის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ახლა ვეგებებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავის ნათელ დღესასწაულს და თუ დღეს განვიხილავთ საკითხს დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, გამსჭვალული ვართ ყველაზე საუკეთესო განზრახვით, გულწრფელად ვზრუნავთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ დამნაშავეობა და მისი წარმოშობი მიზეზები, რათა ხულიგნები და მართლწესრიგის სხვა დამრღვევები თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით ჩრდილს არ აყენებდნენ მშრომელთა შემოქმედებითი შრომას, დასვენებასა და განწყობილებას, რათა ჩვენი დღესასწაულები უფრო სასიხარულო იყოს.

მოსხენებაში შემდეგ გაანალიზებულია, თუ როგორ იბრძვიან რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ, დაწვრილებით გაშუქებულია ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, აღმინისტრაციული ორგანოების წინაშე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და აღმნაშავეობის აღმოფხვრის, მშრომელთა აქტივობის განვითარებისათვის ამ საქმეში მოსახლეობაში აღმზრდელობით მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი სახელმწიფო კვლავაც ფართოდ გამოიყენებს დარწმუნებისა და აღზრდის, სამართალდარღვევის თავიდან აცილების მეთოდებს, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო უარს ვერ იტყვის ვერც იძულებით ღონისძიებებზე იმ პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ დისციპლინასა და საზოგადოებრივ წესრიგს, და მითუმეტეს ბოროტმოქმედთა მიმართ. ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს,

ქმნიან პირობებს ხულიგნობისა და სხვა იმ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების გადაჭრით აღმოფხვრისათვის, რომლებიც არ უნდა ხდებოდეს საბჭოთა მიწა-წყალზე. მომხსენებელმა მოიყვანა ვ. ი. ლენინის ცნობილი გამოთქვამები იმის შესახებ, რომ ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი მერყეობა, ყოველგვარი სენტიმენტალობა მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პერზონიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში ჩვენი პარტიისათვის დამახასიათებელი პრინციპულობითა და პირდაპირობით აღნიშნულია ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში გვაქვს. აგრეთვე ისიც, რომ ცალკეულ პირთა უარყოფითი საქციელი მნიშვნელოვანწილად აიხსნება ბევრი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების სუსტი მუშაობით ჩვენი საზოგადოების წევრებში შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის, იმითაც რომ ისინი ჭეროვანი აქტივობით არ იბრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის; იმით, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების საქმიანობის დონე ჩამორჩება გავრდილ მოთხოვნებს.

ჩვენ, პირველად როდი განვიხილავთ ამ საკითხს. შევასხენებთ, რომ ამავე დარბაზში 1964 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიედგინა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ ხანს მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია გაძლიერდეს ბრძოლა დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ რესპუბლიკაში. ამის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, ვითარება გარკვეულად გაუმჯობესდა, კერძოდ, საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებასთან ბრძოლაში და ზოგიერთ სხვა საკითხში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ ძირეულად გავაუმჯობესოთ დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ამს. როდინოვმა მოიყვანა კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ გამოძიებისა და სასამართლო ვარჩევის პრაქტიკაში არის შეცდომები და ხარვეზები, ხშირად გა-

ნაჩენი იცვლება და უქმდება, ბოროტმოქმედების ჩამდენ დამნაშავეებს უფარდებენ კანონით დადგენილ ფარგლებზე ნაკლებ სასჯელის ზომებს. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების ესა და სხვა შედეგები და სარგებები უარყოფითად მოქმედებენ დამნაშავეობის, მათ შორის განსაკუთრებით საშიში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა მოქალაქეთა მრავალი სურვილი და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ და მიიღო სპეციალური ბრძანებულება, რომლითაც დაწესდა გაძლიერებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხულიგნური მოქმედებისათვის, გათვალისწინებულია ხულიგნობის შესახებ საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის შემჭიდროებული ვადები.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ბრძანებულება, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ. უნდა განვამტკიცოთ პირველი დადებითი შედეგები და განუწყვეტლივ გავაძლიეროთ ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ დამტაცებლებს, თაღლითებსა და კომბინატორებს, თქვა მომხსენებელმა, რომლებიც ძარცვავენ ხალხსა და სახელმწიფოს.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება მიაქცია გზებსა და ტრანსპორტზე უბედური შემთხვევების აღმოფხვრას.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა, რომ ფართოდ უნდა ჩავაბათ საზოგადოებრიობა დამნაშავეობის აღმოფხვრისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში.

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ რაც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. უდავოა, რომ ისინი დიდ როლს ასრულებენ მართლწესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვაში, განსაკუთრებით ხულიგნური მოქმედების თავიდან აცილებასა და აღკვეთაში. ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა 2.100 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული, რომლებშიც 75 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს დიდი ძალაა და თუ იგი გონივრულად და სრულად გამოვიყენებთ, შეიძლება კარგ შედეგებს მივაღწიოთ.


ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სახალხო რაზმეული ამ ბოლო დროს ნაკლებ აქტიუობას იჩენს მართლწესრიგის დარღვევათა აღკვეთაში და ყოველნაირი ხულიგნებისა და დებოშირების აღაგმავაში. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც წაყენებული აქვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას, განსაკუთრებით მწვავედ დგება სოციალისტური კანონიერების უზუსტესად დაცვის საკითხი. ვ. ა. ლენინი დაბეჭდილებით მოთხოვდა, რომ გადაწყვეტილება ყოველი საქმის გამო გამოხატავდეს რბივტურ ქეშმარიტებას, იყოს მთლიანად დასაბუთებული, მიუთითებდა რომ საჭიროა საქმეების სრული და ყოველმხრივი გამოძიება და სასამართლო განხილვა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზუსტად განვანორციელოთ ზემოაღნიშნული პრინციპები.

იმ ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომლებიც პარტიამ დასახა დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ყველა რგოლში მუშაობდნენ პროფესიული ცოდნით აღჭურვილი კადრები, რომლებსაც აქვთ ცნობრების გამოცდილება, იჩენენ დიდ პარტიულ პრინციპულობას. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოთა შემადგენლობა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ამასთან კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას.

რომ აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობაში და პარტიის მაღალ მოთხოვნათა დონეზე ავიყვანოთ იგი, საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებისადმი. ბევრი პარტიული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას და ეს ყურადღება სავსებით ნაწლურდება დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებელთა გაუმჯობესების მეოხებით. მომხსენებელმა მოიყვანა პარტიის რუსეთის საქალაქო კომიტეტისა და პარტიის თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიკომის, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ნაყოფიერი აქტიური საქმიანობის მაგალითები, მაგრამ ბევრი პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ არ უთმობს საკმარის ყურადღებას ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას. არ იჩენს საჭირო ზრუნვას ამ ორგანოების მუშათა შრომისა და ყოვანცხოვრების პირობებისათვის.

დასასრულს ამხ. როდიონოვმა საზი გაუსვა, რომ დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღმოფხვრის ამოცანას მარტო ადმინისტრაციული ორგანოები ვერ გადა-



წევრები. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა, დამნაშავეობის ლიკვიდაცია მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი და დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

საქმე ეხება, ამხანაგებო, იმას, რომ შევქმნათ დამნაშავეობისა და მისი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის ერთიანი და მძლავრი ფრონტი. მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებსაც პარტია გვისახავს. ჩვენი პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მუშაკის ღირსების საქმეა ყველაფერი იღონონ, რათა ცალკეული გარეწრები, ვახრწნილი და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ადამიანები, რომელნიც უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ, თავიანთი დანაშაულებრივი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებით სახელს არ უტეხდნენ ჩვენს შესანიშნავ, დიდად ნიჭიერ ხალხს, რომელსაც რუსთაველის მშვენიერი ტრადიციები, გმირული ტრადიციები, შრომითი, რევოლუციური ტრადიციები აქვს, ხალხს, რომელიც ერთიან ძმურ საბჭოთა ოჯახად თავდადებით შრომობს კომუნისტების გამარჯვებისათვის.

ამხ. როდნიონოვის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობა გასწიეს საქართველოს დედაქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, პროკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აღმინისტრაციულმა ორგანოებმა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

მუშაობის გაუმჯობესებამ ამ მიმართულებით შესამჩნევი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობის შემცირებაზე.

დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად ქალაქში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის, სისხლის სამართლის დანაშაულებათა ფაქტები. დამნაშავეთა გარკვეულ ნაწილს ისინი შეადგენენ ვინც არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ამასთან დაკავშირებით ორატორმა დააყენა საკითხი, რომ ვინც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, კი არ გაასახლონ ქალაქიდან, არამედ სამუშაოდ

გაგზავნონ იმავე ქალაქში სამშენებლო ობიექტებზე.

აფხაზეთის მშრომელებმა, თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. მ. გომონიძემ, ერთსულთა ვნად მოიწონეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგისა განმტკიცებისათვის, ეს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს.


გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ იქ, სადაც პარტიული კომიტეტები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში აბაძენ ფართო საზოგადოებრიობას. ამის მაგალითია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა.

სწორი არ იქნება, თქვა შემდეგ ამხ. გოგონიამ, თვალი ავარიდოთ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რაც სწორად არის აღნიშნული მოხსენებაში, დამნაშავეობის დონე აქ კვლავ მაღალია. პარტიის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პროკურატურასთან და სხვა აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დასახეს და კონკრეტულ ღონისძიებებს ანხორციელებენ, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და დამნაშავეობის აღსაკვეთად. თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის 49 წლისთავს აჭარის მშრომელები.

მაგრამ ეს წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. მ. უკლებამ, შესანიშნავ ადამიანებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად ჯერ კიდევ რომ არ გვხვდებოდნენ ისეთები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, ჩირქს სცხებენ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის საპატიო სახელს.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ მშრომელთა ფართო მასები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სახელმწიფო მართვისა და სახალხო მეურნეობის სფეროში სახელმწიფო დისციპლინის როლის განმტკიცებასთან ერთად, თქვა საქართველოს სსრ პროკურორმა ბ. მ. ზემინიძემ.



ლმბ, პროკურატურის ორგანოებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოთ მეთვალყურეობის გაწევის დარგში კანონიერების დაცვისათვის. სუსტად წარმოებს ბრძოლა თვალისახვევისა და წარმატებების წინააღმდეგ.

დანაშაულისა და კანონიერების დარღვევის თავიდან აცილება ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო მუშაობის ნაწილია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში. თუ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველი ხელმძღვანელი ჯეროვანი პასუხისმგებლობით მოეკიდება თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულებას, ხოლო პარტიული ორგანიზაციები აამაღლებენ მათდამი მომთხოვნელობას, ბოლო მოეღება უყიარათობას, გამფლანგველობას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივ განიავებასა და დატაცებას.

საკმაოდ აქტიურად არ მუშაობს პროკურატურა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში. პროკურატურის მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ მიადრწეს მალა ოპერატიულობასა და შემდეგ ხასიათს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **მ. მ. ლაშქარაშვილი** შეეხო არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. მან აღნიშნა: მას შემდეგ რაც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, მნიშვნელოვნად გაძლიერდა აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობასთან, პარტიული ორგანიზაციები უფრო დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ საკითხს. მაგალითად, პარტიის კალენინისა და კიროვის რაიკომები რეგულარულად აწყობენ განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების შეხვედრებს მშობლებთან, რამაც მეტად დადებითი შედეგი მოიტანა.

მაგრამ გაწეული მუშაობა საქმარისი არ არის. ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა მოზარდ თაობასთან სკოლებსა და ბავშვთა საცხოვრებელ ადგილებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა **ს. მ. ჯორჯანიძემ** აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. თბილისის უნივერსიტეტში დიდ მუშაო-

ბას ეწევიან, რათა ახალგაზრდობას განუმარტონ პარტიისა და მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. სტუდენტების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყველა შემთხვევას განიხილავენ კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, დამრღვევთ სჯიან, ზოგჯერ უნივერსიტეტიდანაც კი რიცხავენ.

მაგრამ, თქვა შემდეგ ორატორმა, იმას ვერ ვიტყვით, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უკვე მიღწეულია სასურველი შედეგები.

უნივერსიტეტის პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რექტორატმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპებისადმი პატივისცემის, სამშობლოს ერთგულების, ამხანაგობის სულისკვეთებით.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე—თქვა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა **მ. ბ. შამხარაშვილმა**, პარტია და მთავრობა დღის წესრიგში აყენებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და გადაუდებელ ამოცანას. ამას მოწმობს მიღებული გადაწყვეტილებანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკებმა გარკვეული მიღწევები მოიპოვეს. მიმდინარე წელს დაპატიმრებულია ქურდების, მძარცველების, მოძალადეების რამდენიმე ჯგუფი. მხილებული არიან საქმისნები და კომბინატორები, რომლებიც ორგანიზებულად იტაცებდნენ სახელმწიფო სასრებს.

დიდი მუშაობა გაწეული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა კადრების განმტკიცებისათვის, მათი რიგები შეივსო ნაცადი, გამოცდილი მუშაკებით, რომლებმაც კარგი სახელი მოიხვეჭეს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო სამუშაოზე. ჩვენი მუშაკების უმრავლესობა მამაცი, თავდადებული, პარტიის, ხალხის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები არიან. სწორედ ასეთ მუშაკებს საზოგადოებრიობასთან ფართო კონტაქტით შეუძლიათ გადაჭრან ხულიგნობის, ყოველნარი დამნაშავეობის აღმოფხვრის ამოცანა.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის



მუშაობაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში ამ ჯგუფის თავმჯდომარემ **ნ. რუმანოვიმ**.

ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, გამოშვებულია დაახლოებით 5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მაგრამ, თქვა 26 კომისიის სახელობის რაიონის პირველმა მდივანმა **თ. ი. მოსაშვილმა**, რაიონის მშრომელები უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევდნენ მათთვის ხელი რომ არ შეეშალა ცალკეულ ადამიანთა დანაშაულებრივ ელემენტთა უსინდისო მოქმედებას.

სწორედ ამიტომ რაიონის მშრომელებმა დღედაღამ მოიწონეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მათ ესმით, რომ დროა სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც უღირსი მოქმედებით ხელს უშლის საბჭოთა ადამიანს — კომუნისმის მშენებელს — შრომასა და დასვენებაში.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რაიონის ტერიტორიაზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ი. ბაჩმაჯიანმა** თქვა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა, აღმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ოლქში შემცირდა დამანაშავეობა. ამავე პერიოდში სამხრეთ ოსეთში არ ყოფილა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის არც ერთი შემთხვევა.

თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. ბ. ჩხეიძემ** ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც საწარმოს რაზმელები ასრულებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ქარხნის ტერიტორიაზე და საზოგადოებრივ ადგილებში.

ბრძოლა კომუნისტური მორალისათვის, ბრძოლა დანაშაულობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, თქვა საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **მ. ა. ჩხრეჭიანი**, ყოველთვის იყო კომკავშირის საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში იყენებენ სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს და მტკიცედ უზრუნველყოფენ გზას ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მორალის შემოჭრას. ამასთანავე რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ისევე როგორც საზოგადოებრივი წესრიგისათვის, სახელმწიფო კანონიერების მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და ინსტიტუტებს, ბრალი მიუძღვით დამანაშავეობის ზრდაში თუ არა მის სტაბილურობაში მაინც.

დამანაშავეობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მისი წარმოშობის მიზეზების შესწავლა. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერთად იბრძობებენ განათლების სამინისტრო, აღმინისტრაციული ორგანოები. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და მეცნიერები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს გმირი მამების საქმეს, ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი საბჭოთა ადამიანების სახელობის ტრადიციებს და თავისი შრომით, სწავლით, ცხოვრებით ამტკიცებს, რომ ერთგულია კომუნისმის ნათელი იდელებისა, ამიტომ ახალგაზრდობის მხრივ სამართალდარღვევის ყოველი შემთხვევა კომკავშირული ღირსებისა და სინდისის შელახვანა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ბ. ნ. ინაშვილმა**.

დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აქტუალურ საკითხებზე და ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ ილაპარაკა კრებაზე სკკ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილემ **ვ. ი. ლაპაშვილმა**.

კრებაზე დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ბ. რაფიონიძემ**.

კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო გადაწყვეტილება (საქდესი).

ინგლისელი იურისტები საქართველოში

რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ეწვივნენ ინგლისელი სტუმრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, სსრ კავშირის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ინგლისის ბარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე სერ **ლესლი სკარმენი**, ინგლისის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე **სტეფან ჩემპენი**, საზოგადოებრივი დევნის დირექტორი **ნორმან ჯონ სკელზორნი**, იურიდიული საზოგადოების პრეზიდენტი **ჩარლზ ჰილარ სკოტი**, ინგლისის ადვოკატთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარე **ჯოზეფ თომას მაილენი**, ინგლისის ბარლამენტის იურიდიული კომისიის წევრი **ენდრიუ მარტინი**.

სოჭიდან ჩამოსულ სტუმრებს სოხუმში დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

რე მ. ლომიძე, საქართველოს სსრ პროკურორი **პ. ბერძენიშვილი**, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. ღვინჯილია**.

აფხაზეთის ასსრ დედაქალაქში სტუმრები გაეცნენ სახალხო სასამართლოს, გულრიბოს რაიონის ცენტრების საბჭოთა მეურნეობის ამხანაურ სასამართლოს მუშაობას.

შემდეგ ინგლისელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ და ესაუბრნენ ადმინისტრაციულ დარგის მუშაკებს, საუბრის თემა ძირითადად სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებას შეეხებოდა. მათ აინტერესებდათ მოსახლეობისათვის იურიდიული სამსახურის, საკანონმდებლო რეფორმების, იურისტის პროფესიის საკითხები.

ინგლისელმა იურისტებმა დაათვალიერეს მთაწმინდა, ხელოვნების მუზეუმი, მეტეხის ციხე და თბილისის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

საქართველოში ყოფნის შემდეგ სტუმრები მოსკოვს გაფრინდნენ.

აგოგრაული პოიზი

რამდენიმე დღე საქართველოში სტუმრად იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური პროკურორი **გეზა სენაში**, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე **ზოლტან კატონი**, ზალას ოლქის მთავარი პროკურორი **ტიბონ ხაზაი** და სხვ.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის გამოცდილების გაცნობა.

საქართველოს სსრ პროკურატურაში **აბ. გეზა სენაში** და მისი თანმხლები პირები ესაუბრნენ რესპუბლიკის პროკურორს **პ. ბერძენიშვილს**, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრს **ე. შევარდნაძეს**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს **ვ. მაისურაძეს**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **ა. ინაურს**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს **მ. ლომიძეს**, ქ. თბილისის პროკურორს **ა. ტაკიძეს**.

საუბარმა გულთადი მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნენ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის მუშაობას, იყვნენ მცხეთაში.

სკკბ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა **ვ. მჟავანაძემ** მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა დელეგაცია.

აბ. ვ. მჟავანაძე დელეგაციის წევრებს გულთბილად, მეგობრულად ესაუბრა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე **გ. მალიაროვი**, საქართველოს სსრ პროკურორი **პ. ბერძენიშვილი**, საქართველოს კპ ცკ აღმინსტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ზ. რატანი**.

მესამე დღეს უნგრეთის პროკურატურის მუშაკები მოსკოვს გაემგზავრნენ. აეროდრომზე ისინი გააცილეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ლ. ისაბაძე

საბჭოთა ნიგუზი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ხაზით:

- ზ. ახვლედიანი, საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ახალი ფორმები. ტირაჟი 1000; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,74; ფასი 16 კაპ.
- ნ. დავითაია, ბრძოლა არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან, ტირაჟი 1000; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,7; ფასი 09 კაპ.
- ბ. სორნაბუჯელი, პრობლემა 13, ტირაჟი 10000; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,5; ფასი 38 კაპ.
- რ. ზოდოვჭილი. გამოძიება დამთავრებულია, ტირაჟი 8000, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9, ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ხაზით:

- ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), ტირაჟი 4000; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 29,5; ფასი 1 მან. 23 კაპ.

ფასი 50 ლლ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР